

# **ადმინისტრაციული პროცესი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**ადმინისტრაციულ საქმეებზე**  
2018, №5

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Administrative Cases**  
(in Georgian)  
2018, №5

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)  
2018, №5

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)  
2018, №5

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:** 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 299 04 18; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

# 1. სარჩელის დასაშვებობა და მიზანი

## ალიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინამძღვრები

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-595-573 (კს-13)

2 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე

**დავის საგანი:** ალიარებითი სარჩელის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს ქ. თბილისის არქმშენინსპექციის 06.02.04წ. №9-1 დადგენილებით („არსებულ ავტოფარეხზე „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით მიმდინარე დაშენების დანგრევის შესახებ“) ჯ. ვ-ს დაევალა საკუთარი ხარჯებით ქ. თბილისში, ... გამზირზე №... ა-ს მიმდებარედ მის სარგებლობაში არსებულ ავტოფარეხზე მისივე დაკვეთით მიმდინარე დაშენების დანგრევა და ტერიტორიის ნანგრევებისაგან განმეხდა. ადრესატს მიეცა გაფრთხილება, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო მიმართავდა სასამართლოს. დადგენილება ჯ. ვ-მა გაასაჩივრა. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 01.03.05წ. გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ჯ. ვ-ის სარჩელი ქ. თბილისის არქმშენინსპექციის 06.02.04წ. №9-1 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე, სასამართლომ მიუთითა, რომ ქ. თბილისში, ... ქ. ... ა-ში მდებარე ავტოფარეხზე დაშენება განხორციელდა ყოველგვარი ნებართვის გარეშე. გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ. საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 27.11.06 წ. განჩინებით ჯ. ვ-ის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული. ქ. თბილისის

მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული 09.01.07წ., №... სააღსრულებო ფურცლის თანახმად, ჯ. ვ-ი დაჯარიმდა 3000 ლარით; ჯ. ვ-ის მიერ პროექტისა და მშენებლობისათვის სათანადო ნებართვის გარეშე ნაწარმოები ნაგებობა დაექვემდებარა დემონტაჟს, დადგენილების გამოტანის გრაფაში 27.11.06წ. არის მითითებული, აღნიშნული თარიღი ემთხვევა საკასაციო სასამართლოს 27.11.06წ. განჩინების მიღების თარიღს.

თბილისის სააღსრულებო ბიუროს 25.01.07წ. №... წერილით ჯ. ვ-ს განესაზღვრა ვადა სააღსრულებო ფურცლის ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე. ჯ. ვ-ი გაფრთხილებულ იქნა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში აღსრულება იძულების წესით მოხდებოდა.

02.03.07წ. ჯ. ვ-მა სარჩელი შეიტანა სასამართლოში და ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 27.11.06წ. №... დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 09.01.07წ. №... სააღსრულებო ფურცლისა და თბილისის სააღსრულებო ბიუროს 25.01.07წ. №... წერილის ბათილად ცნობა მოითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 03.04.07წ. განჩინებით სარჩელი ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 27.11.06წ. №... დადგენილებისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 09.01.07წ. №... სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი. სასამართლომ მიუთითა, რომ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 27.11.06წ. №... დადგენილება არ არსებობს. სადავო სააღსრულებო ფურცელი არარსებული აქტის საფუძველზეა გამოცემული, შესაბამისად არ არსებობს მხარის ვალდებულება მისი შესრულების თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.04.07წ. განჩინებით სააღსრულებო ბიუროს 25.01.07წ., №... შეტყობინება-გაფრთხილების ბათილად ცნობის თაობაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

20.08.07წ. ჯ. ვ-მა სასარჩელო განცხადებით კვლავ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა მოპასუხეებისათვის ქ. თბილისის არქიმენისსპექციის 06.02.04წ. №... დადგენილების საწინააღმდეგო ქმედების-დემონტაჟის განხორციელებისგან თავის შეკავების დავალება. სარჩელს უარი ეთქვა წარმოებაში მიღებაზე ხარვეზის გამოუხსნორებლობის გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.06.08წ.

განჩინებით.

ჯ. ვ-მა 03.09.07წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისა და თბილისის საალსრულებო ბიუროს მიმართ და აღნიშნა, რომ 20.08.07წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა მოპასუხეებისათვის ქ. თბილისის არქიმენინსპექციის 06.02.04წ. №... დადგენილების საინააღმდეგო ქმედების (დემონტაჟის) განხორციელებისგან თავის შეკავების დავალება. იმის გამო, რომ დღეისათვის შეცვლილია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისი სამართლებრივი საფუძვლები, კერძოდ კი, სარჩელის აღქმის შემდეგ 22-25 აგვისტოს მოპასუხემ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა განახორციელა შენობის დემონტაჟი, ასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა მოპასუხეებისათვის მის მიმართ უკანონო ქმედების-3000 ლარის გადახდევინების მოთხოვნისაგან თავის შეკავების დავალება და ასკ-ის 25-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს მიერ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ქმედების, როგორც უფლების გარეშე, სამართლებრივი ურთიერთობის საინააღმდეგო ქმედებად აღიარება.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა, ჯ. ვ-მა საბოლოოდ მოითხოვა სასამართლოს დაედგინა, რომ ქ. თბილისში, ... გამზირზე, ...ა-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ ჯ. ვ-ის კუთვნილ ავტოფარეხზე პროექტისა და სათანადო ნებართვის გარეშე არსებული დაშენების დემონტაჟი განხორციელდა კანონდარღვევით, კერძოდ, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაუცველად. მოსარჩელემ მოპასუხედ მიუთითა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.03.13 წ. გადაწყვეტილებით ჯ. ვ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, დადგინდა, რომ ქ. თბილისში, ... გამზირზე, ...ა-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ ჯ. ვ-ის კუთვნილ ავტოფარეხზე პროექტისა და სათანადო ნებართვის გარეშე არსებული დაშენების დემონტაჟი განხორციელდა კანონდარღვევით, კერძოდ, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაუცველად.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 16.01.136. წერილის საფუძველზე, პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს ქ. თბილისის არქმშენინსპექციის 06.02.046. №... დადგენილების წარმოების მასალები ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში დაცული არ არის. №... სააღსრულებო საქმის წარმოების მასალების თანახმად, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 09.01.076. №... სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად გადაეცა თბილისის სააღსრულებო ბიუროს. სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო დემონტაჟი თბილისის სააღსრულებო ბიუროს არ განუხორციელებია. სადავო დემონტაჟი განხორციელდა 2007 წლის აგვისტოს ბოლოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ. სასამართლომ მიუთითა, რომ ჯ. ვ-ის კუთვნილ ავტოფარეხზე პროექტისა და სათანადო ნებართვის გარეშე არსებული დაშენების დემონტაჟი განხორციელდა კანონდარღვევით, კერძოდ, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაუცველად, რაც გამოიხატა სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონით დადგენილი წესის დაუცველად, სააღსრულებო ბიუროს ნაცვლად თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ სადავო დემონტაჟის განხორციელებაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ მხოლოდ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს ქ. თბილისის არქმშენინსპექციის 06.02.046. №... დადგენილების კანონიერება არ ქმნის განხორციელებული დემონტაჟის ასევე კანონშესაბამისად მიჩნევის საფუძველს. სასამართლოს მოსაზრებით, თუნდაც უნებართვო მშენებლობის დემონტაჟი უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 26.03.136. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.10.136. განჩინებით ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სააპელაციო საჩი-

ვარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.03.13წ. გადაწყვეტილება და ჯ. ვ-ის სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლომ, დავის საგნიდან გამომდინარე, კანონშეუსაბამოდ მიიჩნია სასკ-ის 25-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელის დაშვება. პალატამ მიუთითა, რომ აღიარებითი სარჩელი, რომლის აღძვრის შესაძლებლობასაც ადგენს სასკ-ის 25-ე მუხლი, წარმოადგენს მოსარჩელეთა უფლებების პროცესუალური დაცვის ერთ-ერთ მყარ სამართლებრივ ინსტიტუტს, მაგრამ მითითებული მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელი საჭიროებს სამართლებრივი დაცვის ინტერესების არსებობის განსაკუთრებულ დასაბუთებულობას. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი სასამართლოს არ აძლევს უფლებას უშედეგოდ აქციოს 25-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო-სამართლებრივი საშუალება და მოსარჩელეს მისცეს შესაძლებლობა აღძრას სარჩელი იმ მიზნის გარეშე, რომელიც არ იძლევა უფლებათა დაცვის მყარი გარანტიების მიღწევის შესაძლებლობას. სასკ-ის 25-ე მუხლის თანახმად, დავის საგნის გათვალისწინებით, აღიარებითი სარჩელი შესაძლოა პირობითად დაიყოს აქტის არარად აღიარების, უფლების არსებობა-არარსებობის, სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ სარჩელეზად, განურჩევლად იმისა რა სახის აღიარებითი სარჩელი იქნება აღძრული, სავალდებულოა, რომ სარჩელი იყოს მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვის საშუალება ანუ სარჩელში გამოკვეთილი უნდა იყოს პირის კანონიერი ინტერესის არსებობის ფაქტი. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ქ. თბილისის არქმშენინსპექციის 06.02.04წ. დადგენილებაზე, რომლითაც ჯ. ვ-ი ქ. თბილისში, ... გამზირზე „ა“-ში მდებარე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ ავტოფარეხზე აწარმოებდა უკანონო მშენებლობას სათანადო ნებართვის, პროექტისა და ლიცენზირებული სამშენებლო ორგანიზაციის გარეშე, რისი გათვალისწინებითაც ჯ. ვ-ს დაევალა, უკანონო ნაგებობის 10 დღის ვადაში დემონტაჟი და ტერიტორიის წარჩენებისაგან განთავისუფლება. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა 2007 წელს მოახდინა იმ ობიექტის დემონტაჟი, რომლის მშენებლობის უკანონობაც დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით არ არის მოსარჩელის კანონიერი ინტერესი, რამეთუ დაცვის ღირსი ინტერესით სარგებლობს არა პირის ნე-

ბისმიერი ინტერესი, არამედ მხოლოდ ის ინტერესი, რომელიც დაცულია კანონით. ეს უკანასკნელი კი სახეზეა მაშინ, როდესაც საფრთხე ექმნება ან არსებობს საშიშროება იმისი, რომ შესაბამისი პროცესუალური ინსტრუმენტების გამოყენების გარეშე ვერ მოხდება პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესის დაცვა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არა თუ აღიარებითი, არამედ არცერთი სხვა სახის სარჩელით სასამართლო დაცვის ქვეშ ვერ მოექცევა მხარის არაკანონიერი ინტერესი.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ წინამდებარე სარჩელით შეუძლებელია რეალური შედეგის მიღწევა, რამდენადაც ობიექტის დემონტაჟის მიუხედავად, სახეზე არ არის ჯ. ვ-ის კანონით დაცული უფლებების ხელყოფის ფაქტი, რაც განპირობებულია თავად ობიექტის უკანონობით, ხოლო აღიარებითი სარჩელის მიზანს არ წარმოადგენს მხოლოდ ფაქტის დეკლარირება იმ მიზნის გარეშე, რომ მიღებულ გადაწყვეტილებას შემდგომში მოჰყვეს პრაქტიკული შედეგი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.10.13წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ჯ. ვ-ის წარმომადგენელმა მ. ჩ-მა.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ზედამხედველობის სამსახურის მიერ დემონტაჟის განხორციელებისას მოსარჩელეს არ მიეცა იმ უფლებების რეალიზაციის საშუალება, რასაც მას ანიჭებდა იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობა აღსრულების შესახებ. ზედამხედველობის სამსახურის მიერ დემონტაჟის განხორციელების დროს მოსარჩელეს წაერთვა უფლება აღსრულების პროცესში ურთიერთობა ჰქონოდა კანონით გათვალისწინებულ სუბიექტთან – სააღსრულებო სამსახურთან. კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ დემონტაჟის უკანონოდ აღიარების ინტერესი მოსარჩელეს გააჩნია არა მხოლოდ ქმედების უკანონობის დეკლარირებისათვის, არამედ იმიტომ, რომ მოსარჩელემ ამ ფაქტის დადასტურების გზით შესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნები დააყენოს დემონტაჟზე არაუფლებამოსილი პირების მიმართ. გარდა ამისა, ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლების მიერ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას.

კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ სასამართლოს მსჯელობა ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ პრინციპს მოქმედი სამართლით სახელმწიფო ორგანოების შეზღუდვის შესახებ. კერ-



ძოდ, მე-7 მუხლის თანახმად სახელმწიფო შეზღუდულია იმ უფლებების ფარგლებში, რომელიც მინიჭებულია ადამიანისათვის და ჩამოყალიბებულია მოქმედ კანონმდებლობაში სამართლის სახით. შესაბამისად ზედამხედველობის სამსახური შეზღუდული იყო დემონტაჟის უფლებაში და ამ ფაქტის დადასტურება აღიარების გზით საფუძველია მის მიმართ სამართლებრივი მოთხოვნების დასაყენებლად, რაც წარმოადგენს მოსარჩელის კანონიერ ინტერესს. კერძო საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ მისი უფლებაა მოითხოვოს მის მიმართ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები განახორციელოს იმ ორგანომ, რომელსაც ასეთი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს კანონმდებლობის საფუძველზე და ამ პრინციპის დარღვევის პირობებში უზრუნველყოფილი იყოს კანონის დარღვევის გამო უფლებებში სათანადო აღდგენით. სააპელაციო სასამართლომ ყურადღების გარეშე დატოვა ის მნიშვნელოვანი ზიანი, რაც ზედამხედველობის სამსახურის უკანონო მოქმედებას შედეგად მოჰყვა, კერძოდ, ჯ. ვ-ის ოჯახის საკუთრებაშია შპს „...“. აღნიშნული ობიექტის ნაწილს წარმოადგენს დემონტაჟს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობა. ზედამხედველობის სამსახურის მიერ განხორციელებულმა უკანონო მოქმედებამ დააზიანა და მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი მიაყენა ჯ. ვ-ის ოჯახის საკუთრებაში არსებულ ქონებას, რადგან ნგრევის შედეგად შეწყვიტა სუპერმარკეტმა ფუნქციონირება, ვინაიდან შენობის მარჯვენა ნაწილი სრულად დაექვემდებარა უკანონო დემონტაჟს, რამაც თავის მხრივ გამოიწვია სუპერმარკეტში არსებული პროდუქციის დაზიანება და განადგურება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კერძო საჩივრის ავტორმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.10.136. განჩინების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. ვ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული დემონტაჟი არის ერთჯერადი დასრულებული მოქმედება (რეალაქტი). ასეთი რეალაქტის განხორციელებით პირის შელახული უფ-

ლების აღდგენის ერთ-ერთ საშუალებად პროცესუალური კანონმდებლობით გათვალისწინებულია აღიარებითი სარჩელი იმ მოთხოვნით, რომ აღიარებული იქნეს მოქმედების უკანონობა. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ჯ. ვ-ი მოითხოვს ქ.თბილისში, ... ქ. ... „ა“-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ ჯ. ვ-ის კუთვნილ ავტოფარეხზე პროექტისა და სათანადო ნებართვის გარეშე არსებული დაშენების დემონტაჟის კანონმდებლობის, კერძოდ „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაუცველად განხორციელების აღიარებას. ამდენად, ჯ. ვ-ის მიერ აღძრული სარჩელი სასკ-ის 25-ე მუხლით გათვალისწინებულ აღიარებით სარჩელთა კატეგორიას განეკუთვნება და შესაბამისად, ის უნდა პასუხობდეს სარჩელის ხსენებული სახეობისათვის დადგენილი დასაშვებობის პირობებს.

აღიარებითი სარჩელი, როგორც სარჩელის ერთ-ერთი სახე, არის პროცესუალური დაცვის სამართლებრივი ინსტიტუტი, მისი მეშვეობით არ ხდება მოსარჩელის მატერიალური უფლებების უშუალო განხორციელება, რამდენადაც აღიარებითი სარჩელით დგინდება უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა ან არარსებობა (ასკ-ის 25-ე მუხლით ასევე გათვალისწინებულია აქტის არარად აღიარების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება). მოცემული სახის სარჩელებთან მიმართებაში პროცესუალური კანონმდებლობით დაწესებულია დასაშვებობის წინა პირობები (ასკ-ის 25.2), კერძოდ სარჩელის დასაშვებობის შემონმშებისას უნდა გაირკვეს სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ მოსარჩელის კანონიერი ინტერესი, კანონიერი ინტერესი გამოხატული უნდა იყოს პირის მატერიალურ-სამართლებრივ სივრცეში. საქმეში დაცულ კანონიერ ძალაში მყოფი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 01.03.05წ. გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ქ. თბილისში, ... .. „ა“-ს მიმდებარედ ჯ. ვ-ის კუთვნილ ავტოფარეხზე პროექტისა და სათანადო ნებართვის გარეშე არსებული დაშენების დემონტაჟისათვის დაქვემდებარება შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, რამდენადაც მშენებლობა განხორციელდა შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე, მშენებლობის პროექტის და ნებართვის გარეშე, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის მოთხოვნების დარღვევით. აღნიშნულ გარემოებას პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ედავება მოპასუხეს, რომ მან კანონსაწინააღმდეგოდ განახორციელა მის მიერ უკანონოდ განხორციელებული შენობის დემონტაჟი ანუ სარჩე-

ლი აღძრულია დასრულებულ სადავო სამართალურთიერთობაზე, რომლის მიმართ, მოსარჩელეს ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მოცემული დასრულებული საჯარო მოქმედება (რეალაქტი) გარდა კანონსაწინააღმდეგო ხასიათისა, ამავდროულად მოსარჩელის მიმართ კანონიერი ინტერესის შემზღუდველია. კანონმდებელი ამ ინტერესში მოიაზრებს მხოლოდ პატივსაღებ, მართლზომიერ ინტერესს, დაცვის ღირსია არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ კანონით დაცული ინტერესი, სასამართლოს დაცვის სფეროს სცილდება არაკანონიერი ინტერესის დაცვა. პროცესის აღძვრის საფუძველს წარმოადგენს არა ნებისმიერი, არამედ იურიდიული და ინტერესება, ინტერესი უნდა იყოს კონკრეტული, ლეგიტიმური და პატივსაღები. იურიდიული ინტერესის არსებობისათვის არ კმარა მის შესახებ მოსარჩელის განცხადება. ინტერესის არსებობა ობიექტურ მონაცემებზე უნდა იყოს დამყარებული, სარჩელში დასმული საკითხისადმი მოსარჩელეს უშუალო უფლებადამცავი ინტერესი უნდა გააჩნდეს. ინტერესის საკითხს წყვეტს სასამართლო. სასამართლო ვერ დაეყრდნობა მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრებას. მოსარჩელის ინტერესი აღიარებით სარჩელში გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. აღიარებითი გადანწყვილების მიმართ იურიდიული ინტერესი მდგომარეობს განსაზღვრული სამართლებრივი მდგომარეობის დადგენაში. გადანწყვილების მიზნის შესაბამისად სარჩელის დასაშვებად ცნობისათვის სახეზე უნდა იყოს ერთგვარი გაურკვეველობის არსებობა. აღიარებით სარჩელში იურიდიული ინტერესი მიმართულია გარკვეული სამართალურთიერთობის არსებობის ან არარსებობის დადასტურებაზე, რაც მოსარჩელის სამართლებრივ მდგომარეობას მოპასუხის მიმართ ანიჭებს განსაზღვრულობის, უდავობის ხარისხს და პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს მომავალში აღძრულ სარჩელზე წარმოებულ დავაზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სადავო მიშენება განხორციელდა კანონმდებლობის მოთხოვნათა უგულებელყოფით, ზედამხედველობის სამსახურის მიერ ობიექტის დემონტაჟი განხორციელდა 2007 წელს, ობიექტის მშენებლობის უკანონობა დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით. დასრულებულ ობიექტზე საკუთრების უფლების წარმოშობას დემონტაჟის განხორციელების პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა უკავშირებდა მშენებლობის განხორციელებას კანონით დადგენილი წესითა და პირობებით, პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის არსებობა არის საჯარო რეესტრში მშენებარე ობიექტზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი. ამ-

დენად, სწორედ მიშენების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის გამო მიშენება სამოქალაქო ბრუნვის ობიექტად არ მიიჩნევა, აღნიშნული კი განაპირობებს მის მიმართ კანონით დაცვის ღირსი ინტერესის დაუსაბუთებლობას. ამდენად, აღიარებითი სარჩელის დასაშვებობისა და დასაბუთებისათვის მოპასუხის მოქმედების უკანონობასთან ერთად საჭიროა აგრეთვე კანონიერი ინტერესის შელახვის დასაბუთება. მართალია, აღიარებითი სარჩელი უშუალოდ არ ინვესტაციის გადაწყვეტას, მაგრამ აღიარებითი სარჩელით მიღებული შედეგი – სასამართლოს დეკლარირება მიღებული გადაწყვეტილების ფორმით, შესაძლოა საფუძვლად დაედოს შემდგომ მოთხოვნას, მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას (დემონტაჟის დროს ლეგალიზაციის შესაძლებლობას კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა, ამასთანავე დაუშვებელია ამჟამად არარსებული ობიექტის ლეგალიზების მოთხოვნა). ამდენად, აღიარებისათვის მოსარჩელეს უნდა გააჩნდეს სამართლებრივი ნორმებით დაცული/კანონიერი ინტერესი, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება არ არის თვითმიზანი, იგი მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესის დაკმაყოფილებას ემსახურება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აღიარებითი სარჩელის აღძვრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ სახის სარჩელისათვის პროცესუალური კანონმდებლობით განსაზღვრული სარჩელის დასაშვებობის პირობების დაცვა, ვინაიდან მათი დაუცველობა შედეგად გამოიწვევს ნებისმიერი საჯარო-სამართლებრივი დავის ნებისმიერი პირის მიერ ნებისმიერ დროს აღიარებითი სარჩელით აღძვრის, სასამართლოს სამართლებრივ კონსულტანტად გადაქცევის, აღიარებითი სარჩელით სარჩელის სხვა სახეობების დასაშვებობის წინაპირობებისაგან თავის დაღწევის, ინსცინირებული პროცესების ჩატარების შესაძლებლობას. აღიარებითი სარჩელი დასაშვებია მაშინ, როდესაც აღიარების ინტერესი მიმართულია ურთიერთობის მონაწილის მიმართ და ეს ურთიერთობა მოსარჩელის უფლებას ან კანონიერ ინტერესს არღვევს. აღიარებითი სარჩელი არ არის დასაშვები, თუ იგი აბსტრაქტული სამართლებრივი საკითხის, ზოგადი უფლების ან ვალდებულების, ფაქტობრივი გარემოების ან სამართლებრივი ურთიერთობის არადამოუკიდებელ ნაწილს ეხება. სასკ-ის 25-ე მუხლი ითვალისწინებს უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენას. მოცემულ შემთხვევაში არ არის სახეზე უფლება უკანონო ნაგებობაზე და არც სამართალურთიერთობა, რომლის შემადგენელი ნაწილია უფლება. მოცემულ შემთხვევაში საქმის

გარემოებებიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნა თავისი არსით ეხება ფაქტისათვის სამართლებრივი შეფასების მიცემას და არა უფლების ან ურთიერთობის აღიარებას.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივარში მოყვანილ მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ უარყო ობიექტის მხოლოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელების აუცილებლობა. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედების იმპერატიული მოთხოვნა, დემონტაჟის განხორციელებისათვის აქტის გამოცემის საჭიროება არ უარყოფს იმას, რომ აღიარებითი სარჩელის დასაშვებობისათვის არ კმარა მხოლოდ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების უკანონობა, მოთხოვნა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედების უკანონობის აღიარების შესახებ დასაშვებია მხოლოდ კანონიერ ინტერესის არსებობის შემთხვევაში, რაც მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება, მოსარჩელე სარჩელით ითხოვს უკანონო მიშენების დემონტაჟის უკანონობის აღიარებას. ვინაიდან მოსარჩელე სარჩელით ითხოვს უპროექტო და უნებართვო დაშენების დემონტაჟის უკანონობის აღიარებას (ნაგებობის უკანონობა დადასტურებულია კანონიერ ძალაში მყოფი ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 01.03.05წ., №3/288 გადაწყვეტილებით), კანონით დაცული ინტერესის ხელყოფა არ იკვეთება ობიექტის უკანონობის გამო, ამდენად სარჩელში არ იკვეთება მოსარჩელის უფლების ან კანონიერი ინტერესის შეზღუდვა, უკანონობის მიმართ პირს კანონიერი ინტერესი ვერ ექნება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მოცემული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით არ არსებობს კანონით აღიარებული და დაცული ინტერესი, რომელიც წარმოშობს მოსარჩელის უფლებამოსილებას მოცემული სახის სარჩელის დავის საგანზე. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს უფლება არის მიზანზე ორიენტირებული უფლება, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ აღიარებითი სარჩელის აღძვრა დაუშვებელია რეალური, პრაქტიკული შედეგის მიღწევის გარეშე, აღიარებითი სარჩელის მიზანს არ წარმოადგენს მხოლოდ ფაქტის დეკლარირება, შემდგომში პრაქტიკული შედეგის მიღწევის გარეშე. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტით აღიარებული სასამართლო დაცვის უფლება ფორმალურად სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას ნიშ-

ნავს, ხოლო შინაარსობრივად – ადამიანის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფას. უკანასკნელი ნიშნავს ადმინისტრაციული ორგანოს ყველა იმ მოქმედების თუ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას და სამართლებრივ შეფასებას, კანონიერების დადგენას, რომლებიც ეხება პირის უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტი ან განხორციელებული საჯარო მოქმედება (რეალაქტი) მოითხოვს მის კანონმდებლობასთან შესაბამისობას, თუმცა სადავო სამართალურთიერთობის მიმართ სასკ-ის 25-ე მუხლით გარანტირებული სასამართლოსათვის მიმართვის უფლების გამოყენება არ დაიშვება, უკეთესად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედებით არ იზღუდება კანონიერი ინტერესი. აღიარების ინტერესი განვრცობითი აღიარებითი სარჩელის (დასრულებულ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის გამო აღძრული სარჩელი) მიმართ გამოიხატება: გამეორების საფრთხეში, მომავალში მოსალოდნელი დისკრიმინაციის თავიდან აცილებაში, შემდგომში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დასამაში. აღნიშნული თავისთავად გულისხმობს უფლების ან კანონიერი ინტერესის დაცვის მიზანს. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებითი სარჩელი უშუალოდ არ იწვევს დავის გადაწყვეტას, აღიარებითი სარჩელით მიღწეული შედეგი შეიძლება საფუძვლად დაედოს დავის გადაწყვეტას, შესაბამისად სასკ-ის 25-ე მუხლის საფუძველზე აღძრულ სარჩელზე (უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა ან არარსებობის დადგენის შესახებ) მიღებული გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის კონკრეტული შედეგის მომტანია, ამასთანავე, აღიარების ინტერესის დასასაბუთებლად მხოლოდ აბსტრაქტული გარემოება არ კმარა. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს არ ქმნის კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ დემონტაჟის განხორციელებით მას შეეზღუდა აღმასრულებელთან ურთიერთობის უფლება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააღსრულებო პროცედურების რეგლამენტაცია, აღმასრულებლის მოქმედებების და აქტების გასაჩივრება ასევე მიზნად ისახავს სუბიექტის უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვას, რაც არ იკვეთება კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით უპროექტო, უნებართვო მიშენების დემონტაჟის უკანონობის აღიარების სასარჩელო მოთხოვნაში.

აღიარებითი სარჩელის აღძვრით არ ხდება დანაშაულის ნიშნების დადგენა, შესაბამისად, კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნის აგრეთვე კერძო საჩივრის ავტორის მი-

თითება ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომელთა ქმედებაში სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შესაძლო არსებობაზე. დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედების დადგენის პროცედურა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით არის განსაზღვრული, აღმინისტრაციული კატეგორიის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას არ აქვს პრეიუდიციული მნიშვნელობა სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოსათვის და პირიქით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლად კერძო საჩივრის ავტორი უთითებს დემონტაჟის უკანონოდ განხორციელების შედეგად მისთვის ზიანის მიყენებას. კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ზედამხედველობის სამსახურის მიერ განხორციელებულმა უკანონო მოქმედებამ დააზიანა და მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი მიაყენა ჯ. ვ-ის ოჯახის საკუთრებაში არსებულ ქონებას, ნგრევის შედეგად სუპერმარკეტმა შეწყვიტა ფუნქციონირება, ვინაიდან შენობის მარჯვენა ფრთა სრულიად დაექვემდებარა უკანონო დემონტაჟს, რამაც თავის მხრივ გამოიწვია სუპერმარკეტში არსებული პროდუქციის დაზიანება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხსენებული გარემოება საქმის მასალებით არ დასტურდება, ჯ. ვ-ი აღნიშნულის შესახებ მხოლოდ საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინებაზე შეტანილ კერძო საჩივარში უთითებს. საქმეში დაცულია ჯ. ვ-ის მიერ აღძრული არაერთი სარჩელი, არც ერთ მათგანში ის არ უთითებს მიშენების დემონტაჟის გამო ძირითადი შენობისათვის ზიანის მიყენებას, დემონტაჟის გამო სუპერმარკეტის საქმიანობის შეჩერებას. ზიანის მიყენება არც საქმეზე დართული ფოტომასალით დასტურდება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტები, კონკრეტული უფლება-ვალდებულებები შესაძლოა აღიარებითი სარჩელის დავის საგანი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ წარმოშობს კავშირს სხვა სახეობის სარჩელებთან. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ აღიარებითი სარჩელის აღძვრა არ დაიშვება თუ მოსარჩელეს შეუძლია აღძრას მიკუთვნებითი სარჩელი, ე.ი. თუ შესაძლებელია აღიარას სარჩელი ვალდებულების (ზიანის ანაზღაურების) შესახებ. რეალაქტის განხორციელებით ზიანის მიყენების შემთხვევაში შესაძლებელია მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, აღნიშნული არის აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის გამომრიცხავი გარემოება, სასკ-ის 25.2 მუხლის შესაბამისად აღიარებითი სარჩელი არ შეიძლება აღიძრას, თუ მოსარჩელეს შეუძლია აღძრას სარჩელი სასკ-ის 22-24-ე მუხ-



ლების საფუძველზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და მიიჩნევს, რომ ჯ. ვ-ის კერძო საჩივარი უსაფუძველოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ჯ. ვ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.10.13წ. განჩინება.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინამძღვრები**

#### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ბს-168-165(კ-15)

10 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** სამართლებრივი მდგომარეობის აღიარება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 18 თებერვალს ზ. ბ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ



საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიმართ.

მოსარჩელემ იმ ფაქტის აღიარება მოითხოვა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარემ – შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ედუარდ შევარდნაძემ – მას – ზ. ბ-ეს (მ-ს) 1992 წელს (საომარი მოქმედების დროს) გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭა.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 1992-1993 წლებში აფხაზეთის ცნობილი მოვლენების დროს იყო საქართველოს ... სამსახურის უფროსი, რომელიც შეიქმნა ... გასამხედროებული დაცვის განყოფილების ბაზაზე ... ობიექტზე გახშირებული თავდასხმების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მოსარჩელის მითითებით, გასამხედროებული 600-კაციანი ჯგუფები ომის დროს ექვემდებარებოდნენ საქართველოს უმაღლეს მთავარსარდალს და ასრულებდნენ მის უშუალო დავალებებს. 1992 წლის დეკემბერში აღნიშნულმა ჯგუფებმა არაერთხელ დაიცვეს ... უსაფრთხოება. ამ ჯგუფებმა გახსნეს გზა სამეგრელოს, გალის და ოჩამჩირის რაიონში – სოხუმამდე.

მოსარჩელის განმარტებით, იგი როგორც ... სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფის მეთაური 1993 წლის 30 ივნისიდან 6 ივლისამდე ...-ე ბრიგადის მეთაურის გენერალ გ. ა-ას დავალებით იმყოფებოდა ... დასაცავად, სადაც 6 ივლისს ბრძოლის დროს ჩავარდა ტყვედ აფხაზი სეპარატისტების ხელში. ტყვეობაში იმყოფებოდა გაცვლამდე 1993 წლის 19 დეკემბრამდე.

მოსარჩელის მითითებით, ქ. თბილისის მერიის 1995 წლის 1 მარტს №52 განკარგულებით, რაზმის 5 მეზობლის სახელი ეწოდა თბილისის 5 ქუჩას, ხოლო პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დასტურით თბილისის გადასასვლელ ხიდს მიენიჭა „...“ სახელი.

მოსარჩელის განმარტებით, ... მაგისტრალის გახსნის დროს პრეზიდენტის მიერ მას გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა, რომელიც, როგორც შემდგომ გახდა ცნობილი დოკუმენტურად არ გაფორმებულა. მიუხედავად იმისა, რომ ზ. ბ-ეს ჰქონდა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიერ 2011 წლის 18 ოქტომბერს გაცემული წერილობითი განმარტება, ზ. ბ-ისათვის (მ-ისათვის) სამხედრო (გენერლის) წოდების მინიჭების შესახებ, არც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და არც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ (შესაბამისი კომპეტენციის არარსებობაზე მითითებით) მას გენერალ-მაიორის წოდების მინიჭების ფაქტი არ დაუდასტურა, რის გამოც მან აღიარებითი სარჩელით მიმართა სასამართლოს და იმ ფაქტის აღიარება მოითხო-

ვა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარემ – შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ედუარდ შევარდნაძემ – მას – ზ. ბ-ეს (მ-ს) 1992 წელს (საომარი მოქმედების დროს) გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 აპრილის საოქმო განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 აპრილის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 აპრილის საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხედ ჩაბმული საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ნაცვლად სათანადო მოპასუხედ ჩაება საქართველოს პრეზიდენტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით ზ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ 2011 წლის 5 აპრილს გაცემული საინფორმაციო ბარათით დასტურდებოდა ის გარემოება, რომ ზ. ბ. ძე მ-მა შეიცვალა გვარი და გახდა ზ. ბ. ძე ბ-ე.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ზ. ბ-ე 1992-1993 წლებში აფხაზეთის ცნობილი მოვლენების დროს იყო საქართველოს ... სამსახურის უფროსი, რომელიც შეიქმნა ... გასამხედროებული დაცვის განყოფილების ბაზაზე ... ობიექტზე განშირებული თავდასხმების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სოციალურ საკითხების ... კომისიის 1992 წლის 8 ოქტომბრის №3 სხდომის ოქმით დასტურდებოდა, რომ მიღებული იქნა საქართველოს ... შეიარაღებული დაცვის სამსახურის უფროსის ზ. მ-ის წინადადება რესპუბლიკაში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით ... დაცვის ცალკე ბატალიონის შექმნის შესახებ. ასევე შეიქმნა შტაბი, რომელიც უხელმძღვანელებდა ბატალიონს ჩამოყალიბების სამუშაოებში, რომლის შემადგენლობაში შედი-

ოდა 9 პირი, მათ შორის ზ. მ-ი – შეიარაღებული დაცვის სამსახურის უფროსი.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალებით ასევე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ შპს „...“ მიერ 2006 წლის 21 ივლისს გაცემული №აპ-5347 საარქივო ცნობის შესაბამისად დასტურდებოდა, რომ ზ. ბ. ძე მ-ი 1992 წლის 8 ივლისს დაინიშნა საქართველოს ... შეიარაღებული დაცვის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. 1994 წლის 1 ივლისს დაინიშნა საქართველოს ... დეპარტამენტის საუწყებო დაცვის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე და გათავისუფლდა საქართველოს ... შეიარაღებული დაცვის სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გადაყვანის წესით. 1996 წლის 23 მაისიდან გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

საქალაქო სასამართლოს მითითებით საქმეში წარმოდგენილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის მიერ 1994 წელს გაცემული საბრძოლო მოკვლევით ასევე დასტურდებოდა, რომ ... სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფის მეთაური ზ. ბ. ძე მ-ი 1993 წლის 30 ივნისიდან 06 ივლისამდე იმყოფებოდა ...-ე ბრიგადის მეთაურის, გენერალ გ. ა-ას დავალებით ... დასაცავად, სადაც 6 ივლისს ბრძოლის დროს ჩავარდა ტყვედ აფხაზი სეპარატისტების ხელში. ტყვეობაში იმყოფებოდა გაცვლამდე 1993 წლის 19 დეკემბრამდე.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ...-ე ... ბრიგადის მეთაურის 1993 წლის 30 ივნისის №231 ბრძანებით შეყვანილი იქნა ...-ე ... ბრიგადის შემადგენლობაში და აყვანილი იქნა ყველა სახის კმაყოფაზე საქართველოს ... შეიარაღებული დაცვის სპეციალიზირებული ასეულის პირადი შემადგენლობა, გენერალ ზ. მ-ის მეთაურობით 1993 წლის 15 ივნისიდან.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა საქმეში წარმოდგენილ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის – ედუარდ შევარდნაძის 2011 წლის 18 ოქტომბერს გაცემულ წერილობით განმარტებაზე, რომელიც ადასტურებდა, რომ ზ. ბ-ეს სამხედრო (გენერლის) წოდება სიტყვიერად მიანიჭა, უბრალოდ ვერ იხსენებდა რატომ არ გაფორმდა ეს განკარგულება წერილობით.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2013 წლის 11 აპრილის №7/1884 წერილით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს მის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში 2013 წლის 22 მარტს წარდგენილ №1620 წერილზე ეცნობა, რომ „სამ-

ხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის თანახმად, უმაღლესი ოფიცრის სამხედრო ნოდებებს ანიჭებდა საქართველოს პრეზიდენტი, რის გამოც საკითხის გადაწყვეტა სცილდებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კომპეტენციას. ასევე განემარტა, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ მოძიებული იქნა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც ინახებოდა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თავდაცვის სამინისტროს მიერ მოკვლეული მასალები დამატებით გაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მოკვლეული მასალების ფარგლებში დადგენილ იქნა ის გარემოება, რომ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს 1992 წლის 23 დეკემბრის №34 დადგენილების თანახმად, ქ. თბილისში შეიქმნა მუდმივმოქმედი შტაბი, რომელიც ხელმძღვანელობდა ... დაცვის შესაბამის სამსახურებს. ზემოთ აღნიშნული შტაბის ერთ-ერთი წევრი იყო პოლიციის პოლკოვნიკი – ზ. მ-ი, ... პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ამასთან, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ყ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2012 წლის №3/4-8284 წერილით დადასტურდა, რომ ყ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის საარქივო მასალებში, 1996 წლის ივლისის №433 ბრძანების შესაბამისად თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარ სამმართველოს მიერ ჩატარებული მოკვლევის მასალები ზ. ბ-ის (მ-ის) შესახებ არ მოიპოვებოდა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „სამხედრო და სპეციალური ნოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი 1993 წლის რედაქციით განსაზღვრავდა – სამხედრო და სპეციალურ ნოდებებსა და დიპლომატიურ რანგებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამსახურში. სამხედრო და სპეციალური ნოდებები და დიპლომატიური რანგები ენიჭებოდათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს მათი სამსახურებრივი მდგომარეობის, ნამსახურევი წლების, სამხედრო და სპეციალური მომზადების, აგრეთვე დამსახურების შესაბამისად. ამავე კანონის მე-4 მუხლის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების, სამხედრო მოსამსახურეთა და მათთან გათანაბრებულ პირთათვის თანამდებობრივი მდგომარეობისა და ნამსახურობისათვის

დანესებული იყო შემდეგი სამხედრო ნოდებები: რიგითი (სამხედრო-საზღვაო ძალებში – მატროსი), უმცროსი სერჟანტი, სერჟანტი, უფროსი სერჟანტი, ზემდეგი (სამხედრო-საზღვაო ძალებში – მიჩმანი) და ოფიცერთა შემადგენლობის ნოდებები. ნოდებათა მინიჭების წესი განისაზღვრებოდა შესაბამისი წესდებებით. სამხედრო ნოდებებს ანიჭებდა: საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი და სასაზღვრო ჯარების სარდალი. ხოლო მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ოფიცერთა შემადგენლობისა და მათთან გათანაბრებულ პირთათვის დანესებული იყო უმცროს, უფროს და უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო ნოდებები. გენერალ-მაიორის სამხედრო ნოდება კი უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობას განეკუთვნებოდა. მე-6 მუხლის თანახმად, არმიის გენერლის და ადმირალის სამხედრო ნოდებები მიენიჭებოდათ მხოლოდ ომის დროს, განსაკუთრებული საბრძოლო დამსახურებისათვის. სასაზღვრო ჯარების და შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდლებს, აგრეთვე ჯარების სახეობათა სარდლებს მიენიჭებოდათ სამხედრო ნოდება არა უმაღლეს გენერალ-ლეიტენანტისა (ვიცე-ადმირალი), ხოლო ამავე კანონის მე-9 მუხლის მეორე წინადადების თანახმად – უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობას, აგრეთვე სამხედრო სასამართლოების მოსამართლეებს სამხედრო ნოდებებს ანიჭებდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე გარდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 2011 წლის 18 ოქტომბერს გაცემული ხელწერილისა (იმის თაობაზე, რომ ზ. ბ-ისათვის სამხედრო (გენერლის) ნოდების სიტყვიერად მინიჭებას ადასტურებდა), სხვა სახის მტკიცებულება ხსენებული ფაქტის დასადასტურებლად წარმოდგენილი არ იყო.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიერ 2011 წლის 18 ოქტომბერს გაცემული ხელწერილი ვერ განიხილებოდა საკმარის მტკიცებულებად – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებად, რამდენადაც აღნიშნული ხელწერილის გაცემის დროისათვის იგი არ წარმოადგენდა არც ადმინისტრაციულ ორგანოს და არც მის ხელმძღვანელს.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ თითოეულ მხარეს

უნდა დაემტკიცებინა მისთვის ხელსაყრელი გარემოება, ანუ მოსარჩელეს უნდა დაემტკიცებინა ის გარემოებები, რომელთაც ემყარებოდა მისი მოთხოვნა, მოპასუხეს კი ევალებოდა იმ გარემოებათა დამტკიცება, რომელთაც ეყრდნობოდა მისი შესაგებელი. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე მხარე არ ცნობდა სარჩელს და არ ეთანხმებოდა სასარჩელო მოთხოვნას.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 105-ე და 134-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მოცემულ საქმეზე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განმარტება იმის თაობაზე, რომ ზ. ბ-ეს სიტყვიერად მიანიჭა გენერლის წოდება სასამართლოს მიერ საკმარის მტკიცებულებად ვერ იქნებოდა მიჩნეული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული უდავო ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისა და სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ მტკიცებულებათა გათვალისწინებით, მოსარჩელის მიერ სრულყოფილად ვერ იქნა წარდგენილი მისთვის გენერლის წოდების მინიჭების შესახებ დამადასტურებელი მტკიცებულებანი, რის გამოც მისი სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ბ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. ამასთან, აპელანტმა მოითხოვა მოწმეთა დაკითხვის შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 აპრილის საოქმო განჩინების გაუქმება და სააპელაციო წესით საქმის განხილვისას მოწმეთა დაკითხვის თაობაზე იშუამდგომლა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 3 დეკემბრის საოქმო განჩინებით ზ. ბ-ის შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 დეკემბრის განჩინებით ზ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სა-

სამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები და დამატებით განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ზ. ბ-ის აღიარებითი სარჩელის მოთხოვნა – განეკუთვნებოდა არა სამართლებრივი მდგომარეობის დადგენას, არამედ, უფლების აღიარების (გენერალ-მაიორის ნოდების ტარების უფლების დადგენა) შემთხვევას. კერძოდ, ზ. ბ-ე ითხოვდა დადასტურებულიყო ის ფაქტი, რომ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარემ – შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ედუარდ შევარდნაძემ მას – ზ. ბ-ეს (მ-ს) გენერალ-მაიორის ნოდება 1992 წელს (საომარი მოქმედების დროს) მიანიჭა და აღიარებულიყო მისი უფლება გენერალ-მაიორის ნოდების ტარებაზე. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამ უფლების აღიარებისათვის, საქმეზე წარდგენილი უნდა ყოფილიყო იმგვარი მტკიცებულებები, რაც უტყუარს გახდიდა, რომ ზ. ბ-ეს გენერლის ნოდება მიენიჭა, ნოდებათა მინიჭების შესაბამისი კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სამხედრო და სპეციალური ნოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის (1993 წლის რედაქცია) თანახმად, სამხედრო და სპეციალური ნოდებები და დიპლომატიური რანგები ენიჭებოდათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს მათი სამსახურებრივი მდგომარეობის, ნამსახურები წლების, სამხედრო და სპეციალური მომზადების, აგრეთვე დამსახურების შესაბამისად. ამავე კანონის მე-4 მუხლის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების, სამხედრო მოსამსახურეთა და მათთან გათანაბრებულ პირთათვის თანამდებობრივი მდგომარეობისა და ნამსახურობისათვის დაწესებული იყო შემდეგი სამხედრო ნოდებები: რიგითი (სამხედრო-საზღვაო ძალებში – მატროსი), უმცროსი სერჟანტი, სერჟანტი, უფროსი სერჟანტი, ზემდეგი (სამხედრო-საზღვაო ძალებში – მიჩმანი) და ოფიცერთა შემადგენლობის ნოდებები. ნოდებათა მინიჭების წესი განისაზღვრება შესაბამისი წესდებებით. სამხედრო ნოდებებს ანიჭებდა: საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი და სასაზღვრო ჯარების სარდალი. ხოლო აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ოფიცერთა შემადგენლობისა და მათთან გათანაბრებულ პირთათვის დაწესებული იყო უმცროს, უფროს და უმაღლეს ოფიცერთა შე-



მადგენლობის სამხედრო წოდებები. გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება კი უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობას განეკუთვნებოდა. მე-6 მუხლის თანახმად, არმიის გენერლის და ადმირალის სამხედრო წოდებები მიენიჭებოდათ მხოლოდ ომის დროს, განსაკუთრებული საბრძოლო დამსახურებისათვის. სასაზღვრო ჯარების და შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდლებს, აგრეთვე ჯარების სახეობათა სარდლებს მიენიჭებოდათ სამხედრო წოდება არა უმაღლეს გენერალ-ლეიტენანტისა (ვიცე-ადმირალი). ხოლო ამავე კანონის მე-9 მუხლის მეორე წინადადების თანახმად – უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობას, აგრეთვე სამხედრო სასამართლოების მოსამართლეებს სამხედრო წოდებებს ანიჭებდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აპელანტის მოთხოვნას წარმოადგენდა გენერალ-მაიორის წოდების ტარების უფლების აღიარება. მოთხოვნის სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებად, კი მითითებული იყო საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 2011 წლის 18 ოქტომბერს გაცემული ხელწერილი (იმის თაობაზე, რომ ის ზ. ბ.-ისათვის სამხედრო (გენერლის) წოდების სიტყვიერად მინიჭებას ადასტურებდა); ასევე დოკუმენტები, რომლებშიც ზ. ბ.-ე მოხსენიებული იყო გენერლად, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შეიარაღებული ძალების ...-ე ... ბრიგადის მეთაურის 1993 წლის 30 ივნისის №231 ბრძანება, სადაც მითითებული იყო, რომ გენერალ ზ. მ.-ის მეთაურობით საქართველოს ... შეიარაღებული დაცვის სპეციალიზირებული ასეულის პირადი შემადგენლობა, შეყვანილი იქნა ...-ე ... ბრიგადის შემადგენლობაში და აყვანილი იქნა ყველა სახის კმაყოფაზე 1993 წლის 15 ივნისიდან. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სხვა სახის მტკიცებულება ხსენებული ფაქტის დასადასტურებლად წარმოდგენილი არ ყოფილა. აპელანტის მიერ წარდგენილი იყო მისი სამსახურებრივი მდგომარეობის, ნამსახურები წლების და დამსახურებების თაობაზე დამადასტურებელი დოკუმენტები, თუმცა საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებით ვერ დგინდებოდა ზ. ბ.-ისათვის გენერალ-მაიორის წოდების მინიჭების ფაქტი.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამართლის ნორმის არსებობა, რომელიც პირს კონკრეტული გარემოებების არსებობის შემთხვევაში შესაბამის წოდებას ანიჭებდა, არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ ამ პირს კონკრეტული სამართლებრივი შედეგი წარმოშობოდა. სამართლებრივი ურთიერთობის ან უფლების არსებობა-არარსებობის დადგენა იურიდიულ ფაქტებ-



თან იყო დაკავშირებული. თუ სადავო ურთიერთობაში სამართლებრივი ურთიერთობისთვის დამახასიათებელი და აუცილებელი ელემენტები არ იყო სახეზე, მაშინ იგი ვერანაირ სამართლებრივ შედეგს ვერ შეუქმნიდა ამ ურთიერთობაში მონაწილე პირს. განსახილველ შემთხვევაში, მართალია, აპელანტი სამხედრო ნოდების მინიჭების ფაქტს ადასტურებდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 2011 წლის 18 ოქტომბერს გაცემული ხელწერილით, იმის თაობაზე, რომ მან ზ. ბ-ეს სამხედრო (გენერლის) ნოდება ზეპირსიტყვიერად მიანიჭა, მაგრამ სასამართლომ აღნიშნული გარემოება ვერ მიიჩნია სამართლებრივი მნიშვნელობის მქონედ, რადგანაც ზეპირსიტყვიერად მინიჭებული ნოდება ამ ფაქტის სამართლებრივი კვალიფიკაციის საშუალებას არ იძლეოდა, ის მოითხოვდა სამართლებრივ რეგულირებას. კერძოდ, სამხედრო ნოდების მინიჭება ხორციელდებოდა უფლებამოსილი პირის წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, ზ. ბ-ისათვის გენერალ-მაიორის ნოდების მინიჭების საკითხის დასადგენად, აპელანტს, მინიმუმ, უნდა წარმოედგინა უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ზ. ბ-ე იყო გენერალ-მაიორის ნოდების მატარებელი და რომლითაც ეჭვქვეშ არ დადგებოდა ნოდების კანონით დადგენილი წესით მინიჭების ფაქტი. ხოლო, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 2011 წლის 18 ოქტომბერს გაცემული ხელწერილით დასტურდებოდა, რომ ზ. ბ-ესთან მიმართებაში არ გაცემულა სათანადო ბრძანება/განკარგულება ნოდების მინიჭების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით აპელანტი ასევე სადავოდ ხდიდა პირველი ინსტანციის სასამართლოს საოქმო განჩინებას მოწმეთა დაკითხვის თაობაზე უარის თქმის შესახებ. სასამართლოს მოსაზრებით, ზემოთ მითითებული განჩინება იყო კანონიერი და არ არსებობდა მისი გაუქმების საფუძველები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილზე მითითებით, რომლის მიხედვითაც, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სააპელაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ, სწორედ, აღნიშნული სამართლებრივი საფუძველით არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა მოწმეთა დაკითხვის შესახებ, რაც სრულიად მართებული იყო, ვინაიდან, ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, მტკიცებულებათა მიღება და

შეგროვება უნდა განხორციელებულიყო განკუთვნიებადობისა და დასაშვებობის პრინციპების გათვალისწინებით. კანონი დაუშვებელ მტკიცებულებათა რიგს, გარდა კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებებისა, მიაკუთვნებდა ასევე, ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც, მიუხედავად მათი შინაარსისა, არ იყო ვარგისი კონკრეტული გარემოების დასამტკიცებლად. მოცემულ საქმეზე, მონმეთა დაკითხვა, სწორედ ამგვარ მტკიცებულებად განიხილებოდა, რადგან მათ, რომც დაედასტურებიანათ ზ. ბ-ისთვის გენერლის ნოდების მინიჭების ფაქტი, ეს იქნებოდა მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის და ის ვერც ცალკე და ვერც სხვა საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, ვერ გამოიწვევდა იმ სამართლებრივ შედეგს, რომელსაც აპელანტი მოითხოვდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლზე, ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლზე და განმარტა, რომ ზოგადი წესის თანახმად, თითოეულ მხარეს უნდა დაემტკიცებინა გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებდა თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მტკიცების ტვირთი მოიცავდა აგრეთვე ფაქტების მითითების ტვირთსაც. თითოეულ მხარეს უნდა მიეთითებინა თავის სასარგებლოდ მოქმედ გარემოებებზე და თუ იგი სადავო გახდებოდა, უნდა დაემტკიცებინა ამ გარემოების არსებობა ან არარსებობა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ საქმეზე, აპელანტმა (მოსარჩელე) მხარემ თავი ვერ გაართვა მტკიცების ტვირთს. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ ზ. ბ-ის მიერ აღძრული აღიარებითი სარჩელი იყო უსაფუძვლო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ბ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. კასატორმა ასევე მოითხოვა მონმეთა დაკითხვის შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 აპრილის საოქმო განჩინების გაუქმება და საკასაციო წესით საქმის განხილვისას მონმეთა დაკითხვის თაობაზე იშუამდგომლა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ დადგენილად არ ცნო ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ზ. ბ-ე სხვადასხვა ოფიციალურ დოკუმენტებში მოიხსენიებოდა გენერლად, მათ შო-

რის, სასამართლო გადაწყვეტილებაში, ასევე №231 ბრძანებაში. კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენა გავლენას იქონიებდა სასამართლო გადაწყვეტილებაზე, ვინაიდან დასახელებული გარემოებები არაპირდაპირ ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ ზ. ბ-ეს მიენიჭა გენერლის წოდება, სხვა შემთხვევაში, ოფიციალურ დოკუმენტებში ზ. ბ-ის გენერლად მოხსენიება არ მოხდებოდა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთადერთ საფუძველად მიუთითა ის გარემოება, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის განმარტების გარდა, რომელიც ადასტურებდა ზ. ბ-ესთვის გენერლის წოდების მინიჭების ფაქტს, მოსარჩელის მხრიდან სხვა მტკიცებულება სასამართლოში წარდგენილი არ ყოფილა, შესაბამისად, სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ სრულყოფილად ვერ იქნა წარდგენილი მისი გენერლის წოდების მინიჭების შესახებ დამადასტურებელი მტკიცებულებები, რის გამოც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

კასატორმა აღნიშნა, რომ მის მიერ სასამართლოში წარდგენილი იქნა სხვა მტკიცებულებებიც, რომლებიც ადასტურებდა ზ. ბ-ის გენერლობას. საუბარია ზემოთ დასახელებულ დოკუმენტებზე. გარდა ამისა, კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია საქმისთვის მნიშვნელობის არმქონედ მოწმეების დაკითხვა, რომლებიც უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში, მსგავსად ზ. ბ-ისა, და რომლებიც უშუალოდ ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტის მიერ ზ. ბ-ისთვის გენერლის წოდების მინიჭების ფაქტს. აღნიშნული პირების ჩვენებით დადასტურდებოდა ზ. ბ-ისთვის გენერლის წოდების მინიჭების ფაქტი, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი გახდებოდა.

კასატორმა ასევე აღნიშნა, რომ სასამართლომ მტკიცებულებითი ძალა არ მიანიჭა ედუარდ შევარდნაძის განმარტებას და არასწორად მიიჩნია, რომ ვინაიდან, ედუარდ შევარდნაძე ხელწერილის გაცემის დროისთვის არ იყო ადმინისტრაციული ორგანო და არც მისი ხელმძღვანელი, აღნიშნულის გამო ვერ ჩაითვლებოდა მისი ქმედება ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებად და შესაბამისად, საჭირო მტკიცებულებად.

კასატორმა აღნიშნა, რომ მას არც ჰქონდა ინტერესი, ედუარდ შევარდნაძის ხელწერილი აღიარებულიყო ადმინისტრაციულ დაპირებად. ასე რომ ყოფილიყო, ის წარადგენდა არა აღიარებით სარჩელს, არამედ – სარჩელს ქმედების განხორციელების თაობაზე. შესაბამისად, მისი განმარტებით, მან აღნიშნუ-

ლი ხელნერილი წარადგინა ერთ-ერთ მტკიცებულებად, რომელიც უნდა განხილულიყო სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. კასატორმა მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება იყო დაუსაბუთებელი და არსებობდა მისი გაუქმების და ახალი განწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 3 აპრილის განჩინებით ზ. ბ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 აპრილის საოქმო განჩინების გაუქმების ნაწილში დარჩა განუხილველი დაუმეგობლობის გამო; ზ. ბ-ის შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 3 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ზ. ბ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა„ ქვეუწყების შესაბამისად, დასაშვებლად იქნა ცნობილი ზ. ბ-ის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ზ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ 2011 წლის 5 აპრილს გაცემული საინფორმაციო ბარათით დასტურდება ის გარემოება, რომ ზ. ბ. ძე მ-მა შეიცვალა გვარი და გახდა ზ. ბ. ძე ბ-ე. 1992-1993 წლებში აფხაზეთის ცნობილი მოვლენების დროს ზ. ბ-ე იყო საქართველოს შეიარაღებული ... სამსახურის უფროსი, რომელიც შეიქმნა ... გასამხედროებული დაცვის განყოფილების ბაზაზე ... ობიექტზე გახშირებული თავდასხმების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სოციალურ საკითხების საგზაო კომისიის 1992 წლის 8 ოქტომბრის №3 სხდომის ოქმით დასტურდება, რომ

მიღებული იქნა საქართველოს ... შეიარაღებული დაცვის სამსახურის უფროსის ზ. მ-ის წინადადება რესპუბლიკაში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით ... დაცვის ცალკე ბატალიონის შექმნის შესახებ. ასევე შეიქმნა შტაბი, რომელიც უხელმძღვანელებდა ბატალიონს ჩამოყალიბების სამუშაოებში, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 9 პირი, მათ შორის ზ. მ-ი – შეიარაღებული დაცვის სამსახურის უფროსი.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ შპს „...“ მიერ 2006 წლის 21 ივლისს გაცემული №აპ-5347 საარქივო ცნობის შესაბამისად დასტურდება, რომ ზ. ბ. ძე მ-ი 1992 წლის 8 ივლისს დაინიშნა საქართველოს ... შეიარაღებული დაცვის სამსახურის თანამდებობაზე. 1994 წლის 1 ივლისს დაინიშნა საქართველოს ... დეპარტამენტის საუნწყებო დაცვის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე და გათავისუფლდა ... შეიარაღებული დაცვის სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გადაყვანის წესით. 1996 წლის 23 მაისიდან გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

საქმეში წარმოდგენილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის მიერ 1994 წელს გაცემული საბრძოლო მოკვლევით ასევე დასტურდება, რომ ... სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფის მეთაური ზ. ბ. ძე მ-ი 1993 წლის 30 ივნისიდან 06 ივლისამდე იმყოფებოდა ...-ე ბრიგადის მეთაურის, გენერალ გ. ა-ას დავალებით ... დასაცავად, სადაც 6 ივლისს ბრძოლის დროს ჩავარდა ტყვედ აფხაზი სეპარატისტების ხელში. ტყვეობაში იმყოფებოდა გაცვლამდე 1993 წლის 19 დეკემბრამდე.

საკასაციო სასამართლო, ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ...-ე ... ბრიგადის მეთაურის 1993 წლის 30 ივნისის №231 ბრძანებით შეყვანილი იქნა ...-ე ... ბრიგადის შემადგენლობაში და აყვანილი იქნა ყველა სახის კმაყოფაზე ... შეიარაღებული დაცვის სპეციალიზირებული ასეულის პირადი შემადგენლობა, გენერალ ზ. მ-ის მეთაურობით 1993 წლის 15 ივნისიდან.

ამასთან, საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის – ედუარდ შევარდნაძის 2011 წლის 18 ოქტომბერს გაცემულ წერილობითი განმარტების თანახმად, იგი ადასტურებს, რომ ზ. ბ-ეს სამხედრო (გენერლის) წოდება სიტყვიერად მიანიჭა, უბრალოდ ვერ იხსენებს რატომ არ გაფორმდა ეს განკარგულება წერილობით.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2013 წლის 11 აპრილის №... წე-

რილით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში 2013 წლის 22 მარტს წარდგენილ №... წერილზე ეცნობა, რომ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის თანახმად, უმაღლესი ოფიცრის სამხედრო ნოდებებს ანიჭებდა საქართველოს პრეზიდენტი, რის გამოც საკითხის გადაწყვეტა სცილდებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კომპეტენციას. ასევე განიმარტა, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ მოძიებული იქნა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც ინახებოდა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტროს მიერ მოკვლეული მასალები დამატებით გაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მოკვლეული მასალების ფარგლებში დადგენილ იქნა ის გარემოება, რომ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს 1992 წლის 23 დეკემბრის №34 დადგენილების თანახმად, ქ. თბილისში შეიქმნა მუდმივმოქმედი შტაბი, რომელიც ხელმძღვანელობდა ... დაცვის შესაბამის სამსახურებს. ზემოაღნიშნული შტაბის ერთ-ერთი წევრი იყო პოლიციის პოლკოვნიკი – ზ. მ-ი, ... პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე. ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის ... შინაგან საქმეთა სამმართველოს 1993 წლის 13 იანვრის ბრძანებით პირად შემადგენლობასთან მუშაობის სრულყოფისათვის, სამმართველოს ცენტრალური აპარატის პირად შემადგენლობაში ცვლილებებთან დაკავშირებით განახლდა საქართველოს საატესტაციო კომისიის შემადგენლობა, რომლის ერთ-ერთი წევრი იყო – პოლიციის პოლკოვნიკი ზ. მ-ი.

გარდა ამისა, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ყ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2012 წლის №... წერილით დასტურდება ის გარემოება, რომ ყ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის საარქივო მასალებში, 1996 წლის ივლისის №... ბრძანების შესაბამისად თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს მიერ ჩატარებული მოკვლევის მასალები ზ. ბ-ის (მ-ის) შესახებ არ მოიპოვება.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლზე და განმარტავს, რომ აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას,

როგორც უფლების აღიარების, ასევე სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის მიზნით. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელის კანონიერი ინტერესის არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია აღიაროს (დაადასტუროს) კონკრეტული უფლების არსებობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მხარე წარადგენს აღნიშნული გარემოების დამადასტურებელ უდავო მტკიცებულებებს. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღიარებითი სარჩელის სპეციფიკურობა გამომდინარეობს იქიდან, რომ სასამართლო უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე მხოლოდ აღიარებს (ადასტურებს) კონკრეტული უფლების არსებობის ფაქტს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში, ზ. ბ-ის აღიარებითი სარჩელის მოთხოვნა განეკუთვნება უფლების აღიარების (გენერალ-მაიორის სამხედრო წოდების ტარების უფლების დადგენა) შემთხვევას, კერძოდ, ზ. ბ-ე ითხოვს დადასტურდეს ის ფაქტი, რომ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარემ – შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ედუარდ შევარდნაძემ 1992 წელს (საომარი მოქმედების დროს) მას – ზ. ბ-ეს (მ-ს) გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება მიანიჭა. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამ ფაქტის აღიარებისათვის, საქმეზე წარმოდგენილი უნდა იყოს იმგვარი მტკიცებულებები, რომელიც უტყუარს გახდის, რომ ზ. ბ-ეს (მ-ს) გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება მიენიჭა, წოდებათა მინიჭების შესაბამისი კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი სარჩელის ძირითად ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველად მითითებული არის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 2011 წლის 18 ოქტომბერს გაცემული ხელწერილი (ზ. ბ-ისათვის სამხედრო (გენერლის) წოდების სიტყვიერად მინიჭების ფაქტის დადასტურების შესახებ) და საქართველოს შეიარაღებული ძალების ...-ე ... ბრიგადის მეთაურის 1993 წლის 30 ივნისის №... ბრძანება (სადაც მითითებული არის, რომ გენერალ ზ. მ-ის მეთაურობით საქართველოს ... შეიარაღებული დაცვის სპეციალიზირებული ასეულის პირადი შემადგენლობა, 1993 წლის 15 ივნისიდან შეყვანილი იქნა ...-ე ... ბრიგადის შემადგენლობაში და აყვანილი იქნა ყველა სახის კმაცოფაზე).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმის დასაადგე-



ნად, თუ შესაბამისი ფაქტის დასადასტურებლად რამდენად არის საკმარისი საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, აუცილებელია შეფასება მივცეთ სადავო პერიოდში მოქმედ საკანონმდებლო აქტებს და წოდებათა მინიჭების შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი „სამხედრო და სპეციალური წოდებების და დიპლომატიური რანგების შესახებ“ კანონის თანახმად, სამხედრო და სპეციალური წოდებები და დიპლომატიური რანგები ენიჭებოდათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს მათი სამსახურებრივი მდგომარეობის, ნამსახურები წლების, სამხედრო და სპეციალური მომზადების, აგრეთვე დამსახურების შესაბამისად. ამავე კანონის მე-4 მუხლის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების, სამხედრო მოსამსახურეთა და მათთან გათანაბრებულ პირთათვის თანამდებობრივი მდგომარეობისა და ნამსახურობისათვის დაწესებული იყო შემდეგი სამხედრო წოდებები: რიგითი (სამხედრო-საზღვაო ძალებში – მატროსი), უმცროსი – სერჟანტი, სერჟანტი, უფროსი სერჟანტი, ზემდეგი (სამხედრო-საზღვაო ძალებში – მიჩმანი) და ოფიცერთა შემადგენლობის წოდებები. წოდებათა მინიჭების წესი განისაზღვრებოდა შესაბამისი წესდებებით. სამხედრო წოდებებს ანიჭებდა: საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი და სასაზღვრო ჯარების სარდალი. ხოლო აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ოფიცერთა შემადგენლობისა და მათთან გათანაბრებულ პირთათვის დაწესებული იყო უმცროს, უფროს და უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო წოდებები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობას განეკუთვნებოდა და ზემოაღნიშნული კანონის მე-9 მუხლის მეორე წინადადების შესაბამისად – უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობას, აგრეთვე სამხედრო სასამართლოების მოსამართლეებს სამხედრო წოდებებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ანიჭებდა. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უმაღლესი რანგის ოფიცრისათვის წოდების მინიჭების ექსკლუზიური უფლებამოსილება მხოლოდ სახელმწიფო მეთაურს გააჩნდა (დღეს მოქმედი კანონმდებლობითაც მხოლოდ სახელმწიფო მეთაურის კომპეტენციაა).

უდავოდ დადგენილია ის გარემოება, რომ სახელმწიფო მე-



თაურის – ედუარდ შევარდნაძის მიერ არც უშუალოდ ზ. ბ-ისათვის გენერალ-მაიორის წოდების მინიჭების შესახებ შესაბამისი აქტი და არც სხვა რაიმე სახის საერთო ხასიათის დოკუმენტი 1991-1993 წლებში საომარი პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო მეთაურის მიერ ზეპირსიტყვიერად მინიჭებული წოდებების დადასტურების შესახებ არ გამოცემულა, როგორც ეს მაგალითად საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1996 წლის ივლისის №... ბრძანებით განხორციელდა, კერძოდ, თავდაცვის სამინისტროსათვის შესაბამისი მტკიცებულებების (მეთაურების, თანამებრძოლების ახსნა-განმარტებები, ამონაწერები უწყისეზიდან, ბრძანების ამონაწერი თანამდებობაზე დანიშვნაზე ან გადაადგილებაზე, როგორც ოფიცრისა და სხვა) წარდგენის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურეებს დაუდასტურდათ თავდაცვის მინისტრის, მინისტრის მოადგილეებისა და საარმიო კორპუსის მეთაურების მიერ მათთვის სამხედრო წოდების ზეპირსიტყვიერად მინიჭების ფაქტი. ზოგიერთ შემთხვევაში კი მტკიცებულებების არასაკმარისობის შემთხვევაში საკითხის ყოველმხრივ შესწავლის მიზნით დაიწყო მოკვლევა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ყ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2012 წლის №... წერილის თანახმად, ყ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის საარქივო მასალებში, 1996 წლის ივლისის №... ბრძანების შესაბამისად თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს მიერ ჩატარებული მოკვლევის მასალები ზ. ბ-ის (მ-ის) შესახებ არ მოიპოვება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი ერთადერთი ძირითადი დოკუმენტი, რომელიც ზ. ბ-ისათვის სამხედრო (გენერლის) წოდების მინიჭების ფაქტზე მიუთითებს ეს არის ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განმარტება, რომელიც ადასტურებს ზეპირსიტყვიერად ზ. ბ-ისათვის სამხედრო გენერლის წოდების მინიჭების ფაქტს და თუმცა, ზუსტად ვერ იხსენებს შესაბამისი ბრძანების გამოუცემლობის მიზეზს.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმის თაობაზე, რომ ყოფილი პრეზიდენტის – ედუარდ შევარდნაძის განმარტების მიმართ არ შეიძლება არსებობდეს კანონიერი ნდობა, რადგან იგი შესაბამისი განმარტების მიცემის დროს თანამდებობის პირს აღარ წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს კა-

ნონიერი ნდობა წარმოადგენს. კანონიერი ნდობის უფლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს, რადგან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას თავისი არსით სუბორდინაციული ხასიათი გააჩნია. კანონიერი ნდობის უფლება იცავს პირს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შეცდომისა და მომავალში განსახორციელებელი მოქმედების შეუსრულებლობისაგან. აღნიშნული ინსტიტუტის სრულფასოვანი დამკვიდრება უზრუნველყოფს მმართველობის კანონიერებას, სტაბილურობას, მის ავტორიტეტს საზოგადოებაში.

კანონიერი ნდობის ინსტიტუტის არსებობა პირდაპირ კავშირშია სამართლებრივ შედეგთან, სწორედ სამართლებრივი შედეგის სტაბილურობის შენარჩუნების მიზანს ემსახურება კანონიერი ნდობის დაცვა. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შეუძლებელია კანონიერი ნდობა არსებობდეს იმ პირის ქმედების მიმართ, რომელიც ამ ქმედების განხორციელების ეტაპზე არც ადმინისტრაციულ ორგანოს და არც შესაბამის თანამდებობის პირს აღარ წარმოადგენს და, ბუნებრივია, მის ქმედებას თუ დაპირებას ვერანაირი სამართლებრივი შედეგი ვერ მოჰყვება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ყოფილი პრეზიდენტის – ედუარდ შევარდნაძის ახსნა-განმარტება უმაღლესი ოფიცრის სამხედრო წოდების ზეპირსიტყვიერად მინიჭების თაობაზე არ შეიძლება განხილული იქნეს იმ საკმარის მტკიცებულებად, რომელიც თუნდაც საქართველოს შეიარაღებული ძალების ...-ე ... ბრიგადის მეთაურის 1993 წლის 30 ივნისის №... ბრძანებასთან ერთად შეიძლება გენერალ-მაიორის სამხედრო წოდების მინიჭების ფაქტის უდავოდ დადასტურების საფუძველი გახდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზ. ბ.-ისათვის გენერალ-მაიორის სამხედრო წოდების მინიჭების შესაძლებლობის განსასაზღვრად აუცილებელია შეფასდეს ის კრიტერიუმები, თუ რა უნდა დაეკმაყოფილებინა მოსამსახურეს, რომ მას შესაბამისი წოდება მინიჭებოდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სამხედრო და სპეციალური წოდებების და დიპლომატიური რანგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლზე, რომლის თანახმადაც სამხედრო წოდების მინიჭება ხორციელდებოდა თანმიმდევრულად და სამხედრო წოდების მინიჭება საფეხურგამოშვებით დაუშვებელი იყო (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა). ამავე კანონის მე-8 მუხლით განისაზღვრებოდა შესაბამისი წოდებისათ-

ვის სამსახურის გავლის ვადები, თუმცა უმაღლესი ოფიცრის სამხედრო ნოდების მისანიჭებლად სამსახურის ვადა არ წესდება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს „სამხედრო და სპეციალური ნოდების და დიპლომატიური რანგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლზე, რომლის თანახმადაც, გენერალ-მაიორის ნოდების წინა საფეხურს პოლკოვნიკის ნოდება წარმოადგენდა. ამდენად, გენერალ-მაიორის ნოდების მისანიჭებლად აუცილებელი იყო, რომ ზ. ბ-ეს პოლკოვნიკის ნოდება ჰქონოდა.

საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებში – საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს 1992 წლის 23 დეკემბრის №34 დადგენილების შესაბამისად, შტაბის შემადგენლობის განსაზღვრის 1993 წლის 4 იანვრის აქტში და საქართველოს რესპუბლიკის ... შინაგან საქმეთა სამმართველოს 1993 წლის 13 იანვრის ბრძანებაში ზ. ბ-ე (მ-ი) მოხსენიებულია არა პოლკოვნიკად (სამხედრო ნოდება), არამედ „პოლიციის“ პოლკოვნიკად, რაც საერთოდ ცალკე სპეციალურ ნოდებას მიეკუთვნებოდა (მიეკუთვნება) და განსხვავებულ რეგულირებას ექვემდებარებოდა, მართალია მასზე ვრცელდებოდა აღნიშნული კანონი, მაგრამ სპეციალური ნოდების მინიჭების საკითხს სულ სხვა მუხლი, კერძოდ, მე-13 მუხლი არეგულირებდა. ამასთან, მართალია, სპეციალური ნოდების მქონე პირებს უმაღლესი ოფიცრის (მოცემულ შემთხვევაში, გენერალ-მაიორის) სტატუსს სახელმწიფო მეთაური ანიჭებდა/ანიჭებს (მე-13 მუხლი), მაგრამ იმ განსხვავებით, რომ შესაბამის ნოდებას წინ უნდა დაემატოს სიტყვა „პოლიციის“. საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია ის გარემოება, რომ ზ. ბ-ე სწორედ გენერალ-მაიორის სამხედრო ნოდებას ითხოვს და მას „პოლიციის“ გენერალ-მაიორობის მინიჭების თაობაზე არსად არ მიუთითებია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სპეციალური ნოდების მქონე პირისათვის სამხედრო ნოდების მინიჭება დაუშვებელია, გარდა, შესაბამისი ნოდების გათანაბრებისა, რაც რეალურად „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2008 წლის 19 დეკემბერს განხორციელებული ცვლილების შემდგომ გახდა შესაძლებელი, კერძოდ, კანონს დაემატა 463 მუხლი, რომლის შესაბამისადაც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან საქართველოს შეიარაღე-

ბულ ქალაქში 2008 წლის 1 დეკემბრიდან 2009 წლის 1 თებერვლამდე გადასულ პირთა სპეციალური წოდებები გაუთანაბრდა შესაბამის სამხედრო წოდებებს და მიენიჭათ მათი სპეციალური წოდების შესაბამისი სამხედრო წოდება. ამდენად, ზემოაღნიშნული კანონი (1997 წლის კანონი) და შესაბამისი ცვლილებები (2008 წელს განხორციელებული) ზ. ბ-ეზე ვერანაირად ვერ გავრცელდებოდა. ამასთან, საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე დოკუმენტი ზ. ბ-ის (მ-ის) წოდების სამხედრო წოდებასთან გათანაბრების ან ზოგადად სპეციალური წოდების მქონე პირთა სამხედრო წოდების მქონე პირებთან გათანაბრების თაობაზე, ამასთან, საგულისხმოა ის გარემოება, რომ ყოფილი სახელმწიფო მეთაური ედუარდ შევარდნაძე ადასტურებდა ზ. ბ-ისათვის სწორედ სამხედრო (გენერლის) წოდების მინიჭების ფაქტს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში შეუძლებელია დადგინდეს ის ფაქტი, რომ „პოლიციის“ პოლკოვნიკ ზ. ბ-ეს (მ-ს) გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება მიენიჭა, რადგან ეს თავისთავად ეწინააღმდეგება როგორც სადავო პერიოდში მოქმედ, ისე ამჟამად მოქმედ კანონმდებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ (კასატორმა) ვერ წარმოადგინა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები, მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები კი თავის მხრივ წინააღმდეგობრივია, რის გამოც ზ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ზ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სარჩელის მიზანი ინდივიდუალურ  
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის  
გამოცემაზე უარის თქმის შემთხვევაში**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-638-631(ვკს-15)

10 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** საქმის წარმოების შეწყვეტისა და ადვოკა-  
ტის მომსახურების ხარჯების დაკისრების კანონიერება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 7 ნოემბერს მ. ბ-ამ სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახ-  
ლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკ-  
მაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ოკუპირე-  
ბული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,  
განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2014 წლის 6 ოქტომ-  
ბრის №... ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი  
აქტის, ასევე საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე უა-  
რის თქმის შესახებ აქტების (გადაწყვეტილებების) ბათილად  
ცნობა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძუ-  
ლებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილ-  
თა სამინისტროსათვის ქმედების განხორციელების დავალეზა,  
კერძოდ, მ. ბ-ას ოჯახისათვის საქართველოს ოკუპირებული ტე-  
რიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლე-  
ბისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320  
ბრძანებით დამტკიცებული №5 დანართით დადგენილი სოცია-  
ლური კრიტერიუმის გათვალისწინებით ქულის მინიჭებისას და-  
ბალი შემოსავლის მაჩვენებლით ქულის მინიჭება, საბოლოოდ,  
ოჯახის შეფასების მაჩვენებლად დაბალი შემოსავლის მაჩვენ-

ნებლის 1 ქულით, სოციალური სიღარიბის კრიტერიუმში 3 ქუ-  
ლით განსაზღვრა და ქალაქ ფოთში, ... მდებარე ობიექტზე მ. ბ-  
ას ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველ-  
ყოფის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის გამოცემის საქართველოს ოკუპირებული ტე-  
რიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლე-  
ბისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის დავალება. ამასთან,  
მოსარჩელემ იშუამდგომლა საქართველოს ადმინისტრაციული  
საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამი-  
სად, საქმეში მესამე პირებად რ. ბ-ას, რუ. ბ-ას, ლ. ბ-ას, ლ. ნ-ის,  
თ. ბ-ას, ა. ბ-ასა და ე. ბ-ას ჩაბმის შესახებ.

მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შედეგად  
მოითხოვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან  
იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლ-  
ვილთა სამინისტროს 2014 წლის 6 ოქტომბრის №... ინდივიდუა-  
ლურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნო-  
ბა, ქალაქ ფოთში, მალთაყვაში მდებარე ობიექტზე მ. ბ-ასა და  
მისი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნ-  
ველყოფის შესახებ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-  
სამართლებრივი აქტის გამოცემის საქართველოს ოკუპირებუ-  
ლი ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, გან-  
სახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის დავალება,  
ასევე, მოსარჩელის მიერ განეული პროცესის ხარჯების – წარ-  
მომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი ორი  
დოკუმენტის სანოტარო წესით გაფორმებისათვის 24 (12X2) ლა-  
რის, მგზავრობის ხარჯის – სულ 86 ლარის, საფოსტო მომსახუ-  
რების ხარჯის – 6,4 (3,2X2) ლარის, ადვოკატის დახმარებისათ-  
ვის 2000 ლარის ანაზღაურების საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახ-  
ლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2015 წლის 12 იანვრის განჩინებით საქართვე-  
ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის  
მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ რ.  
ბ-ა, რუ. ბ-ა, ლ. ბ-ა, ლ. ნ-ე, თ. ბ-ა, ა. ბ-ა და ე. ბ-ა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ბ-  
ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გა-  
დაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპი-  
რებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირ-  
თა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 6

ოქტომბრის №... ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. ბ-ას ოჯახის საცხოვრებელი უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მ. ბ-ას სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მიერ განეული პროცესის ხარჯის ანაზღაურება 116,4 ლარის ოდენობით; ხოლო ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1-ლი პუნქტის გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მ. ბ-ას სარჩელის სრულად დაკმაყოფილება; გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის გაუქმება და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 6 ოქტომბრის №... ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის გაუქმება, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურებაზე და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ადვოკატის მომსახურების ხარჯის – 2000 ლარის სრულად ანაზღაურება. აპელანტმა, ასევე მოითხოვა სააპელაციო სასამართლოში ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის – 2400 ლარის ანაზღაურების საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის დაკისრება მ. ბ-ას სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენელმა სასამართლოს წარუდგინა დევნილ-



თა საცხოვრებელი უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 8 ივნისის №... ბრძანება, რომლის თანახმად, ქ. ფოთში, ... №7-ში მდებარე, რეაბილიტირებულ შენობაში და მალთაყვავაში, ახალ დასახლებაში, ... და ... ქუჩებზე არსებულ კორპუსებში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბინებით უზრუნველყოფილ იქნენ დევნილთა ოჯახები თანდართული დანართის შესაბამისად. ბრძანებაზე დართული დანართის თანახმად, მ. ბ-ა ოჯახის წევრებთან ერთად – რ. ბ-ა, ლ. ბ-ა, თ. ბ-ა, რუ. ბ-ა, ლ. ნ-ე, ე. ბ-ა, ა. ბ-ა, დაკმაყოფილებულ იქნენ საცხოვრებელი ფართით ქ. ფოთში, ... აღნიშნულის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენელმა იშუამდგომლა დავის საგნის არარსებობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; მოცემული საქმის წარმოება შეწყდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მ. ბ-ას სასარგებლოდ დაეკისრა პროცესის ხარჯების ანაზღაურება 116,4 ლარის ოდენობით; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მ. ბ-ას სასარგებლოდ დაეკისრა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურება 1000 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ საქმეზე სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 6 ოქტომბრის №... ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის



დავალემა, რომლითაც მოხდებოდა მ. ბ-ასა და მისი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა ქალაქ ფოთში, მდებარე ობიექტზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სასარჩელო მოთხოვნების სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე ცხადი იყო, რომ მოსარჩელის იურიდიული ინტერესი მდგომარეობდა იმაში, რომ მოსარჩელეს სურდა სარჩელის დაკმაყოფილების გზით მოეპოვებინა საცხოვრებელი ფართი ქ. ფოთში, მდებარე შენობაში. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა მ. ბ-ასა და მისი ოჯახის წევრების გრძელვადიანი ფართით უზრუნველყოფა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი, დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 8 ივნისის №... ბრძანება, რომლის თანახმად მ. ბ-ა ოჯახის სხვა წევრებთან ერთად დაკმაყოფილებულ იქნა საცხოვრებელი ფართით, ქმნიდა ფაქტობრივ საფუძველს იმისათვის, რომ მ. ბ-ა და მისი ოჯახი მიჩნეულ ყოფილიყვნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ საცხოვრებელი უზრუნველყოფილ პირებად, რასაც პროცესუალური შედეგის სახით უკავშირდებოდა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ დავის საგნის არარსებობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა1„ ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის აბსოლუტური საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პროცესის ხარჯები უნდა გადაიხადებოდა იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, რომლის მიხედვით, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, მის მიერ განეულ ხარჯებს მოპასუხე არ ანაზღაურებს, მაგრამ თუ მოსარჩელემ მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი სარჩელის აღძვრის შემდეგ, მაშინ მოსარჩელის თხოვნით სასამართლო მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის მიერ განეული ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო განეული ყველა ხარჯის ანაზღაურებას.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მო-

სარჩელის მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული იყო შემდეგი ხარჯი: წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი ორი დოკუმენტის სანოტარო წესით გაფორმებისას 24 (12X2) ლარი, მგზავრობაზე – 86 ლარი, საფოსტო მომსახურებაზე – 6,4 (3,2X2) ლარი, ანუ ჯამში 116,4 ლარი. აღნიშნული თანხის ანაზღაურება სრულად უნდა დაკისრებოდა მოპასუხე მხარეს მოსარჩელე მ. ბ-ას სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ასევე უნდა ანაზღაურებოდა ადვოკატის დახმარებისათვის როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ისე სააპელაციო სასამართლოში განეული ხარჯი, რადგან დადგენილი იყო, რომ მოსარჩელე ორივე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას სარგებლობდა ადვოკატის მომსახურებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, ადვოკატის მომსახურებისათვის მოსარჩელის მიერ განეული ხარჯის ასანაზღაურებლად, მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებისათვის 500-500 ლარის (სულ 1000 ლარი) ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ბ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორმა იშუამდგომლა კერძო საჩივრის ზეპირი მოსმენითა და მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში განხილვის, ხოლო კერძო საჩივრის მხარეთა მონაწილეობის გარეშე განხილვის დადგენის შემთხვევაში, განხილვის თარიღზე მისი ავტორის ან/და მისი წარმომადგენლის ინფორმირებისა და კერძო საჩივრის საკასაციო სასამართლოში განხილვის გამო სამინისტროსათვის ადვოკატის ხარჯის – 2400 ლარის დაკისრების თაობაზე.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა აქტის ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემის დავალება, ხოლო სააპელაციო პალატამ მოპასუხის მხრიდან მხოლოდ ახალი აქტის გამოცემის საფუძველით შეწყვიტა საქმის წარმოება და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება აქტის ბათილად ცნობის ნაწილშიც გააუქმა. მოსარჩელე მხარეს კი, გააჩნდა ინტერესი აქტის ბათილად ცნობის მიმართ, რადგან მოსარჩელეს მოპასუხის უკანონო მოქმედებით მიაღება ზიანი.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება მასზე, რომ მოპასუხემ დავის მიმდინარეობის პროცესში გამოსცა აქტი მოსარჩელის ბინით უზრუნველყოფის შესახებ, დაუსაბუთებელი იყო, რადგან საქმეში არსებული მინისტრის ბრძანების ქსეროასლით და მასზე დართული დანართებით ეს არ დგინდებოდა. იმ პირობებში, მოსარჩელისა და მესამე პირების წინაშე მოპასუხეს ბრძანებით გათვალისწინებული რეალური მოქმედებები არ განუხორციელებია, დაუშვებელი იყო დავის გადაწყვეტა დავის საგნის არარსებობის პროცესუალური საფუძვლით. დანართით არ ვლინდებოდა ამ დანართის წარმომავლობა, რომელი დოკუმენტის დანართ ცხრილს წარმოადგენდა იგი. მინისტრის ბრძანების ასლისა და მისი დანართების ავთენტურობა სადავოდ გახადა აპელანტმა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, მაგრამ აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ მას მტკიცებულების ძალა მიანიჭა.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, დავის საგნის არარსებობის საფუძვლით საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ მსჯელობა დაუსაბუთებელი იყო ასევე იმის გამო, რომ მხოლოდ მინისტრის ბრძანების გამოცემა საკმარისი არ იყო. თუ ამ ბრძანების მიზნების აღსრულება შეუძლებელი იქნებოდა, მიზნის მიუღწევადი, არააღსრულებადი აქტის გამოცემა ვერ ჩაითვლებოდა აქტის გამოცემად. მოპასუხეს სანივთო უფლების გადაცემა აქტის გამოცემით უნდა განეხორციელებინა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მოსარჩელის სახელზე უძრავი ქონების გადაცემით. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით კი, მოსარჩელე ვერ შეძლებდა სანივთო უფლების თვითონ მოპოვებას.

კერძო საჩივრის ავტორმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებლად მიიჩნია ასევე ადვოკატის მომსახურების ხარჯების ნაწილშიც. იმ პირობებში, როდესაც საქმეზე განხორციელდა მიღწევადი მიზნის მქონე მოთხოვნების დაყენება, სრულიად უსამართლოა და საადვოკატო ბაზარზე არსებულ ფასებს არ შეესაბამება ის მოცულობა, რაც დაადგინა სააპელაციო სასამართლომ. სააპელაციო სასამართლომ არ გადაწყვიტა სააპელაციო ინსტანციაში აპელანტის მიერ დაყენებული სხვა საპროცესო ხარჯების საკითხი და მასზე გადაწყვეტილება არ მიუღია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განჩინება მ. ბ-ას სასარგებლოდ ადვოკატის მომსახურების ხარჯის – 1000 ლარის

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის დაკისრების ნაწილში კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტის გაუქმება და აპელანტისათვის ადვოკატის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს განმარტებით, აპელანტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ვერანაირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ადვოკატისათვის თანხის გადახდის ფაქტს და ამ თანხის ოდენობას. არცერთი ინსტანციის სასამართლოში არ ყოფილა წარდგენილი არანაირი მტკიცებულება, რომ ასეთის გადახდა სამომავლოდ მაინც უნდა მომხდარიყო.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად (საქმის განხილვის დროს მოქმედი რედაქცია) თუ მხარე გადახდისუუნაროა და საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, ამ საქმის განხილვაში ადვოკატის მონაწილეობა მიზანშეწონილია, სასამართლოს უფლება აქვს, აღნიშნული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23<sup>1</sup>-ე მუხლით დადგენილ ფარგლებში დანიშნოს ადვოკატი სახელმწიფო ხარჯზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს განმარტებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

2015 წლის 8 სექტემბერს მ. ბ-ამ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას 2015 წლის 22 ივლისის განჩინების განმარტებასთან დაკავშირებით. მ. ბ-ამ მოითხოვა სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად განმარტებულიყო, სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 22 ივლისის განჩინებით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა მ. ბ-ასთან მიმართებაში, თუ ის გაუქმდა მხარის უფლებით აღჭურვილი აუცილებელი მოწვევის მესამე პირების მიმართაც (რომლებსაც არ გაუსა-

ჩივრებიან სააპელაციო წესით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 სექტემბრის განჩინებით მ. ბ-ას შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განჩინების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 სექტემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ბ-ამ, რომელმაც აღნიშნული განჩინების სრულად გაუქმება და საქმის განმხილველი სააპელაციო პალატის შემადგენლობისათვის ამავე შუამდგომლობის განხილვის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორმა იშუამდგომლა კერძო საჩივრის ზეპირი მოსმენისა და მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში განხილვის, ხოლო კერძო საჩივრის მხარეთა მონაწილეობის გარეშე განხილვის დადგენის შემთხვევაში, განხილვის თარიღზე მისი ავტორის ან/და მისი წარმომადგენლის ინფორმირებისა და კერძო საჩივრის საკასაციო სასამართლოში განხილვის გამო სამინისტროსათვის ადვოკატის ხარჯის – 2400 ლარის დაკისრების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით მ. ბ-ასა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კერძო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში და დადგინდა მათი ზეპირი მოსმენით განხილვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 დეკემბრის სხდომაზე დადგინდა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მ. ბ-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით

სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ბ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 6 ოქტომბრის №... ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. ბ-ას ოჯახის საცხოვრებელი უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მ. ბ-ას სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მიერ განეული პროცესის ხარჯის ანაზღაურება 116,4 ლარის ოდენობით; ხოლო ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1-ლი პუნქტის გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მ. ბ-ას სარჩელის სრულად დაკმაყოფილება; გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის გაუქმება და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 6 ოქტომბრის №... ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილების სარე-

ზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის გაუქმება, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურებაზე და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ადვოკატის მომსახურების ხარჯის – 2000 ლარის სრულად ანაზღაურება. აპელანტმა ასევე მოითხოვა სააპელაციო სასამართლოში ადვოკატის მომსახურებისათვის განუღი ხარჯის – 2400 ლარის ანაზღაურების საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის დაკისრება მ. ბ-ას სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენელმა წარადგინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 8 იანვრის №894 ბრძანება დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის შესახებ, რომლითაც დადგინდა ქ. ფოთში, ... №7-ში მდებარე რეაბილიტირებულ შენობაში და მალთაყვამი, ახალ დასახლებაში, ... და ... ქუჩებზე არსებულ კორპუსებში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბინებით დევნილთა ოჯახების უზრუნველყოფა თანდართული დანართის შესაბამისად. ამავე ბრძანებით დევნილთა საკითხების დეპარტამენტს დაევალა შესაბამისი ცვლილებების შეტანა მონაცემთა ბაზაში და დევნილთა ოჯახების განსახლების განხორციელება. წარდგენილი დანართის თანახმად, მ. ბ-ა ოჯახის წევრებთან ერთად დაკმაყოფილებულ იქნა ქ. ფოთში, ..., ... ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ფართით.

აღნიშნულის შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განჩინებით მოცემული საქმის წარმოება შეწყდა დავის საგნის არარსებობის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას თუ არ არსებობს დავის საგანი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად არსებითად სწორი განჩინება მიიღო, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილე-



ბულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 6 ოქტომბრის №... ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, რომლითაც მ. ბ-ასა და მისი ოჯახის წევრებს უარი ეთქვათ საცხოვრებელი ფართის გამოყოფაზე და სამინისტროსათვის ახალი აქტის გამოცემის დავალება მ. ბ-ასა და მისი ოჯახის საცხოვრებელით უზრუნველყოფის შესახებ.

სარჩელის მითითებული ორი სახე – შეცილებითი და მავალ-დებულებელი, არის უფლების დაცვის ალტერნატიული საშუალებები. სარჩელის სახეობის შერჩევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მიზანს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების მოთხოვნის მიზანია აღმოფხვრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით დამდგარი მდგომარეობა ანუ აღდგეს აქტის გამოცემამდე არსებული მდგომარეობა. ამის საპირისპიროდ, თუკი მოსარჩელის მიზანია არსებული მდგომარეობის შეცვლა და მისთვის ხელსაყრელი მდგომარეობის მიღწევა, სარჩელის დასაშვები სახეობაა – სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე. ასეთი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის შემთხვევაშიც სარჩელის მიზანი არის არა აქტის გამოცემაზე უარის გაუქმება, არამედ აქტის გამოცემა. მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმისას, აქტის გამოცემის მოთხოვნა, საერთო წესის თანახმად, იმავდროულად მოიცავს უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასაც, უკეთეს შემთხვევაშია აქტის გამოცემის დავალება ადმინისტრაციული ორგანოს იმ აქტის ბათილად გამოცხადების გარეშე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე. ამასთანავე, აღნიშნული არ გამოორიცხავს ზოგიერთ შემთხვევაში, უარის თქმის შესახებ აქტის გაუქმების მოთხოვნის გარეშეც ადმინისტრაციული ორგანოსათვის აქტის გამოცემის დავალების შესაძლებლობას. აღნიშნულს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, როდესაც თვით უარის თქმის შესახებ აქტის დამოუკიდებლად არსებობა ან არარსებობა მოსარჩელის მიმართ არსებით შედეგს არ იწვევს და მისთვის მნიშვნელოვანია მოთხოვნილი აქტის გამოცემა. ასეთ შემთხვევაში უარის თქმის შესახებ აქტი გამოიყენება მხოლოდ როგორც სასკის 23-ე მუხლით დადგენილი დასაშვებობის წინაპირობა, ვინაიდან, სასკის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ სასარჩელო მოთხოვნის სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს

დაინტერესებული პირისათვის მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უარის თქმა.

წარმოდგენილი შეცვლებითი და მავალდებულებელი სარჩელის მიზანს სწორედ საცხოვრებელი უზრუნველყოფა წარმოადგენდა, რაც მიღწეულ იქნა და მხარეთა შორის არსებული კონფლიქტი მოგვარდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ 2015 წლის 8 იანვრის №... ბრძანების გამოცემით.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 8 იანვრის №... ბრძანების შესაბამისად რეალური ქმედებები სამინისტროს მხრიდან არ განხორციელებულა, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოში სამინისტროს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მ. ბ.-ასთან 2015 წლის 8 აპრილს გაფორმდა საცხოვრებელი ფართის მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ გამოიცა განკარგულება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ფორმით პრივატიზების შესახებ.

პროცესის ხარჯების, კერძოდ, ადვოკატის ხარჯის დაკისრების თაობაზე კერძო საჩივართა საფუძვლიანობასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯები განეკუთვნება სასამართლოს გარეშე ხარჯებს, თუმცა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მ. ბ.-ას მიერ აღნიშნული ხარჯი იქნა გაღებული, საქმის მასალებში არ მოიპოვება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს აღნიშნული ხარჯის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში გასაჩივრებული განჩინების არგუმენტაციას, რამდენადაც სასამართლოს გარეშე ხარჯების ოდენობა განისაზღვრება ფაქტობრივად განეული დანახარჯებით, რომელიც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი მტკიცებულებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სა მოქალაქე საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს მხარის მიერ გაღებული ხარჯი. მოცემულ შემთხვევაში, კი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მ. ბ.-ას მიერ ხარჯის გაღების ფაქტს, საქმეში არ არსებობს.

შესაბამისად, მ. ბ.-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებულ

ბით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 ნაწილი, რომლითაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მ. ბ-ას სასარგებლოდ დაეკისრა პირველი ინსტანციის სასამართლოში და სააპელაციო სასამართლოში ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურება 1000 ლარის ოდენობით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე, 410-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ბ-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი მ. ბ-ას სასარგებლოდ ადვოკატის მომსახურების ხარჯის – 1000 ლარის ანაზღაურების საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის დაკისრების შესახებ;
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სარჩელის დასაშვებობის პირობების შემოწმება

## განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-307-305(კს-17)

8 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სარჩელის დასაშვებობა

### აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 13 მაისს ტ. ს-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამმართველოს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მას 2014 წლის 18 ნოემბერს ჩაპ-ბარდა გაფრთხილება №..., რის გამოც რუსთავის შსს სამმართველოში წარადგინა განცხადება თანდართულ მასალებთან ერთად. რუსთავის საქალაქო სამმართველოს იმავე წლის 26 ნოემბრის წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ მოცემული დოკუმენტაცია არ იყო გამოსახლების შეჩერების საფუძველი. ტ. ს-მა შემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგინა საჩივარი გაფრთხილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რაზეც ეცნობა, რომ მოსარჩელეს უნდა მიემართა რუსთავის საქალაქო სამმართველოსათვის. 2015 წლის 24 აპრილს ტ. ს-ი ისე გამოასახლეს, რომ იურიდიულ სამმართველოს არ ჰქონია მიღებული გადაწყვეტილება განმცხადებლის საჩივარზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უნდა შეჩერებულიყო საჩივრებული აქტის მოქმედება. ამასთანავე, პოლიციას არ ჰქონდა უფლება სისრულეში მოეყვანა გამოსახლება კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ.

ამდენად, მოსარჩელემ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამმართველოს უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის მიერ 2015 წლის 24 აპრილს შედგენილი მიღება-ჩაბარების შესახებ ოქმის ბათილად ცნობა მოითხოვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2015 წლის 18 მაისის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 მაისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ტ. ს-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინებით ტ. ს-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 18 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2015 წლის 18 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელე ტ. ს-ის სარჩელზე დადგენილ იქნა ხარვეზი. სასამართლომ მიუთითა, რომ სასარჩელო მოთხოვნა იყო ბუნდოვანი და გაურკვეველი. კერძოდ, ვერ დგინდებოდა მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის 2014 წლის 18 ნოემბრის №... გაფრთხილების ბათილად ცნობას, თუ ასაჩივრებდა ამ ადმინისტრაციული აქტის აღსრულებისას პოლიციელის ქმედებას, და მის საფუძველზე 2015 წლის 24 აპრილს შედგენილ მიღება-ჩაბარების №... ოქმს, რომელიც არ წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტს. ასევე დასაზუსტებელი იყო მოსარჩელე მხარე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, მოსარჩელეს დაევალა დაეზუსტებინა სასარჩელო მოთხოვნა და მიეთითებინა მისი სამართლებრივი საფუძვლები, დაეზუსტებინა მოსარჩელე, უნდა მიეთითებინა და წარედგინა სარჩელის დასაშვებობის ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისი წერილობითი მტკიცებულებანი.

მოსარჩელეთა წრის დაზუსტების შედეგად მოსარჩელეებად მიეთითა ტ. ს-ი და მ. ს-ი, რომლებმაც ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებაში მიუთითეს, რომ ასაჩივრებდნენ 2015 წლის 24 აპრილს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის მიერ შედგენილ მიღება-ჩაბარების ოქმს და ითხოვდნენ მის ბათილად ცნობას.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 სექტემბრის განჩინებით ტ. ს-ის სარჩელი არ იქნა მიღებული სასამართლო წარმოებაში.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 სექტემბრის განჩინება კერძო

საჩივრით გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 27 ნოემბრის განჩინებით ტ. ს-ის და მ. ს-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 25 სექტემბრის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის შესახებ და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს იმ საფუძვლით, რომ მართალია, მოსარჩელემ სწორად ვერ ჩამოაყალიბა სასარჩელო მოთხოვნა, თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup>-ე მუხლით და აღძრული სარჩელის მიმართ მოსარჩელის რეალური ინტერესის გათვალისწინებით უნდა დახმარებოდა მას სარჩელის ტრანსფორმირებაში.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 1 თებერვლის განჩინებით ტ. ს-ის სარჩელზე კვლავ დადგენილ იქნა ხარვეზი და მის აღმოსაფხვრელად, კერძოდ, დაზუსტებული სარჩელის, დაზუსტებული მოსარჩელისა და მეორე მოსარჩელის მიერ გაცემული რწმუნებულების წარმოდგენის მიზნით, განესაზღვრა 7-დღიანი ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან. ამასთან, განემარტა, რომ ხარვეზის დადგენილ ვადაში შეუვსებლობის გამო სასამართლო მიიღებდა განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

2016 წლის 8 თებერვალს რუსთავის საქალაქო სასამართლოში ტ. ს-მა წარადგინა განცხადება, რომლითაც სრულად შეავსო ხარვეზი, კერძოდ, დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა, მოსარჩელე და წარადგინა მეორე მოსარჩელის მიერ გაცემული რწმუნებულება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 10 თებერვლის განჩინებით ტ. და მ. ს-ების ადმინისტრაციული სარჩელი, მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამმართველოს მიმართ, იმავე სამმართველოს უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისას განხორციელებული ქმედების საფუძველზე 2015 წლის 24 აპრილს შედგენილი მიღება-ჩაბარების შესახებ ოქმის ბათილად ცნობის შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში და ცნობილ იქნა დასაშვებად.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით ტ. და მ. ს-ების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ტ. და მ. ს-ებმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 დეკემბრის განჩინებით ტ. და მ. ს-ების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შესაბამისად, გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება და შეწყდა სარჩელზე საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა არ იყო დასაბუთებული, გასაჩივრებულ მიღება-ჩაბარების ოქმში გადმოცემული იყო ის ფაქტობრივი გარემოება, რაც შედეგად მოჰყვა 2014 წლის 14 ნოემბრის „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შესახებ“ №... გაფრთხილებას და უშუალოდ ოქმი არ წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, იმისათვის, რომ შეფასებულიყო, რამდენად სწორად იყო სარჩელი ფორმულირებული, უნდა განსაზღვრულიყო აღძრული სარჩელი აკმაყოფილებდა თუ არა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მოთხოვნებს: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, რომ გასაჩივრებული მიღება-ჩაბარების ოქმი წარმოადგენდა არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, არამედ უკვე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების შედეგს. კონკრეტულ შემთხვევაში უძრავი ნივთის მიღება-ჩაბა-



რების ოქმი, მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე იყო გაცემული, არ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ აქტს. გამოსახლების მიზნით განხორციელებული ქმედების შემდგომ, მიღება-ჩაბარების ოქმის შედგენა არ ყოფილა მიმართული ადმინისტრაციული ორგანოს ნების შესაბამისად სავალდებულო ძალით უშუალო სამართლებრივი შედეგის წარმოშობისკენ, უშუალო სამართლებრივი შედეგის წარმოშობისაკენ მიმართული იყო 2014 წლის 18 ნოემბერს რუსთავის საქალაქო სამმართველოს უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის, ზ. რ-ის მიერ შემდგარი საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შესახებ გაფრთხილება №..., ეს უკანასკნელი კი მხარის მიერ გასაჩივრდა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, რაზედაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის იურიდიული სამმართველოს უფროსის 2014 წლის 10 დეკემბრის №... წერილით მ. ს-ს ეცნობა, რომ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესს, პროცედურებს და პირობებს, აგრეთვე აღნიშნულ პროცესში მონაწილე პირების უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებით დამტკიცებული საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესი. აღნიშნული წესის მე-7 და მე-8 მუხლები ადგენენ აღკვეთის ღონისძიებების განხორციელების დამაბრკოლებელ გარემოებებს. მითითებული წესის თანახმად, მ. ს-ს განემარტა აღკვეთის ღონისძიების შეჩერების ან/და შეწყვეტის საფუძველების არსებობის შემთხვევაში მტკიცებულებების რუსთავის საქალაქო სამმართველოში წარდგენის უფლების შესახებ. აღნიშნულის შემდეგ გამოსახლების შესახებ გაფრთხილება მოსარჩელეთა მიერ სასამართლოში არ გასაჩივრებულა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ 2015 წლის 18 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელეებს დაუდგინდათ ხარვეზი. სასამართლომ მიუთითა, რომ მათი სასარჩელო მოთხოვნა იყო ბუნდოვანი და გაურკვეველი. კერძოდ, ვერ დგინდებოდა, ისინი ითხოვდნენ მოპასუხის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის №... გაფრთხილების ბათილად ცნობას, თუ ასაჩივრებდნენ ამ ადმინისტრაციული აქტის აღსრულებისას პოლიციელის ქმედებას და მის საფუძველზე 2015 წლის 24 აპრილს შედგენილ მიღება-ჩაბარების №... ოქმს, რომელიც არ წარმო-

ადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მოსარჩელებს მიეცათ ვადა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების მიზნით ხარვეზის შესავსებად.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 1 თებერვლის განჩინებით მოსარჩელებს კიდევ ერთხელ დაუდგინდათ ხარვეზი და მიეცათ ვადა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების მიზნით. მოსარჩელებმა ხარვეზის შევსების შესახებ 2016 წლის 8 თებერვლის განცხადებაში სასარჩელო მოთხოვნად მიუთითეს 2015 წლის 24 აპრილის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამმართველოს უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის, გ. ს-ის მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების ოქმის ბათილად ცნობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ დაინტერესებული მხარის მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, სწორად არ იყო შერჩეული უფლების დაცვის მექანიზმი. „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შესახებ“ გამოცემული №... გაფრთხილებისა და ამ გაფრთხილების შესასრულებლად მათი გამოსახლების მიზნით განხორციელებული ქმედების კანონიერების შემოწმება მოსარჩელებს სასამართლოში არ მოუთხოვიათ, სასამართლოში გასაჩივრებულ 2015 წლის 24 აპრილის მიღება-ჩაბარების ოქმს კი მოსარჩელეთათვის რაიმე ზიანი არ მოჰყოლია და შესაბამისად, მოსარჩელეთა მიერ მიღება-ჩაბარების ოქმის გასაჩივრებით სარჩელის მიზანი – აღმოფხვრას დამდგარი შედეგი, ვერ მიიღწევა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში აღძრული სარჩელი არ აკმაყოფილებდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის პირობებს და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილების შემოწმების მიზნით წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოება უნდა შეწყვეტილიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს მ. და ტ. ს-ებმა, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვეს. 2017 წლის 21 თებერვალს კერძო საჩივრის ავტორებმა ასევე წარმოადგინეს განცხადება კერძო საჩივრის დამატებითი არგუმენტების მი-

თითების შესახებ.

კერძო საჩივრის ავტორთა განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ განიხილა სააპელაციო საჩივარი საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებისა და 393-394-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ გამოიყენა ამავე კოდექსის 389-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რადგან მიღებულია განჩინება და არა გადაწყვეტილება.

კერძო საჩივრის ავტორები არ ეთანხმებიან სააპელაციო პალატის განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის ნაწილში იმ მოტივით, რომ ამგვარი მოთხოვნა არ ყოფილა დაყენებული და განხილული არც ერთი ინსტანციის სასამართლოში, რითაც სასამართლომ გააცხადა თავისი უფლებამოსილების ფარგლებს. სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, მაგრამ საქმე არც პირველი ინსტანციის სასამართლოს არ დაუბრუნა, არც უარი არ თქვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე და არც ახალი გადაწყვეტილებით არ შეცვალა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

კერძო საჩივრის ავტორებს მიაჩნიათ, რომ მოცემული საქმე არის პრეცედენტული ხასიათის, რომელზეც ობიექტური გადაწყვეტილების მიღება საფუძველს დაუდებს ამგვარ საკითხებზე პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მარტის განჩინებით მ. და ტ. ს-ების კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. და ტ. ს-ების კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივ-

რის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 დეკემბრის განჩინებით მ. და ტ. ს-ების სარჩელზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამმართველოს უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისას განხორციელებული ქმედების საფუძველზე შედგენილი 2015 წლის 24 აპრილის მიღებაჩაბარების შესახებ ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ შეწყვიტა საქმის წარმოება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე და მიუთითა, რომ აღძრული სარჩელი არ აკმაყოფილებდა ამავე კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის პირობებს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ სარჩელის სწორად ფორმულირების შეფასებისათვის უნდა განისაზღვროს აღძრული სარჩელი აკმაყოფილებს თუ არა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მოთხოვნებს: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე და აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილე-

ბა მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამმართველოს უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის მიერ 2015 წლის 24 აპრილს შედგენილი №... მიღება-ჩაბარების ოქმის კანონიერების შეფასებას სასამართლოს მხრიდან.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ გასაჩივრებული მიღება-ჩაბარების ოქმი წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, არამედ უკვე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების შედეგს. უძრავი ნივთის მიღება-ჩაბარების ოქმი, მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე არის გაცემული, არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. გამოსახლების მიზნით განხორციელებული ქმედების შემდგომ, მიღება-ჩაბარების ოქმის შედგენა არ ყოფილა მიმართული ადმინისტრაციული ორგანოს ნების შესაბამისად სავალდებულო ძალით უშუალო სამართლებრივი შედეგის წარმოშობისკენ, უშუალო სამართლებრივი შედეგის წარმოშობისაკენ მიმართული იყო 2014 წლის 18 ნოემბერს რუსთავის საქალაქო სამმართველოს უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის მიერ შემდგარი საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შესახებ გაფრთხილება №..., ეს უკანასკნელი კი მხარის მიერ გასაჩივრდა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, რაზედაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის იურიდიული სამმართველოს უფროსის 2014 წლის 10 დეკემბრის №... წერილით მ. ს-ს ეცნობა, რომ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესს, პროცედურებს და პირობებს, აგრეთვე აღნიშნულ პროცესში მონაწილე პირების უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებით დამტკიცებული საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესი. მითითებული წესის თანახმად, მ. ს-ს განემარტა აღკვეთის ღონისძიების შეჩერების ან/და შეწყვეტის საფუძველების არსებობის შემთხვევაში მტკიცებულებების რუსთავის საქალაქო სამმართველოში წარდგენის უფლების შესახებ. აღნიშნულის შემდეგ გამოსახლების შესახებ გაფრთხი-

ლება მოსარჩელეთა მიერ სასამართლოში არ გასაჩივრებულა.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი საჩივარი ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ არაერთხელ იქნა მიჩნეული ხარვეზიანად და მრავალჯერ მიეცათ წინადადება საჩივრის ავტორებს დაეზუსტებინათ საჩივრის მოთხოვნა და მიეთითებინათ ის გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ მათ მოთხოვნას. მოსარჩელებმა ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებებით მოითხოვეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის მიერ 2015 წლის 24 აპრილს შედგენილი მიღება-ჩაბარების ოქმის არაკანონიერად ცნობა. სააპელაციო სასამართლოში საჩივრის განხილვისას სასამართლო პროცესზე კიდევ ერთხელ მიეცათ წინადადება აპელანტებს, დაეზუსტებინათ მათი მოთხოვნის საგანი, კერძოდ, ხომ არ ხდიდნენ ისინი სადავოდ უბნის ინსპექტორის მიერ განხორციელებულ ქმედებას, რაზეც სააპელაციო საჩივრის ავტორმა – ტ. ს-მა და მ. ს-ის წარმომადგენელმა განაცხადეს, რომ მათი სასარჩელო მოთხოვნის საგანს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის მიერ შედგენილი 2015 წლის 24 აპრილის მიღება-ჩაბარების ოქმის არაკანონიერად ცნობა წარმოადგენდა.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელეთა მიერ რუსთავის საქალაქო სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შესახებ“ №... გაფრთხილება და აღნიშნული გაფრთხილების შესასრულებლად მათი გამოსახლების მიზნით განხორციელებული ქმედება სასამართლოში გასაჩივრებული არ ყოფილა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიუხედავად პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების არაერთგზის მცდელობისა, მათი რეალური ინტერესის გათვალისწინებით, დახმარებოდნენ მოსარჩელებს სარჩელის ტრანსფორმაციაში, რათა მათ მიერ სწორად მომხდარიყო სარჩელის სახის განსაზღვრა, შედეგი არ მოჰყოლია. განსახილველ შემთხვევაში ცალკე აღებული უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის მიერ შედგენილი 2015 წლის 24 აპრილის მიღება-ჩაბარების ოქმის გასაჩივრება მიჩნეულ უნდა იქნეს უფლების დაცვის არასათანადო სახედ, რომელიც ვერ ჩაითვლება მიზნის მიღწევის ადეკვატურ საშუალებად.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, არასწორია კერძო საჩივრის ავტორების მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას დაარღვია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რადგან სარჩელი წარდგენილი არ ყოფილა არაგანსჯად სასამართლოში. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის არა 26-ე მუხლის მე-2 ნაწილი, არამედ ამავე კოდექსის 26<sup>2</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის შესაბამისად, სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, საქმის სააპელაციო წესით განხილვისას დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენისას სასამართლო იღებს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებას, რომელიც საჩივრდება კერძო საჩივრით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დაინტერესებული მხარის მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, სწორად არ არის შერჩეული უფლების დაცვის მექანიზმი. „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შესახებ“ გამოცემული №... გაფრთხილებისა და ამ გაფრთხილების შესასრულებლად მათი გამოსახლების მიზნით განხორციელებული ქმედების კანონიერების შემოწმება მოსარჩელეებს სასამართლოში არ მოუთხოვიათ, ხოლო სასამართლოში გასაჩივრებულ 2015 წლის 24 აპრილის მიღება-ჩაბარების ოქმს კი მოსარჩელეთათვის რაიმე ზიანი არ მოჰყოლია და შესაბამისად, მოსარჩელეთა მიერ მიღება-ჩაბარების ოქმის გასაჩივრებით სარჩელის მიზანი – აღმოფხვრას დამდგარი შედეგი, ვერ მიიღწევა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში აღძრული სარჩელი არ აკმაყოფილებდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის პირობებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბა-



მობის შესახებ, რის გამოც არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. და ტ. ს-ების კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. და ტ. ს-ების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. მხარეები, მესამე პირები

### საქმეში მესამე პირად ჩაგმული მხარის პროცესუალური უფლებამოსილების განსაზღვრა

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-145-138(კ-13)

12 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე

#### აღწერილობითი ნაწილი:

06.08.03 წ. ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტმა სარჩელი აღძრა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში მოპასუხე სს „ს...“, მესამე პირების – საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ მოპასუხის მიერ სახელმწიფო ქონების პრივატიზების ნაწილობრივ, – მოსარჩელის 800 კვ.მ. ფართის პრივატიზების ნაწილში, ბათილ (არარა) გარიგებად გამოცხადების მოთხოვნით.

28.01.046. განცხადებით სახელმწიფო ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტმა დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და აღნიშნა, რომ ითხოვს „მინის (უძრავი ქონების) საკუთრების სარეგისტრაციო მონომობის“ (დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის 16.05.1999 წ. №327 ბრძანებულებით) ნაწილობრივ ბათილ (არარა) გარიგებად ცნობას, სახელმწიფო დეპარტამენტის საოფისე – 800 კვ.მ. ფართის პრივატიზების ნაწილში.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს ტურიზმის ცენტრალური ორგანო 1975 წლიდან განთავსებულია თბილისში, ... გამზ. №80-ში მდებარე №1 კორპუსში, რომელიც 1994 წლამდე იყო სახელმწიფო საწარმოს, ყოფილი ... სასტუმრო „...“ სამეურნეო გამგებლობაში. 1994 წელს ამ საწარმოს ქონების ბაზაზე შეიქმნა სს „ს...“, რომლის აქციების 66% შეიძინეს ფიზიკურმა პირებმა, ხოლო 34% დარჩა სახელმწიფო საკუთრებაში. პრივატიზაციის ხელშეწყობის მიზნით ტურიზმის სახელმწიფო ორგანომ გამოათავისუფლა მის მიერ დაკავებული ფართი და დაი-

ტოვა მხოლოდ მესამე სართულის მცირე ნაწილი და მეოთხე სართული. 21.05.1998წ. დეპარტამენტსა და სს „ს...“ შორის დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმად, დეპარტამენტი რჩებოდა დაკავებულ ფართზე. ამ შეთანხმების მეორე პუნქტში აღინიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ სს „ს...“ მიიღებს გადაწყვეტილებას შენობის რეკონსტრუქციის თაობაზე, მაშინ იგი ვალდებულია კისრულობს დააკმაყოფილოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი შესაბამისი ფართით. ამ შეთანხმების შინაარსი არწმუნებდათ სახელმწიფო ორგანოებს, რომ დეპარტამენტი უზრუნველყოფილი იქნებოდა საოფისე ფართით, ამიტომ დათანხმდნენ სახელმწიფოს კუთვნილი ქონების მთლიანად გასხვისებაზე, რაც განხორციელდა 1998 წლის დეკემბერში. მიუხედავად ამისა სს „ს...“ ცალმხრივად გააუქმა 21.05.1998წ. შეთანხმება და არც კი აცნობა ამის შესახებ დეპარტამენტს.

მოსარჩელის მითითებით, სამი წლის შემდგომ, პრივატიზებული ქონებაზე შედაგების ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდგომ, სს „ს...“ სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, რომლითაც დეპარტამენტის დაკავებული ფართიდან გამოსახლება მოითხოვა. აღნიშნული სარჩელის შეტანით, მოპასუხემ დაადასტურა, რომ სურს დეპარტამენტის მიერ დაკავებული ფართის გამონთავისუფლება. მოსარჩელის მოსაზრებით, 21.05.1998წ. შეთანხმებაზე უარის თქმით, სს „ს...“ არაკეთილსინდისიერება გამოავლინა რიგი სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ. ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტმა აღნიშნა აგრეთვე, რომ სს „ს...“ სახელზე სახელმწიფო ქონების პრივატიზება ნაწილობრივ ბათილად (არარად) უნდა იქნეს ცნობილი, დეპარტამენტის მიერ დაკავებული ფართის ნაწილში, რადგან აღნიშნული ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგსა და სახელმწიფო ინტერესებს, ამასთანავე, სახელმწიფო ორგანოების მიერ დაკავებული ფართის პრივატიზება, როგორც მართლსაწინააღმდეგო, აკრძალულია.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 11.06.04წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ.თბილისში, ... გამზ. №80-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის მესაკუთრე არის სს „ს...“, რომლის სახელზეც ქონების პრივატიზება, კანონით დადგენილი წესით, განხორციელდა 1998 წელს. თავად მოსარჩელის წარმომადგენელიც ვერ უთითებს რომელიმე კონკრეტულ ნორმას, რომელიც დაირღვა პრივატიზაციის განხორციელებისას და რის გამოც პრივატიზება ნაწილობრივ ბა-

თილად უნდა იქნეს ცნობილი. სასამართლომ ასევე მიუთითა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 14.06.2002წ. გადაწყვეტილებაზე და აღნიშნა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასტურდება სს „ს...“ მართლზომიერი და კანონიერი მესაკუთრის უფლება სადავო ფართზე, რის გამოც მოსარჩელის მითითება სკ-ის 54-ე, 147-ე მუხლების საფუძველზე პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ იქნა გაზიარებული. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთება და დამატებით „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, რადგან სარჩელი აღძრულია პრივატიზების განხორციელებიდან 4 წლის შემდეგ.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 11.06.04წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ტურინისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტმა. მისი სააპელაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 08.11.04წ. განჩინებით დატოვებულ იქნა განუხილვლად ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 11.06.2004წ. გადაწყვეტილება განსახილველი დავის მხარეებს გაეგზავნათ 2011 წელს, რის შემდგომაც მესამე პირმა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას სს „ს...“ უფლებამონაცვლედ ჩაბმულ იქნა სს „...“, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს უფლებამონაცვლედ ჩაერთო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ხოლო საქართველოს ტურინისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ – საქართველოს ტურინის ეროვნული ადმინისტრაცია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.12.12წ. განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 11.06.04წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მიმდინარე დავაში არას-

ნორად არის დასახელებული მოპასუხე – სს „ს...“. სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ 30.05.1997წ. კანონის პირველი მუხლის „ბ,“ ქვეპუნქტზე, მესამე მუხლის პირველ პუნქტზე და აღნიშნა, რომ თუ მოსარჩელეს უკანონოდ მიაჩნდა სახელმწიფო ქონების პრივატიზება, მაშინ მოპასუხედ უნდა დასახელებულიყო საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, ხოლო სს „ს...“ საქმეში ჩაბმული უნდა ყოფილიყო მესამე პირად სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე. სასკ-ის 28<sup>1</sup> და სსკ-ის 178-ე, 85-ე მუხლების საფუძველზე სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის განხილვის დროს ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო ვალდებული იყო დახმარებოდა მოსარჩელეს მოპასუხის სწორად დასახელებაში. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზოგადად ისიც უფლებამოსილია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში, თუმცა ვინაიდან აპელანტი იყო მესამე პირი და არა მოსარჩელე, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას მესამე პირისთვის დაეზუსტებინა სასარჩელო მოთხოვნა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა აგრეთვე, რომ არასწორად იყო განსაზღვრული დავის საგანი. სსკ-ის მე-3, 178-ე მუხლების საფუძველზე მოსარჩელე ვალდებულია მკაფიოდ და ზუსტად ჩამოაყალიბოს სასარჩელო მოთხოვნა. პალატის მითითებით, მოსარჩელეს არ დაუკონკრეტებია სადავო ქონების პრივატიზების პროცესში გაცემული რომელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების თუ ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობას ითხოვდა. მოსარჩელემ ვერც სააპელაციო პალატის სხდომებზე შეძლო მოთხოვნის დაზუსტება, რის გამოც, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა დააზუსტებინოს მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ დარღვეულ იქნა საპროცესო სამართლის ნორმები, იგი არ დაეხმარა მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირებაში, კერძოდ, სათანადო მოპასუხის დასახლებაში და დავის საგნის დაზუსტებაში, ამასთანავე დარღვეულია სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების მოთხოვნები, გადანყვეტილება იურიდიულად არ არის დასაბუთებული, გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ ისე განიხილა საქმე, რომ სა-

ერთოდ არ უმსჯელია, თუ რისი – უძრავი ქონების თუ აქციების, პრივატიზების ბათილად ცნობას ითხოვდა მოსარჩელე, რომელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით თუ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით მოხდა პრივატიზაცია, ვინ განახორციელა პრივატიზაცია, ვის გადაეცა პრივატიზაციის შემდეგ სადავო ქონება და ა.შ.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სს „...“ მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი საერთოდ არ უნდა ყოფილიყო დაშვებული განსახილველად, რადგან არ არის დაინტერესებული მხარე და არ ჰქონდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. პალატამ აღნიშნა, რომ რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას ფინანსთა სამინისტრო მონაწილეობდა, როგორც მესამე პირი, თუმცა ვერ დგინდება იგი ჩაბმული იყო საქმეში სასკ-ის მე-16 მუხლის პირველი თუ მეორე ნაწილის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ფინანსთა სამინისტროს სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვისა და დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, სააპელაციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დაშვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.12.12წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა სს „...“, მიერ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, როდესაც დასაშვებად ცნო ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი. ადმინისტრაციულ დავებში მოსარჩელედ გვევლინება პირი, რომლის ინტერესებიც არსებითად შეილახა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ადმინისტრაციული დავის სპეციფიკურობით არის განპირობებული დაინტერესებულ პირთა ცნების გაფართოვება და დავაში მესამე პირად იმ პირის ჩართვა, რომლის ინტერესებსაც შესაძლოა შეეხოს გასაჩივრებული აქტი. მიუხედავად ამისა, კანონმდებელი ითვალისწინებს რა საფრთხის ქვეშ დააყენებდა ყველა ტიპის მესამე პირებისთვის მოსარჩელის თუ მოპასუხის მსგავსი უფლებამოსილებების მიჩიქება, – ახდენს მესამე პირთა დიფერენცირებას და განასხვავებს აუცილებელი წესით საქმეში ჩასაბმელ მესამე პირებს (სასკ-ის 16.2) და ყველა დანარჩენ პირს, რომლის ინტერესებსაც შესაძლოა შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება. სასკ-

ის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მესამე პირს მხოლოდ მაშინ ეკისრება მხარეთა ვალდებულებები და მაშინ ენიჭება მათი უფლებები, თუ იგი სავალდებულო წესით არის ჩაბმული საქმეში. ვინაიდან ფინანსთა სამინისტრო არ იყო გასაჩივრებული სამართალურიერთობის მონაწილე, ამიტომ იგი არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უფლებამოსილი პირი.

კასატორის მოსაზრებით, ფინანსთა სამინისტრო არათუ არ არის სამართალურიერთობის უშუალო მონაწილე, არამედ იგი არ არის დაინტერესებული მხარე. ფინანსთა სამინისტროს არგუმენტი, რომ მას მოუწია ზედმეტი ხარჯების გაღება, დეპარტამენტისთვის ფართის მოძიებისას, ზედაპირულია და მიუთითებს, რომ სამინისტროს თავად არ აქვს გააზრებული თავისი როლი და ფუნქცია აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში. ფინანსთა სამინისტროს ლოგიკის მიხედვით იგი ყველა იმ დავაში უნდა ჩაერთოს, სადაც საბიუჯეტო დაფინანსებაზე ყოფი ორგანიზაციაა ჩართული, რაც არასწორია. ტურიზმის დეპარტამენტი დროის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა შენობაში იყო განთავსებული. თუმცა იგი ყოველთვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ შენობებში მდებარეობდა და შესაბამისად ისეთი პირდაპირი საოფისე ხარჯი, როგორცაა იჯარის თანხა, არასდროს ყოფილა აქტუალური აღნიშნული სტრუქტურისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსთა სამინისტრო ქვეყანაში ფისკალური პოლიტიკის შემმუშავებელ და აღმასრულებელ რგოლს წარმოადგენს, იგი არ არის დამოუკიდებელი და მოქმედებს დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს პარლამენტი ამტკიცებს. ამდენად, ასეთივე წარმატებით შესაძლებლად უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოს პარლამენტის დაინტერესებულ პირად საქმეში ჩაბმა. ასეთი ლოგიკით მივიღებთ ვითარებას, როდესაც ყველა დავაში, სადაც საბიუჯეტო ორგანიზაციები იქნებიან ჩართულები, – ფინანსთა სამინისტრო ჩაითვლება სამართალურიერთობის უშუალო მონაწილედ. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა, რამდენად წარმოადგენდა ფინანსთა სამინისტრო გასაჩივრებული სამართალურიერთობის უშუალო მონაწილეს და შესაბამისად უნდა მიეღო გადაწყვეტილება სააპელაციო სარჩელის დაუშვებლობასთან დაკავშირებით.

კასატორმა აღნიშნა, რომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება მოთხოვნის ტრანსფორმირებასთან დაკავშირებით, რადგან სასკ-ში 28' მუხლი კოდექსში შეტანილ იქნა



28.12.2007წ. ცვლილებების შედეგად, შესაბამისად პირველი ინსტანციის სასამართლო მოცემულ ნორმას ვერ გამოიყენებდა დავის განხილვისას. პროცესის დისპოზიციურობიდან გამომდინარე, თითოეული მხარე თავად აყალიბებს თავის მოთხოვნას, სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მიანიშნოს მოსარჩელეს მოთხოვნის არასწორ ფორმულირებაზე, თუმცა თუ მოსარჩელე სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ახდენს მოთხოვნის სათანადო ფორმულირებას, ეს არ არის საფუძველი იმისა, რომ სასამართლომ „უკარნახოს“ მხარეს სამართლებრივი არგუმენტაცია ან სათანადოდ ჩამოაყალიბებინოს მოთხოვნა. არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება, თითქოს პირველი ინსტანციის სასამართლო არ დაეხმარა მოსარჩელეს მოთხოვნის ჩამოყალიბებაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ არაერთხელ მიუთითა მხარეს მოთხოვნის დაზუსტების საჭიროებაზე. აღსანიშნავია აგრეთვე, ის გარემოება, რომ ტურიზმის დეპარტამენტმა თავის დროზე გაასაჩივრა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 11.06.2004წ. გადაწყვეტილება, დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად, შესაბამისად, ტურიზმის დეპარტამენტი, ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული სააპელაციო საჩივრის ფარგლებში არ შეიძლება სარგებლობდეს რაიმე სახის საპროცესო უფლება-მოვალეობებით, ვინაიდან მან უკვე ამონწურა მის ხელთ არსებული სამართლებრივი მექანიზმები. კასატორის მითითებით, თუკი დაგუშვებთ, რომ ფინანსთა სამინისტროს განსახილველი დავის მიმართ თვითმყოფადი ინტერესი გააჩნია, მაშინ მას შეუძლია დააყენოს მხოლოდ ის მოთხოვნები და მხოლოდ იმ სამართლებრივი საფუძველით, რაც მის ინტერესს ლახავს. ის გარემოება, რომ საქმის მიმართ ფინანსთა სამინისტროს დამოუკიდებელი ინტერესი არ აქვს დასტურდება იმითაც, რომ მას სიტყვასიტყვით აქვს გადმონერული ტურიზმის სააგენტოს სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მოტივაციაში მიუთითა დავის მონაწილე სუბიექტების საპროცესო სტატუსის შეცვლის საჭიროებაზე და აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საქმეში უნდა ჩაებას მოპასუხედ, ხოლო სს „...“ მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნით, ამასთან, სააპელაციო სასამართლოს არ განუსაზღვრავს ფინანსთა სამინისტროს საპროცესო სტატუსი, რისი აუცილებლობაც არსებობდა, თუ ფინანსთა სამინისტრო განსახილველი სამართალურთიერთობის მონაწილეა. ამასთან, დაუშვებელია მოსარჩე-

ლეს – ტურიზმის დეპარტამენტს ხელახლა მიენიჭოს დავის უფლება და მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობა, რადგან აღნიშნული გარემოება გამოიწვევს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობისა და სამართლებრივი სტაბილურობის პრინციპის უხეშ დარღვევას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში დაცული მასალებით დგინდება, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 11.06.2004წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტმა. მისი სააპელაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 08.11.04წ. განჩინებით დარჩა განუხილველად ხარვეზის შეუფასებლობის გამო. ამის შემდგომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 11.06.2004წ. გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ 2011 წელს, რის შემდეგაც მესამე პირმა – საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ მოსარჩელე, მოპასუხე და სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე საქმეში ჩაბმული მესამე პირები (სასკ-ის 34.2 მუხ.). კასატორი სს „...“ მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უფლებამოსილი პირი, რადგან არ იკვეთება დავაში მისი დამოუკიდებელი ინტერესი, რის გამოც იგი ვერ იქნება მიჩნეული სავალდებულო მოწვევის მესამე პირად და მისი სააპელაციო საჩივარი ცნობილი უნდა ყოფილიყო დაუშვებლად. საქმის მასალების მიხედვით არ დგინდება ფინანსთა სამინისტროს ზუსტი საპროცესო სტატუსი, იგი დავაში მონაწილეობს მესამე პირად, თუმცა არ არის განსაზღვრული სამინისტრო სავალდებულო თუ ჩვეულებრივი მოწვევის მესამე პირად არის ჩაბმული საქმეში. საპროცესო კანონმდებლობის თანახმად (ასკ-ის მე-16 მუხ.), არასავალდებულო მოწვევის მესამე პირი არ არის განსახილველი დავის უშუალო მონაწილე, თუმცა საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ამ პირის სამართლებრივ ინტერესზე (სასკ-ის

მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილი), ხოლო სავალდებულო მოწვევის მესამე პირის შემთხვევაში (სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი) უნდა იკვეთებოდეს არამხოლოდ პირთა სამართლებრივ ინტერესზე ზემოქმედება, არამედ გადანყვეტილებით უნდა განისაზღვრებოდეს მესამე პირთა უფლება-მოვალეობანი. სავალდებულო მოწვევის მესამე პირი, განსახილველი სამართალურთიერთობის უშუალო მონაწილე უნდა იყოს, მას თავისი დამოუკიდებელი სამართლებრივი ინტერესი უნდა გააჩნდეს დავის მიმართ, განსახილველ დავაზე მხოლოდ საერთო გადანყვეტილების გამოტანა უნდა იყოს შესაძლებელი. სწორედ ასეთი სავალდებულო მოწვევის მესამე პირი სასკ-ის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად სარგებლობს მოსარჩელის ყველა უფლებით, მათ შორის საკასაციო საჩივრის შეტანის უფლებით. ამდენად, მოცემულ დავაში უნდა დადგინდეს სამინისტროს პროცესუალური სტატუსი და შესაბამისად მისი პროცესუალური უფლებამოსილების მოცულობა მისი სამართლებრივი ინტერესის შეფასების საფუძველზე. უკეთეს ფინანსთა სამინისტროს განსახილველ დავაში აქვს დამოუკიდებელი, არსებითი სამართლებრივი ინტერესი, რაც შესაძლოა გამხდარიყო დავაში მისი სავალდებულო მოწვევის მესამე პირად ჩაბმის საფუძველი, ასეთ შემთხვევაში მესამე პირმა, სსკ-ის 102-ე მუხლის საფუძველზე, ასეთი ინტერესის არსებობა სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში მითითება იმაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არ არის დაზუსტებული სასკ-ის მე-16 მუხლის რომელი ნაწილით არის ჩაბმული სამინისტრო საქმეში მესამე პირად, არ ათავისუფლებდა სააპელაციო პალატას მოცემულ დავაში სამინისტროს ინტერესის დადგენისაგან, სამინისტროს პროცესუალური უფლებამოსილების ზუსტი განსაზღვრის ვალდებულებისაგან, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ამ საკითხს უკავშირდება საქმეზე არსებითი გადანყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა. მე-16 მუხლის მე-1 პირის, არათუ დაინტერესებული პირის სახით, არამედ დავის უშუალო მონაწილედ სავალდებულო მოწვევის (მე-16.2 მუხ.) წინაპირობის გარკვევა ხდება პირის დავაში არა აბსტრაქტული, არამედ რეალური კანონით დაცული ინტერესის დადგენით. მოცემულ საქმეში დავის საგანი ეხება სახელმწიფო ქონების პრივატიზაციას, სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია კომპლექსური პროცესია და შედგება სახელმწიფო ორგანოს საჯარო მოქმედებებისაგან, გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისაგან, დადებული ხელშეკრულებისაგან. სააპელაციო პალატამ გამოითხოვა და საქმეში

დაცულია სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ამსახველი დოკუმენტაცია, აღნიშნულის მიუხედავად ფინანსთა სამინისტრო ვერ ასახელებს პრივატიზაციის დოკუმენტს, რომელიც მას ზინანს აყენებს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 81<sup>2</sup>-ე მუხლის თანახმად სამინისტროები იქმნება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის თანახმად, სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო, რომელიც განსაზღვრულ სფეროში უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობას. სამინისტრო არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, საჯარო სამართლის იურიდიული პირია სახელმწიფო, რომელიც სკ-ის 24-ე მუხლის მიხედვით, სამართალურთიერთობებში მონაწილეობს მისი ორგანოების მეშვეობით. ამდენად, სამინისტროები მოქმედებენ სახელმწიფო ინტერესებში, საჯარო დაწესებულებას თავისი ინტერესი არ აქვს, ის იცავს სახელმწიფო ინტერესებს. მოცემულ შემთხვევაში ფინანსთა სამინისტრო ვერ უთითებს სახელმწიფოს მიერ ჩატარებული პრივატიზაციის, პრივატიზაციის ჩამტარებელი სახელმწიფო ორგანოს – იმჟამად სახელმწიფო ქონების მართვისა და განკარგვის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგად ფინანსთა სამინისტროს კონკრეტული ინტერესის შელახვაზე. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი სამინისტროს ფინანსურ ინტერესზე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ სამინისტროს მოუწია დამატებითი ხარჯების გაწევა ტურიზმის დეპარტამენტის სხვა ფართში განსათავსებლად, თუმცა დეპარტამენტის სხვა ფართში განსათავსებლად პირდაპირი დამატებითი ხარჯების გაწევა საქმის მასალებით არ დასტურდება. ამასთანავე, ასეთი ხარჯების გაწევა თავისთავად არ ადასტურებს სადავო სამართალურთიერთობაში ფინანსთა სამინისტროს უშუალო მონაწილეობას, მისი მონაწილეობის გარეშე დავის გადაწყვეტის შეუძლებლობას. სამინისტროს მიერ ხარჯების გაწევის შესაძლებლობა იწვევს მისი საქმეში არასავალდებულო მონაწილეობის შესაძლებლობას, რადგან ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მის ინტერესზე. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი ესწრებოდა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 11.06.04 წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნა-

წილის გამოცხადებას, შესაბამისად სამინისტროსათვის ცნობილი იყო დავის გადაწყვეტის შედეგი, გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ გასული წლების განმავლობაში სამინისტროს არ მოუთხოვია დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი, გასული ვადა ცდება გონივრულობის ფარგლებს და დამატებით ადასტურებს სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სამართლებრივი ინტერესის არარსებობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა განსახილველ დავაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინტერესის და შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს 11.06.04წ. გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილების არსებობაზე.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დაცულობის საკითხზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 11.06.2004წ. გადაწყვეტილება №3/213-04წ. საქმეზე ფინანსთა სამინისტროს ჩაბარდა 27.07.2011წ. სსკ-ის 369-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან. ამდენად, ფინანსთა სამინისტროს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა 10.08.2011წ. ეწურებოდა. სააპელაციო საჩივარზე დასმულ სასამართლო შტამზე მითითებულია სასამართლოში სააპელაციო საჩივრის ჩაბარების თარიღი: 12.08.11წ., თუმცა ფინანსთა სამინისტრო დავის სააპელაციო პალატაში განხილვისას აღნიშნავდა, რომ სააპელაციო საჩივარი მან ფოსტას ჩააბარა ვადაში – 10.08.2011წ., რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი წერილობითი კორესპონდენციების შესახებ 10.08.2011წ. რეესტრით. საქმეში დაცული №358 გზავნილების რეესტრი 10.08.11წ. არის დათარიღებული, თუმცა მის ბოლო გვერდზე დასმულია მრგვალი საკურიერო სამსახურის ბეჭედი, სადაც ჩაბარების თარიღად 11.08.2011წ. არის მითითებული. ამდენად, გარკვევას საჭიროებს საკურიერო სამსახურისათვის გზავნილების ფინანსთა სამინისტროდან გადაცემის, გზავნილის ფოსტისათვის ჩაბარების და შესაბამისად, სამინისტროს მიერ პროცესუალური კანონმდებლობით დადგენილი გასაჩივრების ვადის დაცვის საკითხი.

სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთ სხდომაზე სააპელაციო პალატამ მესამე პირს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიუთითა დასაბუთებული მოთხოვნის, დავის საგნის და-

ზუსტების და სათანადო მოპასუხის საქმეში ჩართვის აუცილებლობაზე, ხოლო გასაჩივრებულ განჩინებაში კი აღნიშნა, რომ ვინაიდან განსახილველ დავაში აპელანტი არის მესამე პირი, ამიტომ სააპელაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას დააზუსტებინოს მას მოთხოვნა და მოპასუხეთა წრე, რაც საფუძვლად დაედო საქმის საქალაქო სასამართლოსათვის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნებას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო პროცესის დისპოზიციურობის გათვალისწინებით, მოსარჩელე თავად ირჩევს დავის საგანს, მოპასუხეს და იღებს გადაწყვეტილებას სარჩელის აღძვრის შესახებ, შესაბამისად, მხოლოდ ის არის უფლებამოსილი დააზუსტოს სასარჩელო მოთხოვნა, მოახდინოს მისი ტრანსფორმირება, შეცვალოს მისი ფორმულირება ან დააზუსტოს მოპასუხეთა წრე. აღნიშნული საპროცესო ქმედებების განხორციელება მხოლოდ მოსარჩელეს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს შეუძლია, მესამე პირი, რომელიც სასარჩელო მოთხოვნას მხარს უჭერს, არ არის სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტებაზე უფლებამოსილი სუბიექტი. მესამე პირს შეუძლია მხოლოდ თავისი მოთხოვნისა და ინტერესის ფარგლებში განახორციელოს საპროცესო მოქმედებები. განსახილველ შემთხვევაში აპელანტი იყო მესამე პირი – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ხოლო მოსარჩელეს უკვე რეალიზებული ჰქონდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. თბილისის საოლქო სასამართლოს 24.09.04წ. განჩინებით აპელანტს – ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტს დაუდგინდა ხარვეზი, ხოლო 08.11.04წ. განჩინებით დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 11.06.04წ. გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად, აპელანტს განემართა განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების შესაძლებლობა. განჩინების ასლი 19.11.04 წ. ჩაბარდა ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტს. ამდენად, სააპელაციო პალატის 08.11.04წ. განჩინება მოსარჩელის – ტურიზმის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ კანონიერ ძალაშია შესული. აღნიშნულის შესაბამისად, სასამართლოში სააპელაციო საჩივრის განხილვისას მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს დამოუკიდებელი მოთხოვნისა და სამართლებრივი ინტერესის ფარგლებში უნდა მომხდარიყო დავის განხილვა. სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ საქმეში მოპასუხედ სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების განმახორციელებელი ორგანო – საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო (უფლებამო-

ნაცვლე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) უნდა ჩაბმულიყო, სსკ-ის 85-ე მუხლის შესაბამისად, ქმნიდა მოსარჩელის თანხმობით თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით, მოცემულ შემთხვევაში საქმეში მესამე პირად ჩართულ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროთი შეცვლის პირობას, სათანადო მოპასუხის შეცვლაზე მოსარჩელის უარი არის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლოს მითითება საქმეში მოპასუხედ პრივატიზაციის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს – სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს უფლებამონაცვლის – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ჩართვის შესახებ (მხედველობაშია მისაღები, რომ საქართველოს მთავრობის 17.09.2012წ. №391 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების“ თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა, ასევე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების პრივატიზება წარმოადგენს სააგენტოს უფლებამოსილებას (მე-2, მე-3 მუხ.) წარმოშობს სახელმწიფო დაწესებულებებს შორის დავის სასამართლო წესით გადაწყვეტის დასაშვებობის, დავის არა სასამართლო, არამედ ადმინისტრაციული წესით, კერძოდ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის 34-ე მუხლით დადგენილი წესით გადაწყვეტის და მაშასადამე სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხს (სწორედ სახელმწიფო დაწესებულებებს შორის დავის სასამართლო წესით განხილვის დაუშვებლობის გათვალისწინებით მოსარჩელე – ტურიზმის დეპარტამენტი სარჩელზე მოპასუხედ არა სახელმწიფო ორგანოს, არამედ კერძო პირს – სააქციო საზოგადოებას ასახელებდა, ყოველ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო დაწესებულებებს შორის დავის დაუშვებლობის საკითხზე), რაზეც სააპელაციო პალატას არ უმსჯელია. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მითითებები სასკ-ის 28<sup>1</sup> მუხლთან დაკავშირებით. სასამართლოს უფლება არ აქვს გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, შეცვალოს სარჩელის საგანი, მოსარჩელის თანხმობის გარეშე მოახდინოს მოთხოვნის ახალი ფორმულირება. ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ხასიათი გულისხმობს სასამართლო აქტივიზმს, თუმცა არ უარყოფს პროცესის დისპოზიციურობის ისეთ გამოვლინებას, რო-



გორიცაა მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნის და მისი ფარგლების განსაზღვრა, მოპასუხის დასახელება. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ სასკ-ის 28<sup>1</sup> მუხლი („სარჩელის ტრანსფორმირება“) გათვალისწინებულ იქნა 18.01.08 წ. კანონით კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას პროცესუალური კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირების შესაძლებლობას. ამდენად, საფუძველს არის მოკლებული სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს საქმის განხილვისას სასკ-ის 28<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე უნდა მოეხდინა სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირება. ამასთანავე, ტრანსფორმირება უნდა ემსახურებოდეს პროცესის დაჩქარებას და არა მის გაჭიანურებას, სარჩელის ტრანსფორმირება არ ქმნის სასარჩელო მოთხოვნის ფარგლების გაცდენის შესაძლებლობას. სსკ-ის მე-3 მუხლის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ დავის საგანს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ არაერთგზის დააზუსტა თავისი სასარჩელო მოთხოვნა და აბოლოოდ მოითხოვა საოფისე – 800 კვ.მ. ფართის ნაწილში პრივატიზაციის ბათილი (არარა) გარიგებად ცნობა. ის გარემოება, რომ მოსარჩელემ სააპელაციო პალატის სხდომაზე ვერ დააზუსტა თავისი მოთხოვნა სააპელაციო სასამართლოსთვის არ ქმნიდა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული, მესამე პირის სააპელაციო საჩივარი ხსენებულ საკითხს საერთოდ არ ეხება, ხოლო სსკ-ის 377<sup>1</sup> მუხლის თანახმად სააპელაციო სასამართლო დავას იხილავს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლო მოსარჩელის მიერ მოთხოვნისა და მოპასუხეთა წრის დაზუსტების საჭიროების საფუძველით დავის საქალაქო სასამართლოში დაბრუნებით გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს და არააპელანტი მოსარჩელის მოთხოვნის ფორმულირების სისწორეზე იმსჯელა.

საქმეზე დადგენილია, რომ ... გამზ. №80-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის მესაკუთრე არის სს „...“, სს „ს...“ (უფლებამონაცვლე სს „...“) სახელზე სახელმწიფო ქონების პრივატიზება მოხდა 1998 წელს, ხოლო სარჩელი 06.08.03წ. აღიძრა. სასარჩელო მოთხოვნას შეადგენს სახელმწიფო ქონების ნაწილობრივ – 800 კვ.მ. ფართის ნაწილში პრივატიზების

ბათილად ცნობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის „სახელმწიფო საწარმოების სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ“ 14.04.1993წ. №288 დადგენილებით განისაზღვრა სახელმწიფო პროგრამის საფუძველზე სახელმწიფო საწარმოების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა (1.1 მუხ.), რაც ხორციელდებოდა ყველა საწარმოში შექმნილი პრივატიზაციის სამუშაო კომისიის მიერ (1.3 მუხ). დადგინდა, რომ ამ დადგენილების შესაბამისად შექმნილი სააქციო საზოგადოებების სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ყველა აქცია, შეიძლებოდა გაყიდულიყო მხოლოდ პრივატიზაციის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის და ამ დადგენილების შესაბამისად (1.5 მუხ.). აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საწარმოთა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის შესახებ“ დებულების პირველი ნაწილის მე-15 პუნქტის თანახმად, სააქციო საზოგადოება იღებდა გადანყვებილებას პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული შეღავათების შესაბამისად საწარმოს მუშაკებს შორის შეღავათიანი პირობებით გასანაწილებელი აქციების შესახებ და უზრუნველყოფდა აქციების საწარმოს მუშაკთა შორის განაწილებას. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 1994 წელს სახელმწიფო საწარმოს ქონების ბაზაზე აქციონირების საფუძველზე შეიქმნა სს „ს...“, საწარმოს აქციების 66% შეიძინეს ფიზიკურმა პირებმა, ხოლო 34% დარჩა სახელმწიფო საკუთრებაში. აღნიშნული ნაწილის პრივატიზება საბოლოოდ 1998 წ. დასრულდა. საქმეში დაცული სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 29.12.1998წ. წერილით დასტურდება, რომ 1998 წ. დეკემბრის მდგომარეობით სს „ს...“, სანესდებო კაპიტალის აქციების 100% სახელმწიფოს მიერ გასხვისებული იყო და იმყოფებოდა კერძო მფლობელობაში, ამდენად დასრულებული იყო სადავო პრივატიზება. განსახილველ დავაში საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ სარჩელი 06.08.2003წ. არის აღძრული. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პრივატიზების სადავო ნაწილის განხორციელებისა და სარჩელის შეტანის მომენტში მოქმედი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“, 30.05.1997წ. კანონის (ძალადაკარგულია 21.07.2010წ. კანონით) მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის გასაჩივრების სამწლიან ვადას ადგენდა. სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება კა-

ნონმდებლობის მიერ დადგენილი ზღვრული ვადები, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა და მოთხოვნის იძულებითი განხორციელება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება დროში განსაზღვრული უფლებაა და სამართლებრივი უსაფრთხოების და სტაბილურობის მოსაზრებებით მისი განხორციელება კანონმდებლობით დადგენილი ხანდაზმულობის ვადებზეა დამოკიდებული. ხანდაზმულობის ვადის გასვლა ქმნის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობას, ასეთ შემთხვევაში პირს უნარჩუნდება სასამართლოსადმი ფორმალური ხელმისაწვდომობა. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება დამოკიდებულია უფლებამოსილი პირის მიერ სათანადო ინფორმაციის მიღებაზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ სს „ს...“ 21.05.1998წ. შეთანხმების გაფორმებისას უკვე იცოდა სახელმწიფო ქონების სს „ს...“ სახელზე პრივატიზების შესახებ. საქმის მასალების მიხედვით სარჩელი აღძრულია პრივატიზების განხორციელებიდან 4 წლის შემდეგ (06.08.2003წ.). მოპასუხე სს „ს...“ დავის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის პროცესში მიუთითებდა სარჩელის ხანდაზმულობაზე. მოპასუხის ეს არგუმენტი ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა და სარჩელი ცნო ხანდაზმულად. აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო სასამართლომ სადავო განჩინებაში არ იქონია მსჯელობა ხანდაზმულობის ვადების დაცულობაზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას საქმე უნდა დაუბრუნდეს ხელახალი განხილვისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების ეტაპიდან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „ს...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.12.2012წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **საპალატო ნაწილი მისამდე პირად ჩაგმა საქმეში**

### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ბს-500-493(3კ-კს-15)

29 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ქმედების უკანონოდ ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თ. მ-მა და ჯ. ლ-ემ თბილისის საქალაქო სასამართლოში სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსა და აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს წინააღმდეგ სარჩელი აღძრეს.

#### **სასარჩელო მოთხოვნა:**

1. უკანონოდ იქნეს ცნობილი აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის-ნ. ხ-ის 2010 წლის 26 ოქტომბრის №... და №... წინადადებები გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ;

2. უკანონოდ იქნეს ცნობილი აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2010 წლის 22 ნოემბრის აქტი ქონების აღწერისა და დაყადაღების შესახებ;

3. უკანონოდ იქნეს ცნობილი შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 24 ნოემ-

ბრის №... წერილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს დაყა-  
დაღებული ქონების შეფასების შესახებ;

4. უკანონოდ იქნეს ცნობილი სსიპ აღსრულების ეროვნული  
ბიუროს შეფასების სამსახურის 2010 წლის 22 დეკემბრის №...  
და №... დასკვნები ქ.მცხეთაში, ... ქ. №18-ში მდებარე სახლის  
600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით (ს/კ ...) და ქ. მცხეთაში. ... (...) ქუჩაზე  
მდებარე 120 კვ.მ მიწის ნაკვეთი (...) შეფასების შესახებ, ყადა-  
ღადაღებული ქონების შეფასების სამსახურის შემფასებელ გ.  
მ-ის 2011 წლის 6 იანვრის №... წერილით;

5. უკანონოდ იქნეს ცნობილი შიდა ქართლისა და მცხეთა-  
მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2011 წლის  
13 იანვრის №... განკარგულება აუქციონის დანიშვნის შესახებ  
და №... სპეციალური საჯარო განცხადება იძულებითი აუქციო-  
ნის შესახებ;

6. უკანონოდ იქნეს ცნობილი შიდა ქართლისა და მცხეთა-  
მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2011 წლის  
13 იანვრის შეტყობინებები იძულებითი აუქციონის შესახებ №...;

7. ბათილად იქნეს ცნობილი შიდა ქართლისა და მცხეთა-მთი-  
ანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2011 წლის 24  
იანვრის ოქმი იძულებითი აუქციონის ჩატარების შესახებ;

8. ბათილად იქნეს ცნობილი შიდა ქართლისა და მცხეთა-მთი-  
ანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2011 წლის 31  
იანვრის განკარგულება №... და 2011 წლის 4 თებერვლის №...  
განკარგულება აუქციონზე შექნილ უძრავ ქონებაზე საკუთ-  
რების უფლების წარმოშობის შესახებ;

9. ბათილად იქნეს ცნობილი შიდა-ქართლისა და მცხეთა-მთი-  
ანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2011 წლის 31  
იანვრის №... აქტი სააღსრულებო საქმის თბილისის სააღსრუ-  
ლებო ბიუროსადმი ქვემდებარეობით გადაცემის შესახებ;

10. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ აღსრულების ეროვნული  
ბიუროს უარი თ. მ-ისა და ჯ. ლ-ის ადმინისტრაციული საჩივრის  
დაკმაყოფილებაზე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შე-  
საბამისად, საქმეში მესამე პირად ნ. კ-ი ჩაება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2013 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით  
თ. მ-ისა და ჯ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; უკანონოდ იქნა  
ცნობილი აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და  
მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის-  
ნ. ხ-ის 2010 წლის 26 ოქტომბრის №... და №... წინადადებები გა-  
დანყევტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ; უკანონო-

ნოდ იქნა ცნობილი აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2010 წლის 22 ნოემბრის აქტი ქონების აღწერისა და დაყადაღების შესახებ; უკანონოდ იქნა ცნობილი შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 24 ნოემბრის №... წერილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს დაყადაღებული ქონების შეფასების შესახებ; უკანონოდ იქნა ცნობილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის 2010 წლის 22 დეკემბრის №... და №... დასკვნები ქ. მცხეთაში, ... ქ. 18-ში მდებარე სახლის 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით და ქ. მცხეთაში. ... (...) ქუჩაზე მდებარე 120 კვ.მ მიწის ნაკვეთი შეფასების შესახებ, ყადაღადაღებული ქონების შეფასების სამსახურის შემფასებელ გ. მ-ის 2011 წლის 6 იანვრის №... წერილი; უკანონოდ იქნა ცნობილი შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2011 წლის 13 იანვრის №... განკარგულება აუქციონის დანიშვნის შესახებ და სპეციალური საჯარო განცხადება №... იძულებითი აუქციონის შესახებ; უკანონოდ იქნა ცნობილი შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2011 წლის 13 იანვრის შეტყობინებები იძულებითი აუქციონის შესახებ №...; ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნა ცნობილი შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2011 წლის 24 იანვრის ოქმი იძულებითი აუქციონის ჩატარების შესახებ; ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნა ცნობილი შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2011 წლის 31 იანვრის განკარგულება №... და 2011 წლის 4 თებერვლის №... განკარგულება აუქციონზე შექმნილ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის შესახებ; ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნა ცნობილი შიდა-ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2011 წლის 31 იანვრის №... აქტი სააღსრულებო საქმის თბილისის სააღსრულებო ბიუროსადმი ქვემდებარეობით გადაცემის შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს უარი თ. მ-ისა და ჯ. ლ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნული გადანყვეტილება ნ. კ-მა, სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიურომ სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ადმინის-

ტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ზ. ნ-ე ჩაება.

მე-3 პირის სტატუსის მინიჭების შემდგომ, ზ. ნ-ემ სააპელაციო სასამართლოში წარადგინა სააპელაციო საჩივარი და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 27 თებერვლის განჩინებით ზ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეხუთე ნაწილზე დაყრდნობით ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის/მოპასუხის ყველა უფლებით და მას ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა, მაგრამ მხარის საპროცესო უფლება-მოვალეობები ჩნდება მას შემდეგ, რაც ის მიიღებს შესაბამის პროცესუალურ სტატუსს. ზ. ნ-ე საქმეში მესამე პირად ჩართულია საქმის სააპელაციო წესით განხილვის ეტაპზე, გადანყვეტილება მისი გამოტანის მომენტში ზ. ნ-ის ინტერესებს არ შეხება, რამდენადაც მითითებული მომენტისათვის ის არ წარმოადგენდა ქონების მესაკუთრეს, შესაბამისად მას არ წარმოშობია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ზ. ნ-ემ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მხარის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინებით უხეზად დაირღვა „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმის სამართლიანი მოსმენის უფლება. საქმეში ზ. ნ-ის მესამე პირად ჩაბმით სასამართლომ უდავოდ აღიარა, რომ ამ უკანასკნელს შემხებლობა ჰქონდა სადავო საკითხთან. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი. ამ საქმეზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება თავისთავად შეეხება ზ. ნ-ის ინტერესებს, რადგან იგი სადავო ქონების მესაკუთრეა. მას შემდეგ, რაც მხარე საქმეში მესამე პირად ჩაებმება, მას მხარის ყველა უფლება აქვს. კანონი არ არეგულირებს იმ საკითხს, თუ რა მდგომარეობა იყო მესამე პირის ჩაბმამდე.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეის-



წავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ზ. ნ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ხოლო 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ ზ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი დასაშვები იყო.

მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ჯ. ლ-ისა და თ. მ-ის სხვა სასარჩელო მოთხოვნებთან ერთად, სარჩელი დაკმაყოფილდა აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის ნაწილშიც, რომლითაც ნ. კ-მა მოიპოვა ქ. მცხეთაში, ... ქ. 18-ში მდებარე სახლსა და 600 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება. ამჟამად სადავო ნაკვეთის და სახლის შესაკუთრე ზ. ნ-ეა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით ზ. ნ-ე საქმეში სავალდებულო წესით მესამე პირად ჩაება, რის შემდეგაც მან პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, კანონმდებელი განასხვავებს მესამე პირების მარტივ და სავალდებულო (აუცილებელ) ჩაბმას. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა სავალდებულო ჩაბმის ფორმა სახე-

ზეა, თუ მესამე პირი იმ სამართალურთიერთობის მონაწილეა, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივი ჩაბმის დროს გადამწყვეტია მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესები, ხოლო რაც შეეხება აუცილებელ, სავალდებულო ჩაბმას, ამ დროს სამართლებრივი ინტერესის პარალელურად მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მესამე პირთა უფლებები და მოვალეობებიც შეიძლება განისაზღვროს.

სასკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ჩაბმული მესამე პირი არ არის უფლებამოსილი გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება, ვინაიდან ამ სახის მესამე პირის იურიდიულ ინტერესებს სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს პოტენციურად, სავარაუდოდ. ამდენად, კანონმდებელი პროცესის ამ მონაწილეს, განსხვავებით მე-16 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირისა, არ აღჭურავს უფლებამოსილებით სადავო გახადოს სასამართლოს გადაწყვეტილება, მესამე პირთა ასეთ დიფერენციაციას განაპირობებს ის გარემოება, რომ სავალდებულო მონვევის მესამე პირის (16.2 მუხლი) საქმეში ჩაბმა იმპერატიულად არის რეგლამენტირებული ანუ პირი იმ სამართალურთიერთობის სუბიექტია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანის არეალში. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლი მესამე პირებად საქმეში ჩაბმის აუცილებლობას ადგენს იმ პირების მიმართ, რომლებიც არიან სადავო სამართალურთიერთობის მონაწილეები, ანუ ასეთი პირები იმგვარად არიან დაკავშირებულნი სადავო სამართალურთიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს ამ ურთიერთობასთან დაკავშირებულ, კანონით დაცულ მათ უფლებებსა და ინტერესებზე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.5. მუხლის მიხედვით აუცილებელი მონვევის საფუძველზე ჩაბმული მესამე პირი (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლი) სარგებლობს მოსარჩელისა და მოპასუხის ყველა უფლებით და ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა, რაც გულისხმობს, რომ ამგვარი სტატუსის მესამე პირი აღჭურვილია მხარის ყველა საპროცესო უფლებით, მათ შორის, სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებით; ამასთან ერთად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლით გათვალისწინებული მე-

სამე პირი მხარის უფლება-მოვალეობებს იძენს საქმეში ჩაბმის შემდეგ. მხარე სადავოდ ვერ გახდის გადანყვეტილებას, რომელიც მიღებულია იმ დროს, როცა იგი სამართალურთიერთობის მონაწილე არ იყო. მესამე პირის საქმეში ჩაბმის საფუძველი წარმოიშობა იმ მომენტიდან, როცა ის სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე ხდება იმგვარად, რომ საქმეზე მიღებული გადანყვეტილება მის უფლებებსა და ინტერესებს პირდაპირ შეიძლება შეეხოს. სწორედ ამ დროიდან უნდა მიეცეს მას საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით საქმის განხილვაში მონაწილეობის საშუალება, ამასთან, ამ უფლების რეალიზება არ გულისხმობს ამ მომენტამდე მისი მონაწილეობის გარეშე მიღებული სასამართლო გადანყვეტილების უკანონობას.

საკაცაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ ამ უკანასკნელს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმის სამართლიანი მოსმენის უფლება შეეზღუდა.

კონვენციის აღნიშნული ნორმა მრავალ ასპექტს მოიცავს, მათ შორის, სასამართლოს ხელმისაწვდომობისა და საქმის სამართლიანი მოსმენის უფლებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის 6.1 მუხლი ყველას ანიჭებს უფლებას აღძრას სასამართლოს წინაშე მის უფლებებსა თუ ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი საჩივარი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და შესაძლებელია, იყოს შეზღუდვის საგანი, ვინაიდან თავისი სამართლებრივი ბუნებით მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან მონესრიგებას, გამოყენებული შეზღუდვა არ უნდა იყოს იმგვარი ხასიათის, რომ თავისთავად უფლების არსი დაირღვეს (CASE OF PHILIS v. GREECE).

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ზ. ნ-ემ სადავო ქონება ნ. ჩ-ასაგან 2014 წლის 5 აგვისტოს შეიძინა. სწორედ იმ მიზეზით, რომ საქმეზე მიღებული გადანყვეტილება უშუალოდ შეეხებოდა მის საკუთრების უფლებას, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით საქმეში სავალდებულო მონვევის მე-სამე პირად ჩაება და მხარის ყველა უფლება-მოვალეობა შეიძინა, შესაბამისად, იმ მომენტიდან, რაც ის სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე გახდა, მას გააჩნდა სრული შესაძლებლობა, სასამართლოს წინაშე დაეცვა საკუთარი ინტერესები და ამ უფლების რეალიზებაზე მისი სააპელაციო საჩივრის განუ-

ხილველად დატოვებას არავითარი გავლენა არ მოუხდენია. მას ჰქონდა შესაძლებლობა, დაესაბუთებინა ნებისმიერი პოზიცია, წარედგინა შესაბამისი მტკიცებულებები, მოსაზრებები და მიემართა სასამართლოსათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი შუამდგომლობით საკუთარი უფლებების დასაცავად; ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზ. ნ-ემ სათანადოდ ისარგებლა სამართლიანი სასამართლოს უფლებით და საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული გარანტიებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებული, კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ზ. ნ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 27 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გაჩივრდება.

**საქმეში მარტივი ფორმით მესამე პირების ჩაბმის  
მიზანშეწონილობა**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-756-748(2კს-16)

24 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** საქმეში მესამე პირად ჩაბმა; საქმის წარმოე-  
ბის შეჩერება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2015 წლის 24 ივლისს შპს „...“ სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა  
სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დე-  
პარტამენტის 2015 წლის 26 ივნისის №... ბრძანების ბათილად  
ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2015 წლის 29 ივლისის განჩინებით შპს „...“ სარ-  
ჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის სა-  
ქალაქო სასამართლოს.

2015 წლის 4 სექტემბერს შპს „...“ სასარჩელო განცხადებით  
მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა  
სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დე-  
პარტამენტის 2015 წლის 7 მაისის გასვლითი საგადასახადო შე-  
მონების შუალედური აქტის, 2015 წლის 8 მაისის №... ბრძანე-  
ბის, 2015 წლის 8 მაისის №... საგადასახადო მოთხოვნის, 2015  
წლის 12 ივნისის №... ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა  
სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2015  
წლის 10 ივლისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხო-  
ვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2015 წლის 9 სექტემბრის განჩინებით შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით აღნიშნული ადმინისტრაციული საქმეები გაერთიანდა ერთ ნარმოებად.

2016 წლის 4 იანვარს შპს „...“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2015 წლის 3 სექტემბრის საგადასახადო შემონმების აქტის, 2015 წლის 3 სექტემბრის №... ბრძანების, 2015 წლის 3 სექტემბრის №... საგადასახადო მოთხოვნის, 2015 წლის 23 ოქტომბრის №... ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2015 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 იანვრის განჩინებით შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

მოსარჩელემ საბოლოოდ სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის გასვლითი საგადასახადო შემონმების 2015 წლის 7 მაისის შუალედური შემონმების აქტის, 2015 წლის 8 მაისის №... ბრძანების, 2015 წლის 8 მაისის №... საგადასახადო მოთხოვნის, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 12 ივნისის №... ბრძანების, 2015 წლის 26 ივნისის №... ბრძანების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2015 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილების, სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2015 წლის 3 სექტემბრის №... ბრძანების, 2015 წლის 3 სექტემბრის №... ბრძანების, 2015 წლის 3 სექტემბრის საგადასახადო შემონმების აქტის, 2015 წლის 3 სექტემბრის №... საგადასახადო მოთხოვნის, 2015 წლის 23 ოქტომბრის №... ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2015 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 12 აპრილის

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 ივლისის სასამართლო სხდომაზე შპს „...“ წარადგინა შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის დანაწესზე მითითებით. შუამდგომლობის ავტორის მოსაზრებით, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში შეტანილი იყო განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, მის განხილვამდე უნდა შეჩერებულიყო მოცემული საქმის განხილვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 ივლისის საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილდა შპს „...“ შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით ამ შემთხვევაშია სასამართლო ვალდებული შეაჩეროს საქმის წარმოება. მოცემულ შემთხვევაში მხარე თავისი შუამდგომლობის არგუმენტს ამყარებს იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ერთ-ერთ საკითხზე მისაღები აქვს დამატებითი გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით არ წარმოადგენს საქმის წარმოების შეჩერების საფუძველს, რადგან სააპელაციო საჩივრის მიხედვით, ერთ-ერთ არგუმენტს სწორედ სასამართლოს მიერ ყველა მოთხოვნაზე პასუხის გაუცემლობა წარმოადგენს. ამასთან, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია მიუხედავად იმისა, პირველი ინსტანციის სასამართლომ იმსჯელა თუ არა ამა თუ იმ მოთხოვნასთან დაკავშირებით, თავადაც მიიღოს ამ საკითხზე შესაბამისი გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 ივლისის სასამართლო სხდომაზე შპს „...“ ასევე იშუამდგომლა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საქმეში მესამე პირად ... ასოციაციის ჩაბმის შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 ივლისის საოქმო განჩინებით არ



დაკმაყოფილდა შპს „...“ შუამდგომლობა საქმეში მესამე პირის ჩაბმის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია საქმეში ჩვეულებრივი მონვევის მესამე პირის ინსტიტუტი, ანუ აღნიშნული მუხლის თანახმად, შესაძლებელია პირი ჩაბმული იქნეს საქმის განხილვაში, თუ შესაძლებელია მომავალში მის სამართლებრივად დაცულ უფლებას და ინტერესს შეეხოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ამ ნორმის თანახმად და სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, აღნიშნული უფლებამოსილება სასამართლოს მიხედულებაზე დამოკიდებული, ანუ სასამართლო უფლებამოსილი ან ჩააბას მხარე მესამე პირად მე-16 მუხლის პირველი ნაწილით ან არ ჩააბას. გამონაკლის წარმოადგენს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს სამართალურთიერთობის მონაწილის მესამე პირად ჩაბმა. ის გარემოება, რომ მოცემული ასოციაცია არ წარმოადგენს სამართალურთიერთობის მონაწილეს, მხარეები არ ხდებიან სადავოდ, რაც შეეხება მის ჩაბმას მე-16 მუხლის პირველი ნაწილით, სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია მიზანშეწონილად ამ ასოციაციის მესამე პირად ჩაბმა დასახელებული არგუმენტებით, რადგანაც აღნიშნული წარმოადგენს სასამართლოს უფლებამოსილებას და მხარეთა პოზიციებით არ არის სასამართლო თავისი გადაწყვეტილების მიღებისას შეზღუდული.

საქმის წარმოების შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 ივლისის საოქმო განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა შპს „...“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების შეჩერება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის – შპს „...“ განმარტებით, საქალაქო სასამართლომ მათი განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე გადაუგზავნა სააპელაციო სასამართლოს, მაშინ როცა აღნიშნული მოთხოვნის თაობაზე თავად უნდა ემსჯელა. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მათი მოთხოვნა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე ეფუძნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს

მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, დამატებითი გადაწყვეტილება გამოაქვს იმ სასამართლოს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება შპს „...“ სარჩელზე და არა სააპელაციო სასამართლოს.

კერძო საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში შემცირდება შპს „...“ დარიცხული თანხების ოდენობა და, შესაბამისად, შეიცვლება სააპელაციო მოთხოვნაც და მისი ოდენობაც.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, შეუძლებელია სააპელაციო სასამართლომ იმსჯელოს იმ საკითხზე, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ჯერ არ არის გადაწყვეტილი. შეუძლებელია მხარეს წაერთვას კონსტიტუციით და სხვა მოქმედი საკანონმდებლო ნორმებით გარანტირებული საპროცესო უფლება, სასარჩელო მოთხოვნაზე დავა დაიწყოს პირველი ინსტანციის სასამართლოდან შემდგომი გასაჩივრების უფლებით. კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 5 ივლისის განჩინებით უხეშად ირღვევა მხარის საპროცესო უფლება, რომელიც გარანტირებულია ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებითა და საქართველოს კონსტიტუციით.

საქმეში მესამე პირის ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 ივლისის საოქმო განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა შპს „...“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეში მესამე პირის ჩაბმა მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის – შპს „...“ განმარტებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ... საწარმოების კანონიერ ინტერესებზე. აღნიშნულ საწარმოებს ჩამოყალიბებული აქვთ ... ასოციაცია. იმის გათვალისწინებით, რომ ასოციაციის თითოეული წევრის ჩაბმა პროცესის გაჭიანურებას გამოიწვევდა, გონივრული და კანონიერი იყო მათი ინტერესების გამტარებელი ... ასოციაციის საქმეში მესამე პირად ჩაბმა, რომელიც აერთიანებს ... საწარმოებს და ასოციაციის წესდების 2.1. პუნქტის მიხედვით, მისი მიზანია აღნიშნულ დარგში პრობლემების გამოვლენა, შესწავლა, გამოკვლევა, მათი გადაჭრის გზების მოძიება და გადაჭრის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება; ასევე ასოციაციის წევრების დახმარება და მათი ინტერესების წარმოდგენა სახელმწიფო დაწესებულებებთან. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, აღნიშნულის გათვალისწინებით მოითხოვეს მათ საქარ-

თველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ... ასოციაციის საქმეში მე-სამე პირად ჩაბმა, ხოლო სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა მათი შუამდგომლობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ოქტომბრისა და 31 ოქტომბრის განჩინებებით წარმოებაში იქნა მიღებული შპს „...“ კერძო საჩივრები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა შპს „...“ კერძო საჩივრებისა და საჩივრებული საოქმო განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 ივლისის სასამართლო სხდომაზე შპს „...“ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქმის წარმოების შეჩერება იმ მოტივით მოითხოვა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში შეტანილი იყო განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

გასაჩივრებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 ივლისის საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილდა შპს „...“ შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლი განსაზღვრავს სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო შემთხვევებს. შპს „...“ საქმის წარმოების შეჩერებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის პირ-

ველი ნაწილის „დ„ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვს, რომლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადანყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლით განსაზღვრული საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი. ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და მიუთითებს, რომ სააპელაციო საჩივრის მიხედვით, საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილების გაუქმების ერთ-ერთ არგუმენტს სწორედ სასამართლოს მიერ ყველა მოთხოვნაზე პასუხის გაუცემლობა წარმოადგენს; ხოლო სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, პირველი ინსტანციის სასამართლომ იმსჯელა თუ არა ამა თუ იმ მოთხოვნასთან დაკავშირებით, თავადაც მიიღოს ამ საკითხზე შესაბამისი გადანყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 ივლისის სასამართლო სხდომაზე შპს „...“ ასევე იშუამდგომლა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ... ასოციაციის ჩაბმის შესახებ.

გასაჩივრებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 ივლისის საოქმოდ განჩინებით არ დაკმაყოფილდა შპს „...“ შუამდგომლობა საქმეში მესამე პირად ჩაბმის შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მესამე პირების ინსტიტუტი უფლებას აძლევს მათ მოახდინონ საკუთარი კერძო, სუბიექტური ინტერესების დაცვა და რეალიზება ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში. მესამე პირების ინსტიტუტის საფუძველს ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი ქმნის. ამასთან, აღნიშნული მუხლის თანახმად, კანონმდებელი განასხვავებს მესამე პირების ჩვეულებრივ და სავალდებულო (აუცილებელ) ჩაბმას. მე-16 მუხლის პირველი ნაწილი მესამე პირთა ჩვეულებრივი წესით ჩაბმის ფორმულირებას შეიცავს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილი – სავალდებულო, აუცილებელი ჩაბმის ფორმულირებას. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა ჩვეულებრივ და სავალდებულო ფორმით ჩაბ-

მას შორის განსხვავებას მნიშვნელობა ენიჭება სწორედ მათთვის საპროცესო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მინიჭების თვალსაზრისით. საყურადღებოა, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა ჩვეულებრივი წესით, მარტივი ჩაბმის დროს გადამწყვეტია მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესი, ხოლო რაც შეეხება ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა აუცილებელ, სავალდებულო ჩაბმას, ამ დროს სამართლებრივი ინტერესის პარალელურად მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მესამე პირთა უფლებები და მოვალეობები შეიძლება განისაზღვროს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში მესამე პირების სავალდებულო მონაწილეობა სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს; ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საქმეში მარტივი ფორმით მესამე პირის ჩაბმა, განეკუთვნება სასამართლოს უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება სასამართლოს მიხედულებაზეა დამოკიდებული, რომელმაც მიზანშეწონილად არ მიიჩნია საქმეში ... ასოციაციის მესამე პირად ჩაბმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“ კერძო საჩივრები უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული საოქმო განჩინებების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...“ კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს საქმის წარმოების შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 ივლისის საოქმო

განჩინება და მესამე პირად ჩაბმავზე უარის თქმის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 ივლისის საოქმო განჩინება;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ საჩივრდება.

**სსიპ სასაქონლო-სამართლო განვითარების  
სააგენტოს საქმეში თანამოქალაქის  
კანონიერება**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-22-21(კს-17)

21 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ლ. ქ-ემ 2015 წლის 19 მაისს აღძრა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხე სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ბათილად ცნოთ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის დოკუმენტის აპოსტილით დამონმებაზე უარის თქმის შესახებ მოპასუხის 2015 წლის 23 აპრილის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; ... უნივერსიტეტ „...“ მიერ გაცემული დიპლომის (...) აპოსტილით დამონმების შესახებ ლ. ქ-ის განცხადების დაკმაყოფილების თაობაზე მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2015 წლის 22 აგვისტოს საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა ... უნივერსიტეტი ....

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით ლ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2015 წლის 23 აპრილის №... ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ლ. ქ-ის ნაწილში; დაევალა მოპასუხე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ქმედების განხორციელება, კერძოდ, ... უნივერსიტეტ „...“ მიერ ლ. ქ-ის სახელზე გაცემული ... დიპლომის აპოსტილით დამოწმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 10 ნოემბრის განჩინებით მხარეთა შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; ადმინისტრაციულ საქმეში №3ბ/1442-16, მოსარჩელე ლ. ქ-ე, მოპასუხე – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, მესამე პირი – ... უნივერსიტეტი „...“, თანამოპასუხედ ჩაბმულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 10 ნოემბრის განჩინება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში და მისი გაუქმება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 1 თებერვლის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კერძო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და



გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2015 წლის 23 აპრილის №... ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (რომლითაც ლ. ქ-ეს უარი ეთქვა დიპლომის აპოსტილით დამონებაზე) ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ლ. ქ-ის სახელზე გაცემული დიპლომის აპოსტილით დამონებების დავალება წარმოადგენს.

საქმის მასალების მიხედვით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 10 ნოემბრის განჩინებით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და ლ. ქ-ის წარმომადგენლების შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; ადმინისტრაციულ საქმეში №..., მოსარჩელე ლ. ქ-ე, მოპასუხე – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, მესამე პირი – ... უნივერსიტეტი „...“, თანამოპასუხედ ჩაბმული იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დიპლომის აპოსტილით დამონება აღარ განეკუთვნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კომპეტენციას და იგი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფლებამოსილებაში შედის, რის გამოც გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 10 ნოემბრის განჩინებით მოცემულ ადმინისტრაციულ საქმეში თანამოპასუხედ ჩაბმულ იქნა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, რასაც კერძო საჩივრის ავტორი არ დაეთანხმა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აგვისტოს №405 დადგენილებით დამტკიცებული „დოკუმენტის აპოსტილით დამონმების წესის“ პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს წესი განსაზღვრავს დოკუმენტების სპეციალური შტამპით – „აპოსტილით“ დამონმებაზე უფლებამოსილ ორგანოებს, დამონმებას დაქვემდებარებულ დოკუმენტებსა და დამონმების პროცედურას; აღნიშნული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ წესის შესაბამისად აპოსტილით დამონმებას ექვემდებარება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული დოკუმენტები; ხოლო ამავე წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოში დოკუმენტების აპოსტილით დამონმებაზე უფლებამოსილი ორგანოა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო – აპოსტილით დამონმებას დაქვემდებარებულ ყველა დოკუმენტზე, რომელთა დამონმებაც არ განეკუთვნება სხვა ორგანოს კომპეტენციას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 10 აგვისტოს №93/6-№170 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტების, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული დოკუმენტების აპოსტილით დამონმების/ლეგალიზაციის უზრუნველსაყოფად საჭირო ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების წესის“ მე-5 მუხლზე, რომლის თანახმად, ამ ბრძანების ამოქმედებამდე დოკუმენტის აპოსტილით დამონმების/ლეგალიზაციის მოთხოვნით მიღებული განცხადებების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტების, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული დოკუმენტების აპოსტილით დამონმებას/ლეგალიზაციას განახორციელებს ცენტრი.

ამდენად, მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მის სისტემაში შე-

მავალი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტების, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული დოკუმენტების აპოსტილით დამონმებაზე უფლებამოსილ ორგანოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო წარმოადგენს, გარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 10 აგვისტოს №93/ნ-№170 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული წესის გარდამავალი დებულებით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც ამ ბრძანების ამოქმედებამდე – 2016 წლის 10 აგვისტომდე დოკუმენტის აპოსტილით დამონმების/ლევალიზაციის მოთხოვნით მიღებული განცხადებების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტების, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული დოკუმენტების აპოსტილით დამონმებას/ლევალიზაციას განახორციელებს ცენტრი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 10 აგვისტოს №93/ნ-№170 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული წესის გარდამავალი დებულება ვრცელდება 2016 წლის 10 აგვისტომდე დოკუმენტის აპოსტილით დამონმების/ლევალიზაციის მოთხოვნით მიღებულ განცხადებებზე და ვერ გავრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც სასამართლო არსებითად ბათილად ცნობს დოკუმენტის აპოსტილით დამონმებაზე უარის თქმის შესახებ სადავო აქტს და თავისი გადაწყვეტილებით ავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს დოკუმენტის აპოსტილით დამონმებას.

განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2015 წლის 23 აპრილის №... ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (რომლითაც ლ. ქ-ეს უარი ეთქვა დიპლომის აპოსტილით დამონმებაზე) ბათილად ცნობა და მოპასუხისთვის ლ. ქ-ის სახელზე გაცემული დიპლომის აპოსტილით დამონმების დავალეზა წარმოადგენს, შესაბამისად, სადავო აქტის ბათილად ცნობის ნაწილში მოპასუხეა მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ხოლო ლ. ქ-ის სახელზე გაცემული დიპლომის აპოსტილით დამონმების დავალების ნაწილში – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში, დიპლომის

აპოსტილით დამონმება უნდა დაევალოს მოქმედი კანონმდებლობით დოკუმენტის აპოსტილით დამონმებაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 10 ნოემბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# საქმეში მასამე პირად ჩართვის აუცილებლობა

## ბანჩინება საქართველოს სახელით

№ბს-9-8(კს-17)

9 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** საქმეში მესამე პირად ჩაბმა

### აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 6 აპრილს ზ. ა-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ.

მოსარჩელემ ზ. ა-ზე ქ. თბილისში, დაბა წყნეთი, ... ზონა, კორპუსი №11, ფართი 2-ის მიმდებარედ 344 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის ნაწილში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2016 წლის 15 თებერვლის №... საოქმო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 12 ივლისის სხდომაზე სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შედეგად მოსარჩელემ დამატებით მოპასუხისათვის ზ. ა-ისათვის ქ. თბილისში, დაბა წყნეთი, ... ზონა, კორპუსი №11, ფართი 2-ის მიმდებარედ 344 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გა-

დაუნყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2016 წლის 15 თებერვლის №... საოქმო გადაწყვეტილება ზ. ა-ზე ქ. თბილისში, დაბა წყნეთი, ... ზონა, კორპუსი №11, ფართი 2-ის მიმდებარედ მდებარე 344 კვ.მეტრ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის ნაწილში (დღის წესრიგის 24-ე საკითხი); ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის კანონით დადგენილ ვადაში, გადაწყვეტილებაში მითითებული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ქ. თბილისში, დაბა წყნეთი, ... ზონა, კორპუსი №11, ფართი 2-ის მიმდებარედ მდებარე 344 კვ.მეტრ მიწის ნაკვეთზე ზ. ა-ის მოთხოვნასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ნოემბრის განჩინებით აპელანტის – ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ნოემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შუამდგომლობა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის

თანახმად, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებაა, ხოლო ამ უკანასკნელს მოცემულ ურთიერთობაში წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ნოემბრის განჩინება საქმეში მესამე პირად ჩაბმის თაობაზე კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არ წარმოადგენს სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვაზე უფლებამოსილ პირს. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებით დამტკიცდა „ქონების მმართველის საქმიანობის და უფლებამოსილების განხორციელების წესი“, რომლის მე-3 მუხლის თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო განსაზღვრავს და წარმართავს სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკას. ამავდროულად მე-2 მუხლის შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ახორციელებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართვა-განკარგვას, ასევე სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებულ დავებზე ახორციელებს სასამართლოში წარმომადგენლობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 იანვრის განჩინებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.



### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერებით დასტურდება, რომ უძრავი ქონება, მდებარე: ქ.თბილისი, დაბა წყნეთი, ... ქუჩა, კორპუსი №11, ფართობით: 69.00 კვ.მ, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №..., საკუთრების უფლებით აღრიცხულია ზ. ა-ის სახელზე, ხოლო უძრავი ქონება, მდებარე: ქ.თბილისი, დაბა წყნეთი, ... ქუჩა (ნაკვეთი 017/068), დაზუსტებული ფართობით: 2025.000 კვ.მ. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №..., საკუთრების უფლებით აღრიცხულია სახელმწიფოს სახელზე.

დადგენილია, რომ 2015 წლის 23 ოქტომბერს ზ. ა-მა განცხადებით მიმართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და მოითხოვა საკუთრების მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის, მდებარე: ქ.თბილისი, დაბა წყნეთი, ... ზონა, კორპუსი №11, ფართი 2-ის მიმდებარედ მდებარე 344 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება. კომისიის 2016 წლის 15 თებერვლის №... საოქმო გადაწყვეტილებით (24-ე საკითხი) ზ. ა-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი რეგისტრირებული იყო სახელმწიფოზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ნოემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შუამდგომლობა და საქართველოს ადმინისტრაცი-

ციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დამკვიდრებულია როგორც მხარეთა და პოტენციურ მესამე პირთა საპროცესო უფლება – მიმართონ სასამართლოს საქმეში მესამე პირის ან მესამე პირად ჩაბმის მოთხოვნით, აგრეთვე, ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სასამართლოს გააჩნია, როგორც უფლებამოსილება, ასევე აკისრია პროცესუალური ვალდებულება მესამე პირის ჩაბმის თაობაზე, რაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დაგების მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალური თვისებურებებიდან გამომდინარეობს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მესამე პირების ინსტიტუტი უფლებას აძლევს მათ მოახდინონ საკუთარი კერძო, სუბიექტური ინტერესების დაცვა და რეალიზება ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში. მესამე პირების ინსტიტუტის საფუძველს ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი ქმნის. ამასთან, აღნიშნული მუხლის თანახმად, კანონმდებელი განასხვავებს მესამე პირების ჩვეულებრივ და სავალდებულო (აუცილებელ) ჩაბმას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილი მესამე პირთა ჩვეულებრივი წესით ჩაბმის ფორმულირებას შეიცავს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილი – სავალდებულო, აუცილებელი ჩაბმის ფორმულირებას. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა ჩვეულებრივ და სავალდებულო ფორმით ჩაბმას შორის განსხვავებას მნიშვნელობა ენიჭება სწორედ მათთვის საპროცესო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მინიჭების თვალსაზრისით. საყურადღებოა, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივი ჩაბმის დროს გადამწყვეტია მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესი, ხოლო რაც შეეხება ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა აუცილებელ, სავალდებულო ჩაბმას, ამ დროს სამართლებრივი ინტერესის პარალელურად მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლოს გადამწყვეტილებით მესამე პირთა უფლებები და მოვალეობები შეიძლება განისაზღვროს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლი მესამე პირებად საქმეში ჩაბმის

აუცილებლობას ადგენს იმ პირების მიმართ, რომლებიც არიან სადავო სამართალურთიერთობის მონაწილეები და რომელთან მიმართებაშიც მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი, ანუ ასეთი პირები იმგვარად არიან დაკავშირებული სადავო სამართალურთიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ ამ დავის გადაწყვეტის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს ამ ურთიერთობასთან დაკავშირებულ, კანონით დაცულ მათ უფლებებსა და ინტერესებზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საქმეში მესამე პირად ჩაება იმ მოტივით, რომ სადავო მინის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებაა, ხოლო ამ უკანასკნელს მოცემულ ურთიერთობაში წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონში 05.06.2012წ. №6377 კანონით შეტანილი ცვლილების შედეგად, რომელიც 2012 წლის 17 სექტემბრიდან ამოქმედდა, შეიქმნა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, რომელიც ახორციელებს ქონების მართვასა და განკარგვას (1.6 მუხ.). საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სუბიექტის მიერ სახელმწიფო ქონების მართვაში მიღება შეიძლება განხორციელდეს სახელშეკრულებო ან კანონისმიერი საფუძვლით. კანონის საფუძველზე კონკრეტული ორგანოსათვის ქონების გადაცემის ძირითადი მიზანი, როგორც წესი, არის ქონების არსებული მდგომარეობის შენარჩუნება, მოვლა-პატრონობა და სათანადო დავალების შემთხვევაში, სამართავად გადაცემული ქონების გაუმჯობესება, სარემონტო სამუშაოების ჩატარება და სხვ.. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სწორედ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოვალეობაა სახელმწიფო ქონების მართვა, შესაბამისად მისი მოვლა-პატრონობაც. რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლება-მოვალეობებს, სამინისტრო განსაზღვრავს სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკას და წარ-

მართავს მას, აგრეთვე ახდენს პრივატიზებისა და სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვის ხელშეწყობას, პრივატიზებისა და სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, წინადადებების მომზადებას შესაბამის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ცვლილებების განხორციელების თაობაზე (საქართველოს მთავრობის 11.02.2016წ. №70 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების“ 2.2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

საქართველოს მთავრობის 11.02.2016წ. №70 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების“ მიხედვით, სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ სფეროდ სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა განისაზღვრა (2.1 მუხ.). სამინისტრო უფლებამოსილებებს ახორციელებს მის სისტემაში შემავალი ერთეულების მეშვეობით, სამინისტროს სისტემაში შედის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები (მე-3 მუხ.), მათ შორის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი).

საქართველოს მთავრობის 17.09.2012წ. №391 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი მიზანია. დებულების მიხედვით, სააგენტო დამოუკიდებლად გამოდის სასამართლოში (1.4 მუხ.), მისი მიზანია სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა (მე-2 მუხ. „ა“ ქვეპუნქტი), ასევე, სააგენტო უზრუნველყოფს სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობისათვის საჭირო ღონისძიებების შერჩევას, რეკომენდაციების მომზადებას და მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებას (მე-8 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მართალია, საკასაციო სასამართლო ეთანხმება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ახორციელებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართვა-განკარგვას, ასევე სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებულ დავებზე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში სასამართლოში წარმომადგენლობას, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს მის მფლობელობაში არსებულ 344 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (მდებარე: ქ. თბილისი, დაბა წყნეთი) საკუთრების უფლების აღიარებას, რომელიც 1995 წლიდან აქვს თვითნებურად დაკავებუ-

ლი და აშენებული აქვს კაპიტალური ავტოფარეხი, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დავის საგანი არის არა სახელმწიფო ქონების სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მართვა-განკარგვა, არამედ – საკუთრების უფლების აღიარება, რის გამოც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მართებულად იქნა ჩაბმული საქმეში მესამე პირად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ნოემბრის განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ნოემბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმეში მესამე პირად ჩაბმის მატერიალური და  
პროცესუალური წინაპირობები**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-95-94(კ-17)

4 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** მესამე პირად ჩაბმის კანონიერება;

**აღწერილობითი ნაწილი:**

ი. თ-ამ 2015 წლის 25 სექტემბერს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში და მოპასუხეთა წრისა და სასარჩელო მოთხოვნის არაერთგზის დაზუსტების შემდეგ საბოლოოდ მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტისათვის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის დავალება რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ, სადაც საქართველოს სახელმწიფოსთან ერთად მოსარჩელე იქნება ი.თ-ა. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა დაევალოს საქართველოს მთავრობას დაავალოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს განახორციელოს ი.თ-ას საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთებზე, რომელიც მდებარეობს ქ. სოხუმში და დაბა გ-ში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით ი.თ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი.თ-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირად ჩაერთო საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაცი-

ული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილით მე-სამე პირი საქმეში აუცილებლად უნდა იქნეს ჩაბმული, თუკი იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან აპელანტის მოთხოვნები მიმართულია როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ასევე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით, ორივე ადმინისტრაციული ორგანო საქმეში ჩაბმული უნდა იქნეს მესამე პირად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, იგი არ წარმოადგენს მოცემულ საქმეზე სამართალურთიერთობის მონაწილეს, რამდენადაც მოსარჩელის მოთხოვნა არ წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ საკითხს და სამინისტროს ასეთი უფლებამოსილება საერთოდ არ გააჩნია და საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება ვერავითარა შედეგის მომტანი ვერ იქნება იუსტიციის სამინისტროსათვის.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 22 ნოემბრის საოქმო განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დამკვიდრებულია როგორც მხარეთა და პოტენციურ მესამე პირთა საპროცესო უფლება – მიმართონ სასამართლოს საქმეში მესამე პირის ან მესამე პირად ჩაბმის მოთხოვნით, აგრეთვე, ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სასამართლოს გააჩნია, როგორც უფლებამოსილება, ასევე აკისრია პროცესუალური ვალდებულება მესამე პირის ჩაბმის თაობაზე, რაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავების მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალური თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესის დაცვის მიზნის მიღწევას ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მონაწილეობა



ვის ინსტიტუტი ემსახურება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მესამე პირის ინსტიტუტი ადმინისტრაციული პროცესის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მესამე პირებს დაიცვან თავიანთი კერძო, სუბიექტური ინტერესები და რეალიზება განახორციელონ ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში. მესამე პირების ინსტიტუტის საკანონმდებლო საფუძველს ქმნის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი. აღნიშნული მუხლის თანახმად, კანონმდებელი განასხვავებს მესამე პირების მარტივ და სავალდებულო (აუცილებელ) ჩაბმას. მესამე პირთა ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილის მარტივი ფორმა შინაარსობრივად განსხვავდება აუცილებელი, სავალდებულო ფორმისაგან. განსხვავება იმაშია, რომ მესამე პირთა ადმინისტრაციულ პროცესში მარტივი ფორმით ჩაბმა საქმის განმხილველი სასამართლოს უფლებაა, ხოლო მესამე პირთა აუცილებელი, სავალდებულო ჩაბმა კი ვალდებულება კონკრეტული გარემოების არსებობისას. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილი სწორედ მესამე პირთა მარტივი ჩაბმის ფორმულირებას შეიცავს, მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი კი აუცილებელი, სავალდებულო ჩაბმის ფორმულირებას. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივ და სავალდებულო ფორმით ჩაბმას შორის განსხვავებას მნიშვნელობა ენიჭება სწორედ მათთვის საპროცესო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მინიჭების თვალსაზრისით. ადმინისტრაციულ პროცესში მარტივი ფორმით ჩაბმული მესამე პირები უფრო შეზღუდული უფლებებით სარგებლობენ, ვიდრე სავალდებულო ფორმით ჩაბმული მესამე პირები.

ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა სავალდებულო ჩაბმის ფორმა სახეზეა, თუ მესამე პირი იმ სამართალურთიერთობის მონაწილეა, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივი ჩაბმის დროს გადამწყვეტია მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესები, ხოლო რაც შეეხება აუცილებელ, სავალდებულო ჩაბმას, ამ დროს სამართლებრივი ინტერესის პარალელურად მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მესამე პირთა უფლებები და მოვალეობებიც შეიძლება განისაზღვროს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი მესამე პირებად საქმეში ჩაბმის აუცილებლობას ადგენს იმ პირების მიმართ, რომლებიც არიან სადავო სამართალურთი-

ერთობის მონაწილეები, რომელთან მიმართებაშიც მხოლოდ საერთო გადანყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი, ანუ ასეთი პირები იმგვარად არიან დაკავშირებულნი სადავო სამართალურთიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ ამ დავის გადანყვეტის შედეგად მიღებული გადანყვეტილება გავლენას მოახდენს ამ ურთიერთობასთან დაკავშირებულ, კანონით დაცულ მათ უფლებებსა და ინტერესებზე. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით აუცილებელი მოწვევის საფუძველზე ჩაბმული მესამე პირი (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლი) სარგებლობს მოსარჩელისა და მოპასუხის ყველა უფლებით და ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა, რაც გულისხმობს, რომ ამგვარი სტატუსის მესამე პირი აღჭურვილია მხარის ყველა საპროცესო უფლებით.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის მოტივებს, გასაჩივრებული განჩინება მიაჩნია კანონშესაბამისად და მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენს სადავო სამართალურთიერთობის მონაწილეს, შესაბამისად, არსებობდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით საქმეში სავალდებულო მესამე პირად ჩაბმის მატერიალური და პროცესუალური წინაპირობები. შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში პირის პროცესუალური უფლებების უზრუნველყოფა პირდაპირ კავშირშია მისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების არსებობის ფაქტთან. პირს მესამე პირის პროცესუალური ინსტიტუტი აძლევს შესაძლებლობას, საპროცესო უფლებების გამოყენების გზით უზრუნველყოს მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით საქმეში სავალდებულო მესამე პირად ჩაბმის ინსტიტუტის მიზანს სწორედ ასეთი პირის, სადავო სამართალურთიერთობის მონაწილის მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს, რაც შესაბამისი საპროცესო უფლებების რეალიზაციის მეშვეობით უნდა განხორციელდეს.

მოცემულ საქმეში სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სარჩელის სახით – მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ქმედების განხორციელების დავალება. მოთხოვნის საგანს წარმოადგენს: 1. დაევალოს საქართველოს

პრეზიდენტს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაავალოს სარჩელით მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ, სადაც საქართველოს სახელმწიფოსთან ერთად მოსარჩელე იქნება ი. თ-ა; 2. დაევალოს საქართველოს მთავრობას დაავალოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს განხორციელოს ი. თ-ას საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთებზე, რომელიც მდებარეობს ქ. სოხუმში და დაბა გ-ში.

საქართველოს პრეზიდენტისადმი მიმართული სასარჩელო მოთხოვნა ითვალისწინებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის მოქმედების განხორციელების დავალებას, რამდენადაც საქართველოს პრეზიდენტის მიმართ მოთხოვნა, რომ იუსტიციის სამინისტროს დაავალოს სარჩელით მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის №389 დადგენილების მე-3 მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებას განეკუთვნება. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მოცემულ დავაზე წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ საპროცესო სუბიექტს, რომლის მიმართაც მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ სამართალურთიერთობაში კერძო საჩივრის ავტორის საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ატარებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირის ნიშანს, ანუ იმ პირს, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი, რაც უზრუნველყოფილ იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მიმართულია სახელმწიფოს მიმართ, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში წარმოადგენენ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები. საგულისხმოა, რომ მოცემული დავის ანალოგიური მოთხოვნა იგივე მოსარჩელის მიერ ერთხელ უკვე აღძრული იყო სასამარ-

თლოში, რომელზეც იმსჯელა საკასაციო პალატამ 2009 წლის 11 მარტის (საქმე №ბს-654-626(2კ-08)) განჩინებითა და 2013 წლის 13 თებერვლის (საქმე №ბს-403-398(კ-12)) გადაწყვეტილებით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილებების საფუძველზე საქმის განხილვისას უნდა შეაფასოს მოცემულ დავაზე ხომ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ნოემბრის საოქმო განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მარტივი და სავალდებულო ფორმით მესამე პირის  
საქმეში ჩაბმის განსხვავება**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-924-920(კს-17)

18 დეკემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** საქმეში მესამე პირად ჩაბმა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2015 წლის 8 მაისს ო. კ-ემ და ნ. ი-ემ სასარჩელო განცხადებ-  
ით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-  
ციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს სახალ-  
ხო დამცველის მიმართ.

მოსარჩელებმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარა-  
ტის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფრო-  
სის ნ. ი-ისა და პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენ-  
ტის უფროსის მოადგილის ო. კ-ის დაკავებული თანამდებობი-  
დან გათავისუფლების შესახებ საქართველოს სახალხო დამცვე-  
ლის 2015 წლის 3 აპრილის №... ბრძანების ბათილად ცნობა, ნ. ი-  
ის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა  
და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე  
აღდგენა, ო. კ-ის საქართველოს სახალხო დამცველის აპარა-  
ტის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფრო-  
სის მოადგილის თანამდებობაზე აღდგენა და საქართველოს სა-  
ხალხო დამცველისთვის ნ. ი-ისა და ო. კ-ის სასარგებლოდ სამ-  
სახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამ-  
დე სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის ხელ-  
ფასის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2015 წლის 4 ნოემბრის განჩინებით საქართვე-  
ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის  
პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირებად ჩაებ-  
ნენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციი-

სა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ნ. კ-ა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე დ. მ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ი-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ო. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 3 აპრილის №95 ბრძანება ო. კ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში და ო. კ-ე აღდგენილ იქნა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე; ო. კ-ეს აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური ხელფასი მისი თანამდებობიდან განთავისუფლების დღიდან – 2013 წლის 5 ნოემბრიდან მის სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ი-ემ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს სახალხო დამცველმა და დ. მ-მა, რომლებმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ივლისის განჩინებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის – დ. მ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს საამართლო საპროცესო კოდექსის 364.1. მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით შეიძლება გაასაჩივრონ მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1. მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირად. ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მე-სამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. თუ სამართალურთიერთობაში მონაწილეობს 10 პირზე მეტი, მაშინ სასამართლო საქმეში ჩააბამს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ამის სურვილს გამოთქვამენ, ხოლო ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის მოპასუხის ყველა უფლებით და მას ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა.

პალატამ განმარტა, რომ მესამე პირების ინსტიტუტის საკანონმდებლო საფუძველს ქმნის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი. აღნიშნული მუხლის თანახმად, კანონმდებელი განასხვავებს მესამე პირების მარტივ და სავალდებულო ჩაბმას. ადმინისტრაციულ პროცესში მარტივი ფორმით ჩაბმული მესამე პირები არ სარგებლობენ იგივე უფლებებითა და მოვალეობებით, როგორც სავალდებულო, აუცილებელი ფორმით ჩაბმული მესამე პირები. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივ და სავალდებულო ფორმით ჩაბმას შორის განსხვავებას მნიშვნელობა ენიჭება სწორედ მესამე პირთა ზემოაღნიშნული საპროცესო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მინიჭების თვალსაზრისით. მხოლოდ აუცილებელი ფორმით ჩაბმული მესამე პირები სარგებლობენ მხარის ყველა საპროცესო უფლებითა და მოვალეობით. შესაბამისად, უფლება აქვთ წარადგინონ დამოუკიდებელი სარჩელი, გაზარდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნა, წარადგინონ საკუთარი მოთხოვნა, მორიგდნენ, უარი თქვან სარჩელზე, ცნონ სასარჩელო მოთხოვნა, დამოუკიდებლად გაასაჩივრონ სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება და ა.შ. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ, იმ მესამე პირს, რომელიც წარმოადგენს იმ სამართალურთიერთობის მონაწილეს, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შე-



საძღვებელი ანუ საქმეში ჩაბმულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2. მუხლის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში დ. მ-ი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 ნოემბრის განჩინებით წინამდებარე დავაში მესამე პირად ჩაბმული იქნა და მონაწილეობას იღებდა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1. მუხლის საფუძველზე.

პალატამ განმარტა, რომ აღნიშნულ დავაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი – დ. მ-ი არ წარმოადგენს იმ სამართალურთიერთობის მონაწილეს, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადანყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

ამდენად, ვინაიდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი – დ. მ-ი წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ, ადმინისტრაციულ პროცესში მარტივი ფორმით ჩასაბმელ მესამე პირს, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით არ სარგებლობდა სასამართლო გადანყვეტილების გასაჩივრების პროცესუალური უფლებებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი – დ. მ-ი არ იყო უფლებამოსილი პირი, რომელსაც შეეძლო გაესაჩივრებინა სასამართლო გადანყვეტილება სააპელაციო წესით. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის – დ. მ-ის სააპელაციო საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 დეკემბრის გადანყვეტილებაზე, სააპელაციო სასამართლოს განჩინებით მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ – დ. მ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა და მისი არსებითად განხილვა მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასა-

მართლოს 2017 წლის 21 ივლისის განჩინებაში სხვა ხარვეზებთან ერთად არასწორად არის მითითებული, თითქოს დ. მ-ი იკავებს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას და მოსამართლეს მთელი მსჯელობა ამაზე აქვს აგებული. სინამდვილეში, პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას იკავებს ნ. კ-ა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მის მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანა განაპირობა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებამ იმ ნაწილში, რითაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე ო. კ-ის აღდგენაზე, ვინაიდან აღნიშნულ თანამდებობაზე იმყოფება თავად კერძო საჩივრის ავტორი – დ. მ-ი და ო. კ-ის აღდგენა აზიანებს დ. მ-ის კანონიერ ინტერესებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის – დ. მ-ის კერძო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის – დ. მ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს სახალ-

ხო დამცველის 2015 წლის 3 აპრილის №... ბრძანებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის 99-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 9 მარტის №... ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის 2015 წლის 3 აპრილის დასკვნის შესაბამისად, 2013 წლის 5 ნოემბრიდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ნ. ი-ე და ამავე დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ო. კ-ე განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან.

ო. კ-ემ და ნ. ი-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის ნ. ი-ისა და პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ო. კ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 3 აპრილის №... ბრძანების ბათილად ცნობა, ნ. ი-ის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე აღდგენა, ო. კ-ის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე აღდგენა და საქართველოს სახალხო დამცველისთვის ნ. ი-ისა და ო. კ-ის სასარგებლოდ სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის ხელფასის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ნ. კ-ა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე დ. მ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ი-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ო. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 3 აპრილის №... ბრძანება ო. კ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში და ო. კ-ე აღდგენილ იქნა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამ-

დებობაზე; ო. კ-ეს აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური ხელფასი მისი თანამდებობიდან განთავისუფლების დღიდან – 2013 წლის 5 ნოემბრიდან მის სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. მ-მა, რომლებმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ივლისის განჩინებით დ. მ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, იმ მოტივით, რომ დ. მ-ი წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ, ადმინისტრაციულ პროცესში მარტივი ფორმით ჩასაბმელ მესამე პირს, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით არ სარგებლობდა სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცესუალური უფლებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დამკვიდრებულია როგორც მხარეთა და პოტენციურ მესამე პირთა საპროცესო უფლება – მიმართონ სასამართლოს საქმეში მესამე პირის ან მესამე პირად ჩაბმის მოთხოვნით, აგრეთვე, ზოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სასამართლოს გააჩნია, როგორც უფლებამოსილება, ასევე აკისრია პროცესუალური ვალდებულება მესამე პირის ჩაბმის თაობაზე, რაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავების მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალური თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესის დაცვის მიზნის მიღწევას ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მოწვევის ინსტიტუტი ემსახურება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მესამე პირის ინსტიტუტი ადმინისტრაციული პროცესის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მესამე პირებს დაიცვან თავიანთი კერძო, სუბიექტური ინტერესები და რეალიზება განახორციელონ ადმინისტრაცი-

ციული პროცესის ფარგლებში. მესამე პირების ინსტიტუტის საკანონმდებლო საფუძველს ქმნის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი. აღნიშნული მუხლის თანახმად, კანონმდებელი განასხვავებს მესამე პირების მარტივ და სავალდებულო (აუცილებელ) ჩაბმას. მესამე პირთა ადმინისტრაციულ პროცესში მონვევის მარტივი ფორმა შინა-არსობრივად განსხვავდება აუცილებელი, სავალდებულო ფორმისაგან. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მესამე პირთა ადმინისტრაციულ პროცესში მარტივი ფორმით ჩაბმა საქმის განმხილველი სასამართლოს უფლებაა, ხოლო მესამე პირთა აუცილებელი, სავალდებულო ჩაბმა კი ვალდებულება კონკრეტული გარემოების არსებობისას. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილი სწორედ მესამე პირთა მარტივი ჩაბმის ფორმულირებას შეიცავს, მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი კი – აუცილებელი, სავალდებულო ჩაბმის ფორმულირებას. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივ და სავალდებულო ფორმით ჩაბმას შორის განსხვავებას მნიშვნელობა ენიჭება სწორედ მათთვის საპროცესო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მინიჭების თვალსაზრისით. საყურადღებოა, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივი ჩაბმის დროს გადამწყვეტია მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესი, ხოლო რაც შეეხება ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა აუცილებელ, სავალდებულო ჩაბმას, ამ დროს სამართლებრივი ინტერესის პარალელურად მნიშვნელოვანია ისიც, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მესამე პირთა უფლებები და მოვალეობები შეიძლება განისაზღვროს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი მე-2 ნაწილი მესამე პირებად საქმეში ჩაბმის აუცილებლობას ადგენს იმ პირების მიმართ, რომლებიც არიან სადავო სამართალურთიერთობის მონაწილეები, რომელთან მიმართებაშიც მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი, ანუ ასეთი პირები იმგვარად არიან დაკავშირებულნი სადავო სამართალურთიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ ამ დავის გადაწყვეტის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს ამ ურთიერთობასთან დაკავშირებულ, კანონით დაცულ მათ უფლებებსა და ინტერესებზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, აუცილებელი მონვევის საფუძველზე ჩაბმული მესამე პირი (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლი) სარგებლობს მოსარჩელისა და მო-

პასუხის ყველა უფლებით და ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა, რაც გულისხმობს, რომ ამგვარი სტატუსის მესამე პირი ალჭურვილია მხარის ყველა საპროცესო უფლებით.

საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ სამართლოში მესამე პირების მარტივი მოწვევის წინაპირობაა ის, რომ სასამართლოს მოსალოდნელი გადანყვეტილება შესაძლებელია შეეხოს მოწვეული მესამე პირის სამართლებრივ ინტერესებს. არ არის სავალდებულო, რომ მესამე პირის უფლებებს ნამდვილად შეეხოს გადანყვეტილება. საკმარისია, მესამე პირის მოწვევის დროს იყოს იმის ვარაუდი, რომ გადანყვეტილებამ შეიძლება გავლენა იქონიოს მის სამართლებრივ ინტერესებზე. მესამე პირის მოწვევა არ შეიძლება წინასწარ იყოს ორიენტირებული გადანყვეტილების შედეგზე. სამართლებრივი ინტერესი სახეზეა, თუ მოსაწვევი მესამე პირი მოსარჩელესთან ან მოპასუხესთან, ანდა ორივე მხარესთან, ან მხოლოდ დავის საგანთან ისეთ მიმართებაში იმყოფება, რომ მოსარჩელის ან მოპასუხის წინააღმდეგ გამოტანილ გადანყვეტილებას შეუძლია გააუმჯობესოს ან გააუარესოს მისი სამართლებრივი მდგომარეობა. არ არის გადამწყვეტი, ეყრდნობა თუ არა მოწვეული მესამე პირის შელახული სამართლებრივი ინტერესი საფარო ან კერძო სამართალს. ინტერესის არსებობა გულისხმობს მხოლოდ რეალურ, ფაქტობრივად არსებულ და კანონით დაცულ ინტერესს. აღსანიშნავია, რომ მაშინაც კი, როდესაც სახეზეა მესამე პირის „ჩვეულებრივი“ მოწვევის წინაპირობები, გადანყვეტილებას საქმეში მათი ჩაბმის თაობაზე სასამართლო იღებს თავისი შეხედულებით. სასამართლო უფლებამოსილია და არა ვალდებული, საქმეში ჩააბას „ჩვეულებრივი“ მოწვევის მესამე პირები.

მოცემულ შემთხვევაში ცნობილია, რომ დ. მ-ი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ დანიშნა მას შემდეგ, რაც საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 3 აპრილის №... ბრძანების თანახმად საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის უფროსის მოადგილედ ო. კ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მსგავს, კონკრეტულ შემთხვევებში სასამართლოს მიერ პირის გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, ხშირ შემთხვევაში, აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშნული პირის გათავისუფლებას განაპირობებს, რაც ერთი შეხედვით, შესაძლოა პირდაპირი ზეგავლენის მქონე ქმედებად და შედეგად სავალდებულო წესით

ჩაბმის წინაპირობად მივიჩნით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებაში სასამართლო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის – დ. მ-ის შესახებ არაფერს ამბობს, იგი არ ეხება მას და, შესაბამისად, მასზე ავტომატურ ზემოქმედებას არ ახორციელებს. მოცემული გადაწყვეტილების საფუძველზე, თანამდებობაზე გამწესებული პირი გათავისუფლდება, თანამდებობას შეიცვლის თუ, პირობითად, შტატის გაზრდით თანამდებობას შეინარჩუნებს – ეს ყოველივე ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას, დისკრეციას წარმოადგენს. სასამართლო მსჯელობს მხოლოდ სამართალურთიერთობაში მყოფი ორი მხარის სადავო აქტის კანონიერებაზე, ხოლო მოცემული მესამე პირი არ წარმოადგენს იმ სამართალურთიერთობის მონაწილეს, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილება ეხება. შესაბამისად, თუკი მესამე პირის ჩაბმის წესის დასადგენად მხოლოდ აღნიშნულ პირზე სასამართლო გადაწყვეტილების ზემოქმედების ხარისხით ვიმსჯელებთ, მე-16 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით ჩაბმის მექანიზმების განსხვავება ფაქტობრივად შეუძლებელი გახდება. სწორედ ამიტომაც მოცემული 16.2 მუხლში ტერმინი „სამართალურთიერთობა“, რომელშიც მონაწილეობა ჩაბმის ფორმის მთავარ განმსაზღვრელ და განმასხვავებელ ფაქტორს წარმოადგენს.

მოცემული შემთხვევისაგან განსხვავებით, იმ პირობებში, როდესაც საქმე გვაქვს კონკურსის შედეგების გასაჩივრებასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კონკურსის შედეგად დანიშნული პირი სასამართლოს მიერ საქმეში სავალდებულო მესამე პირად უნდა იქნეს ჩაბმული, რაც განპირობებულია იმით, რომ ის, როგორც კონკურსის მონაწილე და გამარჯვებული, იმ სამართალურთიერთობის მონაწილეს წარმოადგენს, რომელზეც სასამართლოს მიერ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. ამასთან, მას მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულ აქტთან პირდაპირი, უშუალო შემხებლობა აქვს.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – დ. მ-ი განსახილველ საქმეში წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ, ადმინისტრაციულ პროცესში მარტივი ფორმით ჩასაბმელ მესამე პირს, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კო-



დექსის 34-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით არ სარგებლობდა სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცესუალური უფლებით, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – დ. მ-ი არაუფლებამოსილ პირად, რომელსაც არ შეეძლო გაესაჩივრებინა სასამართლო გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის – დ. მ-ის სააპელაციო საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, სააპელაციო სასამართლოს განჩინებით მართებულად იქნა მიჩნეული დაუშვებლად. ხოლო სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში დ. მ-ის დეპარტამენტის უფროსად მითითება, ნაცვლად უფროსის მოადგილისა, არ ცვლის სადავო საკითხის არსს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის – დ. მ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის – დ. მ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. საქმის წარმოების განახლების საფუძველი

#### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-473-462(კს-14)

16 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

#### აღწერილობითი ნაწილი:

ა. ა-მა 02.06.1999წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების: ქ. თბილისის მერიის, ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის, თ. და ჟ. თ-ების მიმართ, რომლითაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 17.06.97წ. №... დადგენილების და 25.09.97წ. №... დადგენილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, ასევე თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის მიერ გაცემული №... და №... ორდერების გაუქმება და მოპასუხეების – თ. და ჟ. თ-ების თანხლებ პირებთან ერთად სადავო ფართიდან (მდებარე ქ. თბილისში, ..., ... ქ. №3) გამოსახლება მოითხოვა.

სასამართლოს ინსტანციებს შორის საქმის არაერთხელ განხილვის შედეგად, საბოლოოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15.01.2010წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს 25.09.2003წ. გადაწყვეტილება, მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლოს 16.06.2010წ. განჩინებით ა. ა-ს უარი ეთქვა საკასაციო საჩივრის განხილვაზე დაუშვებლობის მოტივით.

ა. ა-მა 21.11.13წ. სააპელაციო სასამართლოს მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15.01.2010წ. განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით იმ მოტივით, რომ მის მიერ მოპოვებული იქნა საბურთალოს რაიონის გამგეობის განკარგულებების ასლები, რომლებიც ეხება მუნი-

ციპალური სანარმოების დაფუძნებას და აღნიშნა, რომ საქმის არსებითად განხილვის დროს ამ მტკიცებულების სასამართლოსთვის წარდგენის შემთხვევაში მისი სასარგებლო გადაწყვეტილება დადგებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 09.12.13წ. განჩინებით ა. ა-ს დაევალა სასამართლოსათვის წარედგინა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მის მიერ დაცულია ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ვადა, ასევე სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 03.02.14წ. განჩინებით ა. ა-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15.01.2010წ. განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ დაუშვებლად იქნა ცნობილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 03.02.14წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოსთვის საქმის წარმოების განახლების დავალება მოითხოვა.

საკასაციო სასამართლოს 08.05.14წ. განჩინებით ა. ა-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 31.07.14წ. განჩინებით ა. ა-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15.01.2010წ. განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ დაუშვებლად იქნა ცნობილი. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მხარის მიერ არ იქნა მითითებული ახალ მტკიცებულებაზე, ხოლო ა. ა-ის მიერ სააპელაციო სასამართლოსთვის წარდგენილი დოკუმენტაცია არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო მტკიცებულებად, რომელიც დაადასტურებდა ისეთ გარემოებას, რომლის შესახებაც მხარემ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა გადაწყვეტილების მიღების დროს. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მხარეს საქმის არსებითად განხილვის დროს შეეძლო გამოეთხოვა ეს დოკუმენტაცია შესაბამისი ორგანოდან.

განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს დავის ფაქტობრივ გარემოებებზე, სსკ-ის 421-ე, 423-ე მუხლებზე და აღნიშნავს, რომ ა. ა-ს არ ჰქონდა მუნიციპალური სანარმო „სურსათი 29-ის“ დაფუძნების და რეგის-

ტრაციის შესახებ ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 04.10.93 წლის №... და 31.07.92 წლის №... განკარგულებების ადრე მოპოვების შესაძლებლობა, რადგან მუნიციპალური სა-წარმო „სურსათი 29“ იყო ცალკე იურიდიული პირი, რომლის შე-სახებ ინფორმაცია დაცული იყო იმჟამინდელი კანონმდებლო-ბით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო გასაჩივრებულ განჩინებას, ა. ა-ის კერძო საჩივარს, საქმის მასალებს და თვლის, რომ კერ-ძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის დებულებანი. სსკ-ის 421.1 მუხლის შესაბამი-სად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინე-ბით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხ-ლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო (423-ე მუხლი) გან-ცხადების წანამძღვრები.

საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების სა-მართლებრივ დასაბუთებას და დამატებით აღნიშნავს, რომ სსკ-ის 423-ე მუხლის მიხედვით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია არა მხარის მი-ერ მითითებული ნებისმიერი საფუძვლით, არამედ მხოლოდ სსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გარემოე-ბების არსებობისას. აღნიშნული გარემოებების დამადასტურე-ბელი მტკიცებულებების წარდგენა, პროცესის შეჯიბრებითო-ბის და დისპოზიციურობის პრინციპიდან (სსკ-ის მე-4 მუხ.) გა-მომდინარე, განმცხადებელმა უნდა უზრუნველყოს. მან უნდა დაადასტუროს, რომ მის მიერ მითითებული გარემოებები თუ მტკიცებულებები არსებობდნენ გადაწყვეტილების გამოტანამ-დე და არ წარმოშობილან შემდგომში. ასევე დადასტურებას სა-ჭიროებს ის გარემოებაც, რომ ახალი ფაქტების თუ მტკიცებუ-ლებების შესახებ მხარისთვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილე-ბის გამოტანის შემდეგ და მას დავის განხილვის მიმდინარეო-ბისას არ ჰქონდა აღნიშნულ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე მითითების შესაძლებლობა. ამასთან, სსკ-ის 426-ე მუხლის თა-ნახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოე-

ბის განახლების შესახებ განცხადება განსჯად სასამართლოში უნდა იქნეს შეტანილი ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც განმცხადებლისთვის ცნობილი გახდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლის არსებობა.

განსახილველ შემთხვევაში ა. ა-ის მიერ სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების განახლების საფუძვლად წარდგენილი იქნა მუნიციპალური საწარმო „სურსათი 29-ის“ დაფუძნების და რეგისტრაციის შესახებ ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 04.10.93 წ. №... და 31.07.92 წ. №... განკარგულებები, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის გამოსწორების მიზნით გასაჩივრების ერთთვიანი ვადის დაცვის დასადასტურებლად წარდგენილი იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 26.12.13წ. გაცემული ცნობა იმის შესახებ, რომ ა. ა-ის მიერ მუნიციპალური საწარმო „სურსათი 29-თან“ დაკავშირებული დოკუმენტაციის ასლის მიღების თაობაზე განცხადების რეგისტრაცია არ ფიქსირდება. სასამართლოს წარედგინა ასევე ბ. ჟ-ის განცხადება იმის შესახებ, რომ მის მიერ 2012 წელს საქართველოს ეროვნული არქივიდან გამოთხოვილი ცნობა სახელმწიფო საწარმო „სურსათი 29-ის“ დაფუძნებასთან დაკავშირებით ა. ა-ს 16.11.13წ. გადაეცა. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას იმის შესახებ, რომ ა. ა-ის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არ იყო საკმარისი საქმის წარმოების განახლებისათვის. საქმის წარმოების განახლების პირობას წარმოადგენს ფაქტის სიახლე, ამასთანავე საუბარია არა უბრალოდ ახალ, არამედ ახლად აღმოჩენილ გარემოებაზე, ე.ი. ისეთი იურიდიული მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, რომელიც საქმის განხილვის დროს არსებობდა, მაგრამ არ იყო ცნობილი და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ცნობილი განმცხადებლისათვის და სასამართლოსათვის, მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებასა და მტკიცებულებაზე. აღნიშნული გარემოებები ქმნიან სსკ-ის 429-ე მუხლით გათვალისწინებული განცხადების დასაშვებობის აუცილებელ პირობას. საკასაციო პალატა თვლის, რომ მუნიციპალური საწარმო „სურსათი 29-ის“ დაფუძნების და რეგისტრაციის შესახებ ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 04.10.93წ. №... და 31.07.92წ. №... განკარგულებები არ ადასტურებენ ისეთი გარემოების არსებობას, რომლის შესახებაც მხარემ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა გადაწყვეტილების მიღების დროს. საკასაციო პა-

ლატა არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ მუნიციპალური საწარმო „სურსათი 29-ის“ შესახებ ინფორმაციის მოპოვება უფრო ადრე შეუძლებელი იყო. სსკ-ის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. სსკ-ის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. ბ. ჟ-ის განცხადება, რომ მან საქართველოს ეროვნული არქივიდან 2012 წელს გამოითხოვა საწარმო „სურსათი 29-ის“ შესახებ დოკუმენტების ასლები, რომელიც შემდეგ გადასცა ა. ა-ს, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 26.12.13წ. ცნობა იმის შესახებ, რომ ა. ა-ს არ აქვს მიმართული საჯარო რეესტრისადმი მუნიციპალური საწარმო „სურსათი 29“ დაკავშირებული დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებით, არ ადასტურებენ განმცხადებლის მიერ სასამართლო განხილვის პერიოდში განცხადებაში მითითებული მასალების (საბურთალოს გამგეობის 31.07.92წ. №... და 04.10.93წ. №... განკარგულებების) წარდგენის შეუძლებლობას და განმცხადებლის მიერ წარმოების განახლების შესახებ დადგენილი ვადის დაცვას. საკასაციო პალატა თვლის, რომ ა. ა-ს შეეძლო მიეღო ზემოაღნიშნული მტკიცებულებები შესაბამისი ორგანოდან საქმის არსებითად განხილვის დროს, საქმის განხილვის დროს ამ დოკუმენტის მიღების შესაძლებლობის გამომრიცხავი გარემოების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება წარმოდგენილი არ ყოფილა. ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათი არ გამორიცხავს სასამართლოწარმოების დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობის საწყისებს, შესაბამისად მოსარჩელე არ იყო გათავისუფლებული იმ გარემოებების დამტკიცებისაგან, რომელზედაც ამყარებდა ის თავის მოთხოვნას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოების განახლების სავალდებულო პირობას შეადგენს ისეთი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომლებიც საქმის განხილვის დროს არ იყო ცნობილი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. თბილი-

სის საბურთალოს რაიონის გამგეობის 04.10.93წ. №... განკარგულება, რომელსაც განმცხადებელი უთითებს საქმის წარმოების განახლების საფუძვლად, საქმეზე გადანყვეტილების გამოტანის პერიოდში ცნობილი იყო მოსარჩელისათვის და სასამართლოსათვის, ამდენად, ის ვერ იქნება მიჩნეული ახლად აღმოჩენილ გარემოებად. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. თბილისის, საბურთალოს რაიონის გამგეობის 04.10.93წ. №... განკარგულება თან ერთვოდა მოსარჩელე ა. ა-ის სასარჩელო განცხადებას, რაც გამორიცხავს ახლად აღმოჩენილ გარემოებად მისი მიჩნევის შესაძლებლობას. ახლად აღმოჩენილი არ არის აგრეთვე განმცხადებლის მიერ საქმის წარმოების განახლების საფუძვლად დამატებით მითითებული ქ. თბილისის მერიის უძრავი ქონების აღრიცხვის სამმართველოს არასაცხოვრებელი ფართის სარეგისტრაციო მონმობა №..., ტექნივენტარიზაციის ბიუროს 05.03.1998წ. №... ცნობა-დახასიათება, საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტის 19.12.1994წ. №..., 20.12.1994წ. №... ცნობა-დახასიათებები. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გამგეობის 04.10.93წ. №... განკარგულების მსგავსად ხსენებული დოკუმენტაცია თან ერთვოდა სარჩელს და დაცულია საქმეში, სარჩელს ერთვოდა ასევე კერძო საჩივრის ავტორის მიერ კერძო საჩივარზე თანდართული დოკუმენტები: 19.04.1996წ. საკუთრების დამადასტურებელი მონმობა №... და 16.04.96წ. ხელშეკრულება. ამდენად, აღნიშნული დოკუმენტების შესახებ ცნობილი იყო მხარეებისათვის და სასამართლოსათვის საქმეზე არსებითი გადანყვეტილების გამოტანის მომენტში. საქმის წარმოების განახლების პროცედურის ფარგლებს სცილდება საქმეში დაცული და სასამართლოსათვის ცნობილი მტკიცებულებების ხელახალი განხილვა-შეფასება, კანონმდებლობის ნორმების გამოყენების სისწორის, საკასაციო პალატის მითითების შესრულების სისრულის გადამონმება, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს საზედამხედველო წარმოებას, ამასთანავე საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს იმ გარემოებათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს გადანყვეტილების გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებას, ამ გარემოებათა წრის გაფართოება არ დაიშვება.

რაც შეეხება საბურთალოს რაიონის გამგეობის 31.07.1992წ. №4009 განკარგულებას, ის ეხება სურსათვაჭრობის №29 მაღაზიის დამოუკიდებელ სახელმწიფო საწარმოდ რეგისტრაციას, განკარგულების ტექსტი არ შეიცავს რაიმე მითითებას ფართის ოდენობასთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში იურიდი-



ული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტაციას მნიშვნელობა აქვს ფართის ოდენობის დადგენის თვალსაზრისით, ხსენებული დოკუმენტი ასეთზე მითითებას არ შეიცავს. სსკ-ის 423.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ახლად აღმოჩენილი გარემოება არის იურიდიული ფაქტი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია საქმის განხილვისათვის. შესაბამისად, სახეზე არ არის ისეთი მტკიცებულება, რომელიც საქმის განხილვის დროს რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამასთანავე, განკარგულება არ ადასტურებს ისეთ გარემოებას, რომლის შესახებაც მხარემ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა გადაწყვეტილების მიღების დროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების, განცხადების დასაშვებობის პირობები, არ დასტურდება სააპელაციო სასამართლოს კერძო საჩივრით გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობა, რის გამოც არ არსებობს სსსკ-ის 393-394-ე მუხლების შესაბამისად მისი გაუქმების საფუძველი, სააპელაციო სასამართლოს 31.07.14წ. გასაჩივრებული განჩინებით ა. ა-ის განცხადება მართებულად დარჩა განუხილველად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე, 429-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. ა-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.07.14წ. განჩინება.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საქმის წარმოების განახლების წინაპირობები

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-48-48(კს-15)

26 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** საქმის წარმოების განახლება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ა. ლ-მა 2005 წლის 29 აგვისტოს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ რეგისტრირებული უმუშევრის სტატუსის მინიჭება (უმუშევრად დარეგისტრირება) და ასევე 6 თვის კომპენსაციის – 120 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი ა. ლ-მა წარადგინა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინებით ა. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება, რაც საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა, რომელმაც გაასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა. ა. ლ-მა ასევე გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინება, რომლითაც უარი ეთქვა საქმეში სს „...“ მესამე პირად ჩართვაზე იმ საფუძვლით, რომ აღნიშნულ საკითხზე არსებობდა პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინება. კასატორმა ასევე მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 აპრილის განჩინების გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი განცხადება სხდო-

მის ოქმში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 დეკემბრის განჩინებით ა. ლ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინება სს „...“ საქმეში მესამე პირად ჩართვაზე უარის თქმის შესახებ, ამავე პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინება ა. ლ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და 2008 წლის 18 აპრილის განჩინება სხდომის ოქმში შენიშვნების შეტანაზე უარის თქმის შესახებ.

2009 წლის 16 თებერვალს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 აპრილის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა. 2009 წლის 8 მაისს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა 2009 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმში შენიშვნების შეტანა, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

2009 წლის 20 მაისს ა. ლ-მა კერძო საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 აპრილის განჩინების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 აპრილისა და 13 მაისის განჩინებები.

ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა



სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შეუფასებლობის გამო.

ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ივნისის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინებით ა. ლ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ივნისის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დატოვებული იქნა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შეუფასებლობის გამო, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინების გაუქმება და მისი განცხადების არსებითად განხილვა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ნოემბრის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინება.

ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ივლისის განჩინებით ა. ლ-ის შუამდგომლობა მოსამართლე ლ. მ-ის აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ხოლო 2011 წლის 15 ივლისის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დატოვებული იქნა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შეუფასებლობის გამო. აღნიშნული განჩინებები კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ივლისის განჩინებების გაუქმება და მისი განცხადების დასაშვებად ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ნოემბრის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ივლისის განჩინება.

2012 წლის 23 იანვარს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 22 ნოემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 13 მარტის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 22 ნოემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2012 წლის 10 მაისს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ივლისის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 2 ივლისის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება დატოვებული იქნა განუხილველად, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და განცხადების დასაშვებად ცნობა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ნოემბრის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ივლისის განჩინება.

2013 წლის 9 იანვარს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 2 ივლისის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრდა ა. ლ-ის მიერ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოსთვის

ა.ლ-ის განცხადების დასაშვებად ცნობის და განცხადების არსებითი განხილვის დავალება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 4 აპრილის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განჩინება.

2013 წლის 22 ივლისს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აგვისტოს განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოსთვის ა. ლ-ის განცხადების დასაშვებად ცნობის და განცხადების არსებითი განხილვის დავალება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აგვისტოს განჩინება.

2014 წლის 18 თებერვალს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აგვისტოს განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 თებერვლის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და განცხადების დასაშვებად ცნობის და განცხადების არსებითი განხილვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 27 მაისის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და



უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 თებერვლის განჩინება.

2014 წლის 11 აგვისტოს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ამავე სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის განჩინების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ნოემბრის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ა. ლ-ის მიერ სასამართლოებში არაერთხელ წარდგენილი განცხადებების მიზანია, საბოლოოდ გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება და მის სარჩელზე განახლდეს საქმის წარმოება. რის საფუძვლადაც უთითებს, რომ სასამართლომ სარჩელის განხილვისას სს „...“ არ გამოითხოვა მისი სამუშაოდან დათხოვნის დღეს შრომის წიგნაკის გაუცემლობის ფაქტის გამაქარწყლებელი წერილობითი მტკიცებულება.

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ სასამართლოსათვის მიმართული მისი განცხადებები შინაარსობრივად ერთგვაროვანია და თითოეული მათგანი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ დავის გაგრძელების, საქმის სასამართლოს წარმოებაში ყოფნის გახანგრძლივების მცდელობას, რაც სცილდება მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლებს.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტსა და ამავე მუხლის მესამე ნაწილზე და აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოება – საქალაქო სასამართლომ დავა გადაწყვიტა სამუშაოდან დათხოვნის დღეს მისთვის შრომის წიგნაკის გაუცემლობის ფაქტის გამაქარწყლებელი წერილობითი მტკიცებულების სს „...“ გამოთხოვის გარეშე, არაერთხელ იყო მითითებული ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო საქმის წარმოების განახლების წინამძღვრად. საქმის მასალების მიხედვით, ზემოაღნიშნული განცხადებები სასამართლოების მიერ არაერთხელ იქნა დატოვებული განუხილველად. ამავე კოდექსის 429-ე მუხლზე დაყრდნობით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ა. ლ-ის განცხადება უნდა დარჩენილიყო განუხილველი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, მისი დასაშვებად ცნობა და განცხადების არსებითად განხილვა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ნოემბრის განჩინებაზე წარმოდგენილ კერძო საჩივარში ა. ლ-მა აღნიშნა, რომ გასაჩივრებულ განჩინებაში არასწორად არის მითითებული დავის საგანი. დავის საგნად მითითებულია – ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება, დავის საგნის მხოლოდ პროცესუალურ-სამართლებრივი მოთხოვნა და არ მითითებული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა კერძოდ, მისთვის რეგისტრირებული უმუშევრის სტატუსის მინიჭება და უმუშევრის შემწეობის 120 ლარის გაცემის დაკისრება. ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს უფლება არ ჰქონდა მისი განცხადება განეხილა ერთპიროვნულად. გასაჩივრებული განჩინება სააპელაციო სასამართლოს უნდა მიეღო კოლეგიური შემადგენლობით.

კერძო საჩივრის ავტორი ასევე ითხოვს, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას იმ საფუძველით, რომ სარჩელი თავისი არსით წარმოადგენს სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლებიან მოსარჩელები სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ა. ლ-ი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ნოემბრის განჩინების გაუქმებას, საქმის წარმოების განახლებასა და საქმის არსებითი განხილვის შედეგად სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ განცხადება უნდა განეხილა სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობას და ერთი მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად საკითხის გადაწყვეტა არის

საპროცესო ნორმათა დარღვევა, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ა„ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლემ შეიძლება ერთპიროვნულად განიხილოს სააპელაციო საჩივარი. ამავე კოდექსის მე-6 მუხლი შეიცავს მაგისტრეტი მოსამართლის განსახილველ საქმეთა ჩამონათვალს, რომლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მაგისტრეტი მოსამართლის განსახილველ საქმეთა კატეგორიას განეკუთვნება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხის თაობაზე აღძრული სარჩეულები.

აღსანიშნავია, რომ ა. ლ-ის თავდაპირველი სარჩელის დავის საგანია უმუშევრად დარეგისტრირება (რეგისტრირებული უმუშევრის სტატუსის მინიჭება) და უმუშევრის შემწეობის გაცემა. აღნიშნული მოთხოვნა ემყარებოდა იმჟამად მოქმედ „დასაქმების შესახებ“ კანონის დანაწესს და წარმოადგენს სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხს. შესაბამისად, სააპელაციო პალატა უფლებამოსილი იყო ა. ლ-ის განცხადების დასაშვებობის საკითხი განეხილა და გადაეწყვიტა ერთპიროვნულად.

საკასაციო პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში დავის საგნად მითითებული აქვს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება და არა ა. ლ-ის მოთხოვნა მისთვის რეგისტრირებული უმუშევრის სტატუსის მინიჭება და უმუშევრის შემწეობის 120 ლარის გაცემის დაკისრება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლი შეიცავს განჩინების შინაარსს, რომლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განჩინებაში უნდა აღინიშნოს მხარეები და დავის საგანი. ა. ლ-ის 2014 წლის 11 აგვისტოს განცხადების დავის საგანს წარმოადგენდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. რაც მითითებული აქვს კიდევ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გასაჩივრებულ 2014 წლის 28 ნოემბრის განჩინებაში. რაც შეეხება, ა. ლ-ის მოთხოვნას, მისთვის რეგისტრირებული უმუშევრის სტატუსის მინიჭებისა და უმუშევრის შემწეობის 120 ლარის გაცემის დაკისრების თაობაზე, აღნიშნული წარმოადგენდა მის სასარჩელო მოთხოვნას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსსკ-ის 421.1 მუხლის

შესაბამისად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წანამძღვრები. სსკ-ის 423.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოების განახლების საფუძველია ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

მითითებული ნორმა ადგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების, ანუ ფაქტობრივად საქმის ხელახლა განხილვის შესაძლებლობას, თუ მხარისათვის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ცნობილი გახდება საქმის განხილვისას მისთვის ახალი რაიმე გარემოება, ან მტკიცებულება, რომლებიც საქმის განხილვის სტადიაზე ცნობილი თუ იქნებოდა სასამართლოსათვის, გამოიწვევდა სხვაგვარი, მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების დადგენას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში ა. ლ-ი სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ განცხადებაში საქმის წარმოების განახლების საფუძველად უთითებდა იმ ფაქტს, რომ დავის განხილვისას სს „...“ არ ყოფილა გამოთხოვილი მისი სამუშაოდან დათხოვნის დღეს შრომის წიგნაკის გაუცემლობის ფაქტის გამაქარწყლებელი წერილობითი მტკიცებულება, რაც კერძო საჩივრის ავტორის აზრით, წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას. აღნიშნულ გარემოებაზე, როგორც საქმის წარმოების განახლების საფუძველზე, ა. ლ-ი არაერთგზის უთითებდა მის მიერ სამივე ინსტანციის სასამართლოში სხვადასხვა დროს წარდგენილ განცხადებებში. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორს აღნიშნული გარემოების შესახებ ინფორმაცია ჰქონდა სააპელაციო სასამართლოში 2014 წლის 11 აგვისტოს განცხადების შეტანამდე რამდენიმე წლით ადრე. ამასთან, აღნიშნული საფუძველით საქმის წარმოების განახლების საკითხი სასამარ-

თლოებმა არაერთი განჩინებით უარყოფითად გადაწყვიტეს. შე-საბამისად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა გასაჩივრებულ განჩინებაში ა. ლ-ის მიერ სსკ-ის 426-ე მუხლით განსაზღვრული ერთთვიანი ვადის დარღვევის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ნოემბრის განჩინება მიღებუ-ლია საპროცესო ნორმათა სრული დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმი-ნისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე, 421-429-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატის 2014 წლის 28 ნოემბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბო-ლოოა და არ საჩივრდება.

# საქმის წარმოების განახლების წინაპირობები

## განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-744-730(2კს-14)

23 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება;

### აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 14 აპრილს ი. კ-ემ და მ. მ-მა განცხადებით მომართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

განმცხადებლების განმარტებით, 2002 წლის 20 აგვისტოს ქ. თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის №... სხდომის ოქმის შესაბამისად, მეტროსადგურ „...“ წინ 160 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა გ. გ-ე, ქ. თბილისის პრემიერის 2002 წლის 17 სექტემბრის №... განკარგულებით აუქციონში გამარჯვებულ პირებს დაუწესდათ დამატებითი პირობები. კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და ქ. თბილისის მერიას დაევალა 2002 წლის 20 აგვისტოს აუქციონის შედეგების მიხედვით გ. გ-ესთან დაედო გარიგება მეტროსადგურ „...“ წინ 160 კვ.მ. ნაკვეთის ნასყიდობაზე და გადაეცა საკუთრების უფლების მონაშთი. ქ. თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატის 2004 წლის 25 ოქტომბრის შუალედური წერილით გ. გ-ეს განემარტა, რომ მასთან ხელშეკრულების გაფორმება მოხდებოდა უახლოეს მომავალში, მიწათსარგებლობის კომისიის დამტკიცების შემდგომ, რაც არ განხორციელებულა. ქ. თბილისის 2007 წლის 27 აგვისტოს №... დადგენილების შესაბამისად, აუქციონში გამარჯვებულ იმ პირებს, რომლებსაც ქ. თბილისის მთავრობასთან

არ ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულებები მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, რომელთაც უფლება არ ჰქონდათ რეგისტრირებული საჯარო რეესტრში და რომელთა ნაწილში არ იყო გაუქმებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, უნდა გაფორმებოდათ ხელშეკრულებები 2007 წლის 1 დეკემბრამდე გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში. მოგვიანებით, ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბრის №... დადგენილებით 27.08.2007 წლის დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება, კერძოდ, 2007 წლის 27 აგვისტოს №... დადგენილებით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ მიწის ნაკვეთებზე შემდგომში გადანაცვების მიღება მოითხოვდა შეცვლილი გარემოებების და განახლებულ ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობაში მოყვანას და დადგენილების შესაბამისი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ქ. თბილისის პრემიერის 2002 წლის 8 სექტემბრის №... დადგენილებით გათვალისწინებულ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებსაც ქ. თბილისის მთავრობასთან არ აქვთ გაფორმებული ხელშეკრულებები მიწის ნაკვეთის საკუთრებაში, ან სარგებლობაში გადაცემის შესახებ ან/და საკუთრების, ან სარგებლობის უფლება არ გაუქმებულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, სათანადო ხელშეკრულებების გასაფორმებლად განესაზღვრათ დამატებითი პირობები. ამავე დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები იმ პირთა ნაწილში, რომელთა დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთების განკარგვასთან დაკავშირებით მიღებული იქნა უარყოფითი ქალაქგეგმარებითი დასკვნები. გ. გ-ის მიერ აუქციონზე შეძენილ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით გაცემულ იქნა უარყოფითი ქალაქგეგმარებითი დასკვნები.

გ. გ-ემ 2009 წლის 15 დეკემბრის ... დადგენილება მის ნაწილში გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რომლის 2010 წლის 10 ნოემბრის გადანაცვებით გ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მითითებული გადანაცვით სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. გ-ემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარზე შეწყდა საქმის წარმოება გ. გ-ესა და ქ. თბილისის მერიას შორის დადებული მორიგების აქტის საფუძველზე. განმცხადებლები აღნიშნული განჩინების ბათილად ცნობას ითხოვენ იმ საფუძველით, რომ 2005 წლის 22 თებერვალს მ. მ-მა სოფ. ..., ბ-ისაგან შეიძინა 0.12 ჰა მიწის ნაკვეთი ს/კ ... და გ. ჟ-



ისაგან 0.06 ჰა მიწის ნაკვეთი ს/კ ..., რომელიც გაერთიანდა ერთ ნაკვეთად ს/კ .... ი. კ-ემ 2004 წლის 21 მაისს სოფ. ... შეიძინა ი. რ-ისაგან 0.12 ჰა მიწის ნაკვეთი ს/კ ... და გ. ჭ-ისაგან 0.06 ჰა მიწის ნაკვეთი ს/კ ..., რომელიც გაერთიანდა ერთ ნაკვეთად ს/კ .... 2006 წლის 15 მაისს 1 215 კვ.მ. ფართის ნაკვეთი გადაცვალა მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე და დღეის მდგომარეობით მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთია ს/კ ....

2014 წლის 20 მარტს მ. მ-მა, ხოლო 2014 წლის 7 თებერვალს ი. კ-ემ რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს №... და №... გადაწყვეტილებებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა იმ საფუძვლით, რომ მათ მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უძრავ ნივთებს შორის არსებობდა ზედდება, როგორც უფლებადამდგენი დოკუმენტებიდან ირკვევა 2011 წლის მარტში ქ. თბილისის თვითმმართველობის საკუთრების უფლება დარეგისტრირდა სოფ. ... 21 981 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, რომელშიც შედიოდა საჯარო რეესტრში მათ სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები.

განმცხადებელმა მიუთითეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-422-ე მუხლებზე და აღნიშნეს, რომ ის მიწის ნაკვეთები, რომელთა გ. გ-ისათვის საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება აიღო ქ. თბილისის მთავრობამ, წარმოადგენს მათ საკუთრებას და შესაბამისად, მოხდა მათი უფლებების შელახვა. ამასთან, როგორც მხარე არ ყოფილან მიწვეულნი აღნიშნული საქმის განხილვაში და საკუთრების განკარგვის თაობაზე შეიტყვეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საჯარო რეესტრში შეიტანეს განცხადება რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 2 მაისს განცხადებით მიმართეს ასევე ყ. პ-ემ და ი. ხ-მა და მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინების ნაწილობრივ ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძვლით, რომ მათ საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონება, კერძოდ 2/3 ნაწილი მიწის ნაკვეთისა: მდებარე ქ. თბილისი, ..., საკადასტრო კოდი ..., 4 307 კვ.მ. ფართის ოდენობით, რომელიც გადაეცათ ქ. თბილისის მერიასთან გაფორმებული მორიგების აქტის საფუძველზე, სადავოს წარმოადგენს ი. კ-ისა და მ. მ-ის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე განმცხადებლებს მიაჩნიათ, რომ ილახება მათი უფლებები და ითხოვენ განახლდეს

საქმის წარმოება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინება ნაწილობრივ იქნეს ცნობილი ბათილად, კერძოდ იმ ნაწილში რომელიც ეხება სადავო მიწის ნაკვეთებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით ი. კ-ისა და მ. მ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; ასევე არ დაკმაყოფილდა ყ. პ-ისა და ი. ხ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებიდან გამომდინარე, დადასტურებულად მიიჩნია, რომ გ. გ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობის მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბრის დადგენილების №...-ის ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა გ. გ-ის ინტერესებს.

თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №... დადგენილების მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის პრემიერის 2001 წლის 13 დეკემბრის №... განკარგულების შესაბამისად იმ პირებს, რომლებსაც ქ. თბილისის მთავრობასთან არ ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულებები მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რომელთაც უფლება არ ჰქონდათ რეგისტრირებული საჯარო რეესტრში და რომელთა ნაწილში არ იყო გაუქმებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, უნდა გაფორმებოდათ ხელშეკრულებები 2007 წლის 1 დეკემბრამდე გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში:

ა) უნდა წარმოედგინათ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა. ბ) წარმოედგინათ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დამზადებული მიწის ნაკვეთის საზღვრები. გ) წარმოედგინათ ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 22 იანვრის №... გადაწყვეტილებით დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ამავე დადგენილების მე-6 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული პირობების 2007 წლის 1 დეკემბრამდე შეუსრულებლობის შემთხვევაში, ძალადაკარგულად ჩაითვლებოდა ადმინისტრაციულ-სა-

მართლებრივი აქტები იმ პირთა ნაწილში, რომლებიც არ შეასრულებდნენ მათ.

ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბრის №... დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №... დადგენილებაში. დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომელმაც განსაზღვრა დედაქალაქის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის გამოყენების და განაშენიანების ძირითადი პარამეტრები, ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №621 დადგენილებით გათვალისწინებულ სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ მიწის ნაკვეთებზე შემდგომი გადამწყვეტილების მიღება მოითხოვდა შეცვლილი გარემოების და განახლებულ ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობაში მოყვანას და დადგენილების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით, ქ. თბილისის პრემიერის 2002 წლის 8 სექტემბრის №539 დადგენილებით გათვალისწინებულ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებსაც ქ. თბილისის მთავრობასთან არა აქვთ გაფორმებული ხელშეკრულებები მიწის ნაკვეთის საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემის შესახებ ან/და საკუთრების ან სარგებლობის უფლება არ გაუქმებულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით, გაუფორმდეთ სათანადო ხელშეკრულებები წინამდებარე დადგენილების მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შემდეგი პირობების შესრულების შემთხვევაში. დადგენილების მე-5 პუნქტს დაემატა „ე“ ქ/პ ძალადაკარგულად გამოცხადდა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები იმ პირთა ნაწილში (დანართი 1-ის შესაბამისად), რომელთა დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების განკარგვასთან დაკავშირებით მიღებულია უარყოფითი ქალაქგეგმარებითი დასკვნები“. დანართი 1-ის შესაბამისად, სადავო მიწის ნაკვეთზე გაცემულ იქნა უარყოფითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. გ-ის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინებით გ. გ-ის და ქ. თბილისის მთავრობის შუამდგომლობა მორიგების აქტის დამტკიცების და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინის-

ტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება და გ. გ-ესა და ქ. თბილისის მთავრობას შორის დამტკიცდა მორიგების აქტი შემდეგი პირობებით: მოსარჩელე გ. გ-ემ უარი თქვა სასარჩელო მოთხოვნაზე – ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბრის დადგენილება №... იმ ნაწილში, რომელიც ეხება გ. გ-ის ინტერესებს. მოსარჩელემ ასევე უარი თქვა ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილების ქ. თბილისის მერიის მიმართ აღსრულების თაობაზე. ხოლო ქ. თბილისის მთავრობამ იკისრა ვალდებულება, წინამდებარე მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან ორი თვის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრებაში გადაეცა მოსარჩელისთვის ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 20 462 კვ.მ „მინის ნაკვეთის“ ნაწილი (მისამართი: ქ. თბილისი, ..., საკადასტრო კოდი №...) – 4 307 კვ.მ ფართი დანართში წარმოდგენილი კონფიგურაციის შესაბამისად. მოპასუხის მხრიდან წინამდებარე მორიგების აქტის მე-2 პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქ. თბილისის მთავრობამ აიღო ვალდებულება მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ქ. ... გამზირზე მეტროსადგურ „...“ წინ არსებული 160 კვ.მ მინის ნაკვეთი ან სხვა ექვივალენტური ქონება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 4 სექტემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა თ. პ-ის და დ. ხ-ის განცხადება. თ. პ-ე ცნობილ იქნა კრედიტორ გ. გ-ის უფლებამონაცვლედ მოთხოვნის 1/3 ნილზე, რომელიც გ. გ-ეს ჰქონდა მოვალის – ქ. თბილისის მთავრობის მიმართ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის კანონიერ ძალაში შესული განჩინების საფუძველზე (საქმე №3ბ/2688-10). დ. ხ-ი ცნობილი იქნა კრედიტორ გ. გ-ის უფლებამონაცვლედ მოთხოვნის 1/3 ნილზე, რომელიც გ. გ-ეს ჰქონდა მოვალის – ქ. თბილისის მთავრობის მიმართ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის კანონიერ ძალაში შესული განჩინების საფუძველზე (საქმე №3ბ/2688-10).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 4 სექტემბრის განჩინების საფუძველზე 2012 წლის 19 ოქტომბერს გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცლები.

საქმეში წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან დასტურდება, რომ ი. ხ-მა და ჟ. პ-ემ 2013 წლის 24 ივლისს განახორციელეს საკუთრების უფლების რეგისტრაცია ქ. თბილისში, ..., საკადასტრო კოდი ..., 4 307 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთზე, ქ. თბილისის მერიასთან გაფორმებული მორიგების აქტის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მ. მ-ი და ი. კ-ე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინების ბათილად ცნობასა და საქმის წარმოების განახლებას ითხოვდნენ იმ საფუძველით, რომ ისინი არიან პირები, რომელთა უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული განჩინება და არ იყვნენ მხარედ მონაწილე საქმის განხილვისას.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სსსკ-ის 422.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, ბათილია სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა დავის გადაწყვეტის შედეგით უშუალოდ და ობიექტურად დაინტერესებული პირის საქმეში მონაწილეობის გარეშე. გადაწყვეტილება უშუალო და პირდაპირ ზემოქმედებას უნდა ახდენდეს მხარის კანონიერ ინტერესებსა და უფლებებზე მდგომარეობაზე, რომ არსებობდეს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

კონკრეტულ შემთხვევაში კი, სადავოა წარმოადგენდნენ თუ არა ი. კ-ე და მ. მ-ი პირებს, რომელთა ინტერესსაც შეეხოთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინებით დადგენილი შედეგი და უნდა მიეღოთ თუ არა მათ მონაწილეობა საქმის განხილვაში. სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე დავის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიწის ნაკვეთის, მდებარე ქ. თბილისი, ..., საკადასტრო კოდი №... მესაკუთრე იყო ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული.

ამასთან, სააპელაციო პალატამ დამატებით მიუთითა, რომ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილებით განისაზღვრა მისი უფლება-მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ ან თუ გადაწყვეტილება მისთვის ინვესტ უშუალო და პირდაპირ შედეგს. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინებით დამტკიცებული მორიგება, რომ-

ლითაც ქ. თბილისის მთავრობამ იკისრა ვალდებულება, წინამდებარე მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან ორი თვის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრებაში გადაეცა მოსარჩელისთვის ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 20 462 კვ.მ „მინის ნაკვეთის“ ნაწილი (მისამართი: ქ. თბილისი, ..., საკადასტრო კოდი №...) – 4 307 კვ.მ ფართი დანართში წარმოდგენილი კონფიგურაციის შესაბამისად. ი. კ-ე და მ. მ-ი არ წარმოადგენდნენ იმ სამართალურთიერთობის მხარეებს, რაზედაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილი, ამასთან, მათ უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ არ ეხება მიღებული განჩინება, შესაბამისად, ისინი მხარედ არ უნდა ყოფილიყვნენ მოწვეული გ. გ-ის სარჩელით წარმოებულ საქმეში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები, რის გამოც ი. კ-ეს და მ. მ-ს განცხადების დაკმაყოფილებაზე უნდა ეთქვათ უარი.

რაც შეეხება ი. ხ-ისა და ყ. პ-ის განცხადებას, განმცხადებლები თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინების ნაწილობრივ ბათილად ცნობას და საქმის წარმოების განახლებას ითხოვენ იმ საფუძვლით, რომ მათ საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონება, კერძოდ, 2/3 ნაწილი მინის ნაკვეთისა: მდებარე ქ. თბილისი, ..., საკადასტრო კოდი ..., 4 307 კვ.მ. ფართის ოდენობით, რომელიც გადაეცათ ქ. თბილისის მერიასთან გაფორმებული მორიგების აქტის საფუძველზე, სადავოს წარმოდგენს ი. კ-ისა და მ. მ-ის მხრიდან.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 422.1 მუხლზე და მიიჩნია, რომ აღნიშნული საფუძვლით, არ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, რის გამოც ყ. პ-ეს და ი. ხ-ს განცხადების დაკმაყოფილებაზე უნდა ეთქვათ უარი.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ი. კ-

ემ და მ. მ-მა და მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 16 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და განცხადების დაკმაყოფილება.

კერძო საჩივრის ავტორების განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ განჩინება მიღებულ იქნა მათი ადვოკატის დასწრების გარეშე, სხდომის დღე ცნობილი იყო მხოლოდ მათი ადვოკატისთვის, თავად განმცხადებლებისთვის კი არ უცნობებიათ. ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლოსათვის ცნობილი იყო მათი მალალი ინტერესი საქმის მიმართ, ადვოკატის მხოლოდ ერთხელ, თუნდაც არასაპატიო მიზეზით, გამოუცხადებლობა არ უნდა გამხდარიყო სასამართლოს მიერ განმცხადებლების როგორც დაინტერესებული მხარეების ან/და მათი ადვოკატის დასწრების გარეშე განხილვის საფუძველი.

კერძო საჩივრის ავტორების განმარტებით, ასევე უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად იმ გარემოების მითითება, რომ ი. კ-ე და მ. მ-ი არ წარმოადგენდნენ სამართალურთიერთობის მხარეებს, რაზედაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო გამოტანილი და განმარტეს, რომ ბუნებრივია, თავდაპირველად გ. გ-ის მიერ ქ. თბილისის მთავრობის მიმართ აღძრულ საქმეზე ი. კ-ე და მ. მ-ი არ წარმოადგენდნენ შესაბამისი სამართალურთიერთობის მონაწილეებს, რადგან სარჩელი აღძრული იყო ქ. თბილისის მთავრობის ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით და უკავშირდებოდა ქ. თბილისში, ... გამზირზე მეტროსადგურ „...“ წინ არსებულ 160 კვ.მ. მიწის ნაკვეთს. თუმცა, მოგვიანებით, დავის თბილისის სააპელაციო სასამართლოში განხილვის ეტაპზე მოდავე მხარეთა შორის დაიდო მორიგების აქტი, რომლის საფუძველზე ქ. თბილისის მთავრობამ იკისრა მოსარჩელებისთვის სხვა უძრავი ქონების გადაცემის ვალდებულება მორიგების აქტის დამტკიცებიდან ორი თვის ვადაში. სწორედ ეს მორიგების აქტი შეეხო მ. მ-ისა და ი. კ-ის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს, რადგან ამ მორიგების აქტის აღსრულების პროცესში გ. გ-ისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთი არა ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულს, არამედ სხვა პირებს ი. კ-ესა და მ. მ-ს ეკუთვნოდათ. რის გამოც ზემოაღნიშნული დავის (გ. გ-ესა და ქ. თბილისის მთავრობას შორის) ფარგლებში მოხდა ი. კ-ის და მ. მ-ის საკუთრების უფლების შელახვა, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოსთვისაც ცნობილი გახდა ი. კ-ისა და მ. მ-ის განცხა-



დებიდან და მასზე თანდართული, ასევე შემდგომში განცხადების განხილვის ეტაპზე სასამართლოსათვის წარდგენილი მტკიცებულებებიდან. ი. კ-ისა და მ. მ-ის საკუთრების უფლების შელახვის ფაქტი ასევე ცნობილი იყო სასამართლოსათვის ჟ. პ-ისა და ი. ხ-ის განცხადებებიდან, რომელთა საკუთრების უფლება ამჟამად რეგისტრირებულია იმ მიწის ნაკვეთზე, რომელიც საჯარო რეესტრის ამონაწერებისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე ი. კ-ისა და მ. მ-ის საკუთრებაა.

კერძო საჩივრის ავტორების განმარტებით, მათ სააპელაციო სასამართლოს წარუდგინეს საკმარისი მტკიცებულებები იმისათვის, რომ დაედგინა განმცხადებლის საკუთრების უფლების შელახვის ფაქტი. ასევე, განცხადების განხილვის ეტაპზე სასამართლოში წარადგინეს სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 5 სექტემბრის №... საექსპერტო დასკვნა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს ი. კ-ისა და მ. მ-ის განცხადებაში მოყვანილი ფაქტების სისწორეს და მაშასადამე, საკუთრების უფლების შელახვას. მიუხედავად ამისა სააპელაციო სასამართლომ უგულვებლყო ყველა წარმოდგენილი მტკიცებულება და განცხადება სრულიად ფორმალური საფუძველით არ დააკმაყოფილა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორებს მიაჩნიათ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის დასკვნა, რომ განჩინება მორიგების დამტკიცების თაობაზე უშუალოდ არ ეხებოდა ი. კ-ისა და მ. მ-ის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს, მცდარია და დაუსაბუთებელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 16 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ასევე ჟ. პ-ემ და ი. ხ-მა და მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლების თაობაზე მათი განცხადების დაკმაყოფილება.

კერძო საჩივრების ავტორების განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ნოემბრის განჩინებით დამტკიცდა მორიგების აქტი გ. გ-ესა და ქ. თბილისის მთავრობას შორის და შეწყდა საქმის წარმოება. მორიგების აქტის შესაბამისად, მოსარჩელე გ. გ-ემ უარი თქვა სასარჩელო მოთხოვნაზე და ასევე, კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილების ქ. თბილისის მერიის მიმართ აღსრულებაზე, ხოლო ქ. თბილისის მთავრობამ იკისრა ვალდებულება მორიგე-

ბის აქტის დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან ორი თვის ვადაში საკუთრებაში გადაეცა მოსარჩელისათვის ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 20 462 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაწილი (მისამართი: ქ. თბილისი, ..., საკადასტრო კოდი ...) – 4307 კვ.მ. ფართი მორიგების აქტის დანართში წარმოდგენილი კონფიგურაციის შესაბამისად. მოპასუხის მხრიდან მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქ. თბილისის მთავრობამ აიღო ვალდებულება მოსარჩელე გ. გისთვის საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ... გამზ. მეტროსადგურ „...“ წინ არსებული 160 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ან სხვა ექვივალენტური ქონება. მოგვიანებით, გ. გემ ზემოაღნიშნული მორიგების აქტით განსაზღვრული საკუთარი მოთხოვნები ქ. თბილისის მერიის მიმართ ნაწილობრივ დაუთმო თ. პ-ეს და დ. ხ-ს (თითოს 1/3 ნილზე), რაც გახდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 4 სექტემბრის განჩინების მიღების და შემდგომ 2012 წლის 19 ოქტომბრის სააღსრულებო ფურცლის გაცემის საფუძველი. საბოლოოდ, 4307 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია განხორციელდა ი. ხ-ისა და ჟ. პ-ის სახელზე, რომლებმაც, თავის მხრივ, ზემოაღნიშნული პირებისგან ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე მიიღეს ხსენებული მიწის ნაკვეთი (მისამართი: ქ. თბილისი, ..., საკადასტრო კოდი ...).

კერძო საჩივრის ავტორების განმარტებით, 2014 წლის გაზაფხულზე მათთვის ცნობილი გახდა, რომ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არსებობდა სხვა პირების, კერძოდ, ი. კ-ისა და მ. მ-ის საფუძვლიანი პრეტენზია, კერძოდ, ი. კ-ისა და მ. მ-ის განცხადებებიდან და თანდართული დოკუმენტაციიდან, მათთვის ცნობილი გახდა, რომ: მ. მ-მა 2005 წლის 22 თებერვალს სოფ. ... შეიძინა 0,12 ჰა მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ... და 0,06 ჰა მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ..., რომელიც გაერთიანდა ერთ ნაკვეთად საკადასტრო კოდით .... ი. კ-ემ 2004 წლის 21 მაისს სოფ. ... შეიძინა 0,12 ჰა მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ... და 0,06 ჰა მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ..., რომელიც გაერთიანდა ერთ ნაკვეთად საკადასტრო კოდით .... 2006 წლის 15 მაისს 1215 კვ.მ. ფართის ნაკვეთი ი. კ-ემ გადაცვალა მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე და დღეის მდგომარეობით მის საკუთრებაშია მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ....

კერძო საჩივრის ავტორების განმარტებით, ფაქტია, რომ მორიგების აქტი, რომელიც 2011 წლის 21 ივნისის განჩინებით დამტკიცდა შეეხო მ. მ-ისა და ი. კ-ის უფლებებსა და კანონით გათ-

ვალისწინებულ ინტერესებს, რადგან სწორედ ამ მორიგების აქტის აღსრულების პროცესში გასხვისდა მიწის ნაკვეთი, რომელიც ი. კ-ისა და მ. მ-ს ეკუთვნოდათ. ამავე მიზეზით შეილახა ასევე მიწის ნაკვეთის ამჟამინდელი მესაკუთრეების ჟ. პ-ისა და ი. ხ-ის უფლებები და კანონიერი ინტერესები – ის გარემოება, რომ დღეისათვის ჟ. პ-ისა და ი. ხ-ის საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრები მთლიანად ფარავს ი. კ-ისა და მ. მ-ის მიერ კანონის შესაბამისად, შექმნილი მიწის ნაკვეთების საკადასტრო საზღვრებს, რაც დასტურდება საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნითაც ქმნის შეუსაბამობას და განაპირობებს ჟ. პ-ისა და ი. ხ-ის უფლებების შელახვას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და წარმოდგენილი კერძო საჩივრების მოტივების გაცნობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ი. კ-ის, მ. მ-ის, ჟ. პ-ისა და ი. ხ-ის კერძო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 16 ოქტომბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს, ი. კ-ისა და მ. მ-ის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 16 ოქტომბერს ისე გამართა საქმეზე არსებითი მოსმენა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ სხდომას არ ესწრებოდა მათი ადვოკატი, რომლის გამოუცხადებლობაც სასამართლომ მიიჩნია არასაპატიოდ, ამასთან, სხდომის თარიღის შესახებ შესაბამისი შეტყობინება არ ყოფილა გაგზავნილი თავად განმცხადებლებისთვისაც და განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავში რეგლამენტირებულია სასამართლო შეტყობინების და დაბარების წესი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, თუ როდის ჩაითვლება უწყება ჩაბარებულად მხარეებისა და მათი წარმომად-

გენლებისათვის, კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩაბარების განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში – ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, ფაქსით, სხვა ტექნიკური საშუალებით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას მიეთითება ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საკითხები, ხოლო 73-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში აგრეთვე დგება აქტი, რომელიც ჩაიკერება საქმეში. აქტს ადგენს სასამართლოს შესაბამისი მოხელე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უწყება ასევე უნდა შეიცავს მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებას, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზი. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წარმომადგენლისათვის გაგზავნილი დოკუმენტი ჩაითვლება მხარისათვის გაგზავნილად, ხოლო მხარისათვის გაგზავნილი – წარმომადგენლისათვის გაგზავნილად. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ 2014 წლის 25 სექტემბერს ი. კ-ისა და მ. მ-ის წარმომადგენელს – მ. ჩ-ს მოსამართლე ნ. ქ-ის თანაშემწემ – თ. ტ-მა ტექნიკური საშუალებით აცნობა სასამართლო სხდომის დღე, რაზედაც შედგა ტელეფონით სასამართლო შეტყობინების შესახებ აქტი. საქმეში ასევე წარმოდგენილია 2014 წლის 25 სექტემბერს 17:50 საათზე ... ნომერზე განხორციელებული სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რომლიდანაც დასტურდება, რომ ი. კ-ისა და მ. მ-ის წარმომადგენელს – მ. ჩ-ს ეცნობა სხდომის დღისა და ადგილის შესახებ, ასევე განემარტა, რომ მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, განცხადებები განიხილებოდა მისი მონაწილეობის გარეშე. საქმის მასალებიდან არ დასტურდება, რომ ი. კ-ისა და მ. მ-ის წარმომადგენელმა მ. ჩ-მა სააპელაციო სასამართლოს აცნობა სხდო-

მაზე გამოუცხადებლობის მიზეზი ან შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლომ კანონის მოთხოვნათა დაცვით უზრუნველყო მხარის ინფორმირება საქმის განხილვასთან დაკავშირებით; სასამართლო უფლებამოსილი იყო საპროცესო მოქმედებების თაობაზე ეცნობებინა ი. კ-ისა და მ. მ-ის ადვოკატისათვის – მ. ჩ-ისთვის და აღნიშნული მიეჩნია მხარისათვის უწყების ჩაბარებად.

საკასაციო სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინებით განმცხადებლებს კანონიერად ეთქვათ უარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინების ბათილად ცნობაზე და საქმის წარმოების განახლებაზე.

განსახილველ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორები – ი. კ-ე და მ. მ-ი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინების ბათილად ცნობას და საქმის წარმოების განახლებას ითხოვენ იმ მოტივით, რომ აღნიშნული განჩინებით დამტკიცებული მორიგების პირობებით, შეილახა მათი კანონიერი უფლებები და ინტერესები, კერძოდ, მორიგების აქტის პირობის თანახმად ქ. თბილისის მერიას გ. გ-ისათვის უნდა გადაეცა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 20462 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაწილი (მისამართი, ..., საკადასტრო კოდი ... – 4307 კვ.მ. მორიგების აქტის დანართში წარმოდგენილი კონფიგურაციის შესაბამისად. მოგვიანებით გ. გ-ემ მორიგების აქტით განსაზღვრული მოთხოვნები ქ. თბილისის მერიის მიმართ ნაწილობრივ დაუთმო თ. პ-ეს და დ. ხ-ს (1/3 წილზე), რაც გახდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 4 სექტემბრის განჩინების გაუქმების მიღებისა და შემდგომ 2012 წლის 19 ოქტომბრის სააღსრულებო ფურცლის გაცემის საფუძველი. საბოლოოდ 40307 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია განხორციელდა ი. ხ-ისა და ჟ. პ-ის სახელზე, რომლებმაც თ. პ-ისგან და დ. ხ-ისგან ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე მიიღეს აღნიშნული მიწის ნაკვეთები, ამრიგად, კერძო საჩივრის ავტორების განმარტებით, მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები ჯერ ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრირებულ იქნა უკანონოდ (რაზედაც ამჟამად მიმდინარეობს დავა), ხოლო შემდგომ ქ. თბილისის მთავრობის მიერ ასევე უკანონოდ იქნა გასხვისებული ქ. თბილისის მთავრობის მიერ გ. გ-ესთან დამტკიცებული მორიგების აქტის

საფუძველზე, სწორედ აღნიშნული ფაქტის გამო კერძო საჩივრის ავტორებს მიაჩნიათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, ვინაიდან, ისინი არ იყვნენ მიწვეული საქმის განხილვის დროს.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან მიმართებაში.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებიდან გამომდინარე, დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

გ. გ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობის მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბრის დადგენილების №...-ის ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა გ. გ-ის ინტერესებს.

თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილების მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის პრემიერის 2001 წლის 13 დეკემბრის №1122 განკარგულების შესაბამისად იმ პირებს, რომლებსაც ქ. თბილისის მთავრობასთან არ ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულებები მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რომელთაც უფლება არ ჰქონდათ რეგისტრირებული საჯარო რეესტრში და რომელთა ნაწილში არ იყო გაუქმებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, უნდა გაფორმებოდათ ხელშეკრულებები 2007 წლის 1 დეკემბრამდე გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევებში:

ა) უნდა წარმოედგინათ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა; ბ) წარმოედგინათ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დამზადებული მიწის ნაკვეთის საზღვრები; გ) წარმოედგინათ ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 22 იანვრის №1-7 გადაწყვეტილებით დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ამავე დადგენილების მე-6 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული პირობების 2007 წლის 1 დეკემბრამდე შეუსრულებლობის შემთხვევაში, ძალადაკარგულად ჩაითვლებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები იმ პირთა ნაწილში, რომლებიც არ შეასრულებდნენ მათ.

ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბრის

№33.34.1198 დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილებაში. დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომელმაც განსაზღვრა დედაქალაქის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის გამოყენების და განაშენიანების ძირითადი პარამეტრები, ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №621 დადგენილებით გათვალისწინებულ სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ მიწის ნაკვეთებზე შემდგომი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვდა შეცვლილი გარემოებების და განახლებულ ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობაში მოყვანას და დადგენილების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით, ქ. თბილისის პრემიერის 2002 წლის 8 სექტემბრის №539 დადგენილებით გათვალისწინებულ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებსაც ქ. თბილისის მთავრობასთან არა აქვთ გაფორმებული ხელშეკრულებები მიწის ნაკვეთის საკუთრებაში, ან სარგებლობაში გადაცემის შესახებ ან/და საკუთრების, ან სარგებლობის უფლება არ გაუქმებულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით, გაუფორმდეთ სათანადო ხელშეკრულებები ნინამდებარე დადგენილების მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შემდეგი პირობების შესრულების შემთხვევაში. დადგენილების მე-5 პუნქტს დაემატა „ე“ ქ/პ ძალადაკარგულად გამოცხადდა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები იმ პირთა ნაწილში (დანართი 1-ის შესაბამისად), რომელთა დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების განკარგვასთან დაკავშირებით მიღებულია უარყოფითი ქალაქგეგმარებითი დასკვნები“. დანართი 1-ის შესაბამისად, სადავო მიწის ნაკვეთზე გაცემულ იქნა უარყოფითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. გ-ის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინებით გ. გ-ის და ქ. თბილისის მთავრობის შუამდგომლობა მორიგების აქტის დამტკიცების და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება და გ. გ-ესა და ქ. თბილისის მთავრობას შორის დამტკიცდა მორიგების აქტი შემდეგი პირობებით: მოსარჩელე გ. გ-



ემ უარი თქვა სასარჩელო მოთხოვნაზე – ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბრის დადგენილება №33.34.1198 იმ ნაწილში, რომელიც ეხება გ. გ-ის ინტერესებს. მოსარჩელემ ასევე უარი თქვა ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილების ქ. თბილისის მერიის მიმართ აღსრულების თაობაზე. ხოლო ქ. თბილისის მთავრობამ იკისრა ვალდებულება, წინამდებარე მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან ორი თვის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრებაში გადაეცა მოსარჩელისთვის ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 20 462 კვ.მ „მინის ნაკვეთის“ ნაწილი (მისამართი: ქ. თბილისი, ..., საკადასტრო კოდი №...) – 4 307 კვ.მ ფართი დანართში წარმოდგენილი კონფიგურაციის შესაბამისად. მოპასუხის მხრიდან წინამდებარე მორიგების აქტის მე-2 პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქ. თბილისის მთავრობამ აიღო ვალდებულება მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ... გამზირზე მეტროსადგურ „...“ წინ არსებული 160 კვ.მ მინის ნაკვეთი ან სხვა ექვივალენტური ქონება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 4 სექტემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა თ. პ-ის და დ. ხ-ის განცხადება. თ. პ-ე ცნობილ იქნა კრედიტორ გ. გ-ის უფლებამონაცვლედ მოთხოვნის 1/3 წილზე, რომელიც გ. გ-ეს ჰქონდა მოვალის – ქ. თბილისის მთავრობის მიმართ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის კანონიერ ძალაში შესული განჩინების საფუძველზე (საქმე №33/2688-10). დ. ხ-ი ცნობილ იქნა კრედიტორ გ. გ-ის უფლებამონაცვლედ მოთხოვნის 1/3 წილზე, რომელიც გ. გ-ეს ჰქონდა მოვალის – ქ. თბილისის მთავრობის მიმართ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის კანონიერ ძალაში შესული განჩინების საფუძველზე (საქმე №33/2688-10).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 4 სექტემბრის განჩინების საფუძველზე 2012 წლის 19 ოქტომბერს გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცლები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 421.1 მუხლის შესაბამისად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამ-

თავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

სსსკ-ის 423.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი არსებობს, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. 423.3 მუხლის შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მითითებული საფუძველით დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

ამდენად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სსსკ-ის 264-265-ე მუხლების შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას ან შეცვლას ახალი გარემოებების წარმოშობის პირობებში. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობა უშვებს არა ყოველი ახალი გარემოების ან მტკიცებულების შეტყობის პირობებში საქმის ხელახლა გადასინჯვის შესაძლებლობას, არამედ მხოლოდ ისეთი გარემოებები შეიძლება დაედოს საფუძველად დასრულებული საქმის წარმოების განახლებას, რომლებიც მხარისათვის მისი ბრალის გარეშე არ იყო ცნობილი საქმის წარმოების პროცესში და ამასთან, აღნიშნული გარემოებები ან მტკიცებულებები ხელსაყრელი გადაწყვეტილების დადგენას გამოიწვევდა.

სსსკ-ის 422.1 მუხლის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ: ა) გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში; ბ) ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მონაწილე საქმის განხილვაზე; გ) პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მონაწილე საქმის განხილვაზე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აღნიშნული საფუძველით გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ შეიძლება, თუ მხარეს შეეძლო ამ საფუძველების წამოყენება საქმის განხილვისას შესაბამისი ინსტანციის სა-

სამართლოებში.

ზემოაღნიშნული მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, საკაც-საცხო სასამართლო განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესუ-ლი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ერთ-ერთი საფუძვე-ლია ის გარემოება, რომ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს ეხება მიღებული გადაწყვეტი-ლება არ იყო მონვეული საქმის განხილვაში, ანუ მთავარი პირო-ბა ამ ნორმისა არის ის, რომ პირი, რომლის კანონით დაცულ უფ-ლებებსა და ინტერესებს ეხება სამართლებრივი ურთიერთობა და უშუალოდ ზემოქმედებს მის უფლებებსა და კანონიერ ინ-ტერესებზე საერთოდ არ იყო ჩაბმული საქმის განხილვაში, მა-შინ როდესაც მიღებული გადაწყვეტილება ზემოქმედებას მო-ახდენდა მის უფლებებზე. აღნიშნული ნორმის გამოყენების მი-ზანს, სწორედ პირის, სადავო სამართალურთიერთობის მონა-ნილის მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვის უზ-რუნველყოფა წარმოადგენს, რაც შესაბამისი საპროცესო უფ-ლებების რეალიზაციის მეშვეობით უნდა განხორციელდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო უსა-ფუძვლობის გამო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორების არგუმენტაციას თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-ტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინების ბათილად ცნობასთან და საქმის წარმოების განახლებასთან და-კავშირებით, იმ საფუძვლით, რომ ის მიწის ნაკვეთი, რომელიც ქ. თბილისის მერიამ გადასცა გ. გ-ეს წარმოადგენდა მათ სა-კუთრებას და ამით შეილახა მათი საკუთრების უფლება, რის გამოც მიაჩნიათ, რომ მათ მონაწილეობა უნდა მიეღოთ საქმის განხილვაში და განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის მასალებიდან გამომდინარე, ის სამართალურთიერთო-ბა, რომლის შედეგადაც მიღებული განჩინების ბათილად ცნო-ბასაც ითხოვდნენ კერძო საჩივრის ავტორები წარმოშობილია გ. გ-ესა და ქ. თბილისის მერიას შორის, ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბრის №33.34.1198 დადგენილების ნაწილობ-რივ, რომელიც ეხება მის ინტერესებს ბათილად ცნობის მოთ-ხოვნით. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ ის მიწის ნაკვეთი, რომლის გ. გ-ისათვის გადაცემის ვალდებულებაც იკის-რა ქ. თბილისის მერიამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის გან-ჩინებით დამტკიცებული მორიგების პირობებით, კერძოდ, (მი-სამართი: ქ. თბილისი, ..., საკადასტრო კოდი №...) – 4 307 კვ.მ ფართი დანართში წარმოდგენილი კონფიგურაციის შესაბამი-სად, საჯარო რეესტრის მონაცემების შესაბამისად, წარმოად-

გენდა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, არ დასტურდება ის გარემოება, რომ ი. კ-ე და მ. მ-ი წარმოადგენდნენ იმ სამართლებრივი ურთიერთობის მხარეებს, რაზედაც დამტკიცდა მორიგების აქტი, აღნიშნულით მოხდა მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შელახვა, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ მიწის ნაკვეთი იმ დროისათვის იყო ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრება და მას სრული უფლება ჰქონდა განეკარგა მის საკუთრებაში არსებული ქონება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რაც შეეხება ი. ხ-ისა და ჟ. პ-ის კერძო საჩივარს საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან მიმართებაშიც იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, ი. ხ-ისა და ჟ. პ-ის განცხადების თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე, უარის თქმის თაობაზე და დამატებით, განმარტავს, რომ კერძო საჩივრის ავტორები მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად მიიჩნევდნენ იმ გარემოებას, რომ მათ საკუთრებაში არსებული რეგისტრირებული უძრავი ქონება, კერძოდ, 2/3 ნაწილი მიწის ნაკვეთი, მდებარე ქ. თბილისი, ..., საკადასტრო კოდი ..., 4307 კვ.მ. ფართის ოდენობით, რომელიც მათ დ. ხ-ისაგან და თ. პ-ისგან მიიღეს ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 ივნისის განჩინების აღსრულების საფუძველზე არის ის მიწის ნაკვეთი, რომელიც მ. მ-ისა და ი. კ-ეს ეკუთვნოდა, რითაც შეილახა მათი კანონიერი უფლებები და კანონიერი ინტერესები, ვინაიდან, დღეის მდგომარეობით, მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრები ფარავს მ. მ-სა და ი. კ-ის კანონის შესაბამისად, შექმნილ მიწის ნაკვეთების საზღვრებს, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან, საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოებები, რომ ის მიწის ნაკვეთი, რომელიც დ. ხ-მა მიიღო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის კანონიერ ძალაში შესული განჩინების საფუძველზე წარმოადგენდა მ. მ-ისა და ი. კ-ის საკუთრებას. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422.1 მუხლის ანაზღაურებად გამომდინარე, კერძო საჩივრების ავტორების მიერ მითითებული საფუძველით არ არსებობს განცხადების დაკმაყოფილების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელა-

ციო სასამართლომ კანონის მართებულად გამოყენებისა და განმარტების შედეგად არსებითად სწორი განჩინება დაადგინა და წარმოდგენილი კერძო საჩივრები არ შეიცავენ საფუძვლიან არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისათვის, რის გამოც კერძო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 16 ოქტომბრის განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. კ-ისა და მ. მ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ჟ. პ-ისა და ი. ხ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 16 ოქტომბრის განჩინება;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **საქმის წარმოების განახლების წინაპირობები**

#### **განჩინება საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-14-14(კს-15)

29 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ჯ. და მ. მ-ებმა 17.06.2010 წ. სარჩელით მიმართეს ტყიბულის

რაიონულ სასამართლოს და მოითხოვეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტყიბულის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ ა. ც-ის სახელზე 23.08.2000წ. საკუთრების უფლების შესახებ ჩანაწერის ბათილად ცნობა. იმერეთის რეგიონალურმა სატყეო სამმართველომ 22.06.2010 წ. სარჩელით მიმართა ტყიბულის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ დამოითხოვა ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობის გადაწყვეტილების არარად ცნობა. 13.07.2010წ. სასამართლო მოსამზადებელი სხდომის საოქმო განჩინებით იმერეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს მიერ დაზუსტდა სასარჩელო მოთხოვნა, მოსარჩელემ მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტყიბულის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ ა. ც-ის სახელზე 23.08.2000წ. საკუთრების უფლების შესახებ ჩანაწერის გაუქმება. ამავე განჩინებით ტყიბულის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმე №3/5 და №3/6 გაერთიანდა.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 30.08.2010 წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელების ჯ., მ. მ-ების და იმერეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატაში ჯ. და მ. მ-ების მიერ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.01.2011წ. გადაწყვეტილებით ჯ. და მ. მ-ების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ჯ. და მ. მ-ების სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტყიბულის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 23.08.2000წ. განხორციელებული სარეგისტრაციო ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ა. ც-ის სახელზე რეგისტრირებულია 1618,76 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, უძრავი ქონების სარეგისტრაციო ნომერი ... (სარეგისტრაციო ზონა ტყიბული – კოდი ... ; სექტორი ... ; კვარტალი – 01; ნაკვეთი – 006; რეგისტრაციის საფუძველი – მიწის მიღება-ჩაბარების აქტი №459).

ა. ც-ემ და ვ. ც-ემ 06.06.2014წ. განცხადებით მიმართეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვეს სსკ-ის 423.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება. განმცხადებლებმა ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო

სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურის 14.05.2014 წ. №18-10/202 და ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ტყისა და ველური ბუნების მართვის დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს 06.11.2012წ. №08-01-09/442 ცნობები, რომლის მიხედვითაც აღნიშნული სადავო ნაკვეთი არ წარმოადგენდა სატყეო ფონდის საკუთრებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.07.2014 წ. განჩინებით ა. ც-ის და ვ. ც-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის 28.01.2011წ. გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების შესახებ – არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დაუშვებელია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება ისეთი მტკიცებულებებისა და გარემოებების საფუძველზე, რომელზედაც მხარე უთითებდა საქმის განხილვის დროს, მაგრამ შესაძლოა, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი სრულფასოვნად ვერ განახორციელა საპროცესო მექანიზმების გამოუყენებლობის ან სხვა მიზეზის გამო და ვერ დაადასტურა გარემოებები, რომელზედაც ამყარებდა სარჩელს ან შესაგებელს, ხოლო საქმის განხილვის დასრულების შემდეგ შეიქმნა ისეთი ახალი მტკიცებულება, რომელიც ამყარებს მის პოზიციას. სასამართლომ აღნიშნა, რომ ამგვარი საფუძვლით საქმის წარმოების განახლებას კანონი არ ითვალისწინებს. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოების განახლება შესაძლებელი იქნებოდა ნებისმიერ საქმეზე და არა მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში, როგორც ეს მოქმედი კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.

ა. ც-ემ და ვ.ც-ემ 24.10.2014წ. განცხადებით მიმართეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და სსკ-ის 423.1. მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოითხოვეს საქმის წარმოების განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო. განმცხადებლებმა ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 09.10.2014 წ. №06/10477 ცნობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.11.2014 წ. განჩინებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.01.2011 წ. გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესა-



ხებ ა. და ვ. ც-ების განცხადება დარჩა განუხილველად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.11.2014 წ. განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში ა. ც-ის და ვ. ც-ის მიერ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების გაცნობისა და კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ა. ც-ის და ვ. ც-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლებისას სსკ-ის 429-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს განცხადების დასაშვებობა. ა. ც-ემ და ვ. ც-ემ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ორჯერ მიმართეს სსკ-ის 423.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით. 06.06.2014წ. განცხადების ავტორები საქმის წარმოების განახლების საფუძველად უთითებდნენ საქართველოს კანონისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურის 14.05.2014 წ. №18-10/202 და ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ტყისა და ველური ბუნების მართვის დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს 06.11.2012წ. №08-01-09/442 ცნობებს. განმცხადებლები აღნიშნავდნენ, რომ 1618,76 კვ.მ. ფართობის სადავო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, უძრავი ქონების სარეგისტრაციო ნომერი ... (სარეგისტრაციო ზონა ტყიბული – კოდი ...; სექტორი ...; კვარტალი – 01; ნაკვეთი 006; რეგისტრაციის საფუძველი მიწის მიღება-ჩაბარების აქტი №459), არ განეკუთვნებოდა ტყის ფონდს. 24.10.2014წ. განცხადების ავტორები მოითხოვენ საქმის წარმოების განახლებას საქართველოს კანონისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 09.10.2014წ. წერილის საფუძველით, რომლის მიხედვითაც სოფელ ... მდებარე 1618,76 კვ.მ. მიწის ფართობი წარმოადგენილი საკადასტრო ნახაზის მიხედვით არ წარმოადგენდა და არც ამჟამად წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდის მიწას, ფონდის მიწის საზღვრები დადგენილია „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის

04.08.2011 წ. №299 დადგენილებით.

საკასაციო პალატა იზიარებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ორივე განცხადების შემთხვევაში განმცხადებლები საქმის განახლების საფუძვლად ასახელებენ ერთსა და იმავე გარემოებას: სოფელ ... მდებარე 1618,76 კვ.მ. ფართობის სადავო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი არც მიწის განაწილების პერიოდში და არც დღევანდელი მდგომარეობით, არ წარმოადგენდა ტყის ფონდის ნაწილს. 24.10.2014 წ. განცხადება ფაქტობრივად არის ერთხელ უკვე განხილული 06.06.14წ. განცხადების საფუძვლის გამეორება, განცხადებას თან ერთვის ერთი და იმავე შინაარსის სხვადასხვა ცნობა. ამდენად, არ დასტურდება სსკ-ის 423.3. მუხლის მიხედვით ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“-„ვ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლების არსებობა, რომელთა მიხედვით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. ამდენად, ახლად აღმოჩენილი გარემოება ობიექტურადაც არ უნდა ყოფილიყო ცნობილი და ამ გარემოების არსებობა არც შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო მხარისათვის საქმის განხილვის დროს. ხსენებული დებულება ხაზს უსვამს მხარის მიერ მტკიცების ტვირთის სათანადოდ გაცნობიერებას და პროცესის შეჯიბრობითობის საწყისებზე აგებას. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურის 14.05.2014 წ. №18-10/202 და ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ტყისა და ველური ბუნების მართვის დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს 06.11.2012 წ. №08-01-09/442 ცნობებში, ასევე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 09.10.2014წ. ცნობაში მოცემული ინფორმაცია საქმის განხილვის დროს ობიექტურად არსებობდა და მოძიების შემთხვევაში ხელმისაწვდომი იყო მხარისათვის. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.07.2014 წ. განჩინებით ა. და ვ. ც-ებს სწორედ ამ საფუძვლით ეთქვათ საქმის წარმოების განახლებაზე უარი. განცხადების ავტორებს არ წარმოუდგენიათ განცხადებაში ხსენებული გარემოებების საქმის განხილვის დროს წარმოდგენის შეუძლებლობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

სსკ-ის 266-ე მუხლის მიხედვით გადაწყვეტილების კანონი-

ერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლება-მონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე მოთხოვნები იმავე საფუძველზე, ასევე სადავოდ გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. აღნიშნულის შესაბამისად საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.11.2014წ. განჩინების გაუქმების, კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველები.

განჩინების გაუქმების საფუძველს არ ქმნის ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლოში განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრებული განჩინების გამომტან მოსამართლეს 28.01.11წ. გადაწყვეტილება აქვს გამოტანილი, რომლითაც არსებითად არის დავა გადაწყვეტილი. კერძო საჩივრის ავტორთა აღნიშნული მოსაზრება არ ემყარება საპროცესო კანონმდებლობას, არ არსებობს სსკ-ის 428-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის განახლების შესახებ განცხადების განხილვაში მოსამართლის მონაწილეობის გამომრიცხველი გარემოება (სსკ-ის 422.1 მუხ. „ა“ ქვეპუნქტი, 423.1 მუხ. „გ“ ქვეპუნქტი), ამასთანავე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება განხილულია განსჯადი სასამართლოს მიერ (სსკ-ის 424-ე მუხ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 14.11.14წ. განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე, 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე, 423-ე, 429-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. ც-ის და ვ. ც-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.11.2014წ. განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმის წარმოების განახლებაზე უარის  
კანონიერება**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-684-676(კს-15)

17 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 20 იანვარს თ. ფ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონის სასამართლოს მოპასუხე გონიოს თემის საკრებულოს მიმართ და მოითხოვა ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა, ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის შესახებ ადმინისტრაციული აქტების შეცვლა, გონიოს თემის საკრებულოსათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების ჯეროვნად შეუსრულებლობისათვის მატერიალური (5000ლ) და მორალური (2000ლ) ზიანის ანაზღაურება.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 27 თებერვლის განჩინებით თ. ფ-ის სარჩელი არ იქნა დაშვებული და შეწყდა საქმის წარმოება.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. ფ-ის წარმომადგენელმა გ. გ-ემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით თ. ფ-ის წარმომადგენლის გ. გ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 27 თებერვლის განჩინება და თ. ფ-ის სარჩელი არსებითად განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 თებერვლის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება რ. ა-ე.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 14 თებ-

ბერვლის გადაწყვეტილებით თ. ფ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ფ-ემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განჩინებით თ. ფ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის განჩინებით თ. ფ-ის განცხადება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, ხარვეზის შეუვსებლობის გამო დარჩა განუხილველად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ფ-ემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივლისის განჩინებით თ. ფ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თ. ფ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება; თ. ფ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა რ. ა-ის სახელზე გაცემული 1994 წლის 2 ივლისის №22/9-2 მიწის მიღება-ჩაბარების აქტი. გაუქმდა საჯარო რეესტრში რ. ა-ის სახელზე 2006 წლის 1 აგვისტოს განხორციელებული ჩანაწერი 1200 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შესახებ, ხოლო დანარჩენ ნაწილში თ. ფ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივ-

რა რ. ა-ემ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც თ. ფ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განჩინებით რ. ა-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორება, კერძოდ, მიწის მიღება-ჩაბარების აქტის გამოცემის წელში და ნომერში. ასევე მოითხოვა აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას 2012 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორებისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გასწორდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა და აღწერილობით და სარეზოლუციო ნაწილებში აღნიშნული 1994 წლის 2 ივლისის №22/9-2 მიწის მიღება-ჩაბარების აქტის ნაცვლად მიეთითა 1999 წლის 2 ივლისის №22/9-2 მიწის მიღება-ჩაბარების აქტი. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2015 წლის 24 ივნისს თ. ფ-ემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება მისი სარჩელის არ დაკმაყოფილების ნაწილში და საქ-

მის წარმოების განახლება.

განმცხადებლის განმარტებით, ამაჟამად მის მიერ მოძიებულ იქნა 2015 წლის 18 მაისის №... საარქივო ცნობა, რომლითაც ირკვევა, რომ როგორც პირველი რიგის გამოყოფილ კომლს, სიის მიხედვით გამოეყო მისი ნაკვეთი მამისეული საკარმიდამო მომიჯნავე ტერიტორიასთან და იგი დარეგისტრირდა საკომლო წიგნში, რის შემდეგ გახდა მისი საკუთრებაც, რომელსაც ამაჟამად შევებდა, თუმცა არ მოუხდენია მისი რეგისტრაცია. განმცხადებლის განმარტებით, აღნიშნული ცნობა ადასტურებს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას და მოითხოვა საარქივო ცნობის საფუძველზე სასამართლომ აღუდგინოს საკომლო წიგნში ადრინდელი მისი საკუთრების მონაცემები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 1 სექტემბრის განჩინებით თ. ფ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ – არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 265-ე და 423-ე მუხლებზე და განმარტა, რომ თ. ფ-ის განცხადებაზე დართული 2015 წლის 18 მაისის №... საარქივო ცნობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ახლად აღმოჩენილ გარემოებად. აღნიშნული დოკუმენტი გაცემულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ და არ ადასტურებს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რაც საქმის განხილვის დროს რომ ყოფილიყო ცნობილი სასამართლოსათვის – განმცხადებლის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას განაპირობებდა. სასამართლოს განმარტებით, ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიიჩნევა მტკიცებულება, რომელიც არსებობდა საქმის განხილვის დროს და ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელი იყო მისი წარდგენა სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კანონი მხოლოდ გამონაკლისის სახით უშვებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (განჩინებით) დამთავრებული საქმის წარმოების განახლებას და ამომწურავად განსაზღვრავს მის საფუძველზე და წინაპირობებს. დაუშვებელია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება ისეთი მტკიცებულებებისა და გარემოებების საფუძველზე, რო-



მელზედაც მხარე უთითებდა საქმის განხილვის დროს, მაგრამ შესაძლოა, შეჯიბრობითობის პრინციპიდან გამომდინარე, მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი სრულფასოვნად ვერ განახორციელა საპროცესო მექანიზმების გამოუყენებლობის ან სხვა მიზეზის გამო და ვერ დაადასტურა გარემოებები, რომლებზედაც ამყარებდა სარჩელს ან შესაგებელს, ხოლო საქმის განხილვის დასრულების შემდეგ შეიქმნა ისეთი ახალი მტკიცებულება, რომელიც ამყარებს მის პოზიციას. ამგვარი საფუძვლით საქმის წარმოების განახლებას კანონი არ ითვალისწინებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოების განახლება შესაძლებელი იქნებოდა ნებისმიერ საქმეზე და არა მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევაში, როგორც ეს მოქმედი კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, რის გამოც თ. ფ-ის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. ფ-ემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი განცხადების დაკმაყოფილება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და წარმოდგენილი კერძო საჩივრის მოტივების გაცნობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თ. ფ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 1 სექტემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკვსაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 421.1 მუხლის შესაბამისად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

სსსკ-ის 423.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი არსებობს, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. 423.3 მუხლის შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მითითებული საფუძველით დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

ამდენად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სსსკ-ის 264-265-ე მუხლების შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას ან შეცვლას ახალი გარემოებების წარმოშობის პირობებში. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობა უშვებს არა ყოველი ახალი გარემოების ან მტკიცებულების შეტყობის პირობებში საქმის ხელახლა გადასინჯვის შესაძლებლობას, არამედ მხოლოდ ისეთი გარემოებები შეიძლება დაედოს საფუძველად დასრულებული საქმის წარმოების განახლებას, რომლებიც მხარისათვის მისი ბრალის გარეშე არ იყო ცნობილი საქმის წარმოების პროცესში და ამასთან, აღნიშნული გარემოებები ან მტკიცებულებები ხელსაყრელი გადაწყვეტილების დადგენას გამოიწვევდა.

განსახილველ შემთხვევაში, თ. ფ-ე საქმის წარმოების განახლებას ითხოვდა იმ საფუძველით, რომ 2015 წლის 18 მაისის №... საარქივო ცნობის შესაბამისად, მას როგორც პირველი რიგის გამოყოფილ კომლს, სიის მიხედვით გამოეყო მინის ნაკვეთი მამისეული საკარმიდამო მომიჯნავე ტერიტორიასთან და იგი დარეგისტრირდა საკომლო წიგნში, აღნიშნული ცნობით, ირკვევა, რომ 1997-2006 წლებში თ. ხ. ძე ფ-ე არის ოჯახის უფროსი. კომლის შემადგენლობაში ირიცხებიან: 1. ფ-ე თ. ხ. ძე – ოჯახის უფროსი; 2. ფ-ე დ. თ. ასული – შვილი; 3. ფ-ე ი. თ. ძე – შვილი.., კომლის მინის ფართობის გრაფა შევსებული არ არის... მი-

ნის ფართობის გრაფაში არსებული ჩანაწერი (რომელიც არ იკითხება) გადაშლილია თეთრი კორექტორით იკითხება მხოლოდ ლუპის საშუალებით შემდეგი სიტყვები „გონის ... გამგეობის სხდომის ოქმი №1“, ბეჭედდასმულია, გვერდზე მინერილი შეცდომით იყო შეტანილი 2005 წელი მ. ბ-ე“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის წარმოების განახლების პირობას წარმოადგენს ფაქტის სიახლე, ამასთანავე საუბარია არა უბრალოდ ახალ, არამედ ახლად აღმოჩენილ გარემოებაზე, ე.ი. ისეთი იურიდიული მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, რომელიც საქმის განხილვის დროს არსებობდა, მაგრამ არ იყო ცნობილი და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ცნობილი განმცხადებლისათვის და სასამართლოსათვის, მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებასა და მტკიცებულებაზე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, ზემოაღნიშნული ცნობის არქივიდან გამოთხოვა თ. ფ-ეს შეედლო ასევე მისი სარჩელის განხილვის ეტაპზეც და აქვე განმარტავს, რომ აღნიშნული ცნობა, რომც ყოფილიყო ცნობილი საქმის განხილვის დროს არ განაპირობებდა მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას, ვინაიდან, როგორც საქმის მასალებით დასტურდება თ. ფ-ეს 0,12 ჰა მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების აღიარებაზე უარი ეთქვა იმ საფუძვლით, რომ საკომლო წიგნის ჩანაწერებით არ დგინდებოდა თ. ფ-ის კომლის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ოდენობა, ვინაიდან ჩანაწერი იყო გადაშლილი, 2015 წლის 18 მაისის №... საარქივო ცნობაშიც, რომლის საფუძველზეც კერძო საჩივრის ავტორი (განმცხადებელი) ითხოვს საქმის წარმოების განახლებას, მითითებულია, ანალოგიური, კერძოდ: „1997-2006 წლებში თ. ბ. ძე ფ-ე არის ოჯახის უფროსი. კომლის შემადგენლობაში ირიცხებიან: 1. ფ-ე თ. ბ. ძე – ოჯახის უფროსი; 2. ფ-ე დ. თ. ასული – შვილი; 3. ფ-ე ი. თ. ძე – შვილი... კომლის მიწის ფართობის გრაფა შევსებული არ არის... მიწის ფართობის გრაფაში არსებული ჩანაწერი (რომელიც არ იკითხება) გადაშლილია თეთრი კორექტორით იკითხება მხოლოდ ლუპის საშუალებით შემდეგი სიტყვები „გონის ... გამგეობის სხდომის ოქმი №1“, ბეჭედდასმულია, გვერდზე მინერილის შეცდომით იყო შეტანილი 2005 წელი მ. ბ-ე“ როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით თუ მხარისათ-

ვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. სსკ-ის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. კონკრეტულ შემთხვევაში კი, როგორც აღვნიშნეთ თ. ფ-ის ცნობა არქივიდან შექმლო გამოეთხოვა საქმის განხილვის დროსაც, თუმცა საქმეში იყო საკომლო წიგნის ჩანაწერი, რომლის შესაბამისადაც იყო შედგენილი 2015 წლის 18 მაისის №... საარქივო ცნობა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქმის წარმოების განახლების პროცედურის ფარგლებს სცილდება საქმეში დაცული და სასამართლოსათვის ცნობილი მტკიცებულებების ხელახალი განხილვა-შეფასება, კანონმდებლობის ნორმების გამოყენების სისწორის, საკასაციო პალატის მითითების შესრულების სისრულის გადამოწმება, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს საზედამხედველო წარმოებას, ამასთანავე საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს იმ გარემოებათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებას, ამ გარემოებათა წრის გაფართოება არ დაიშვება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს თ. ფ-ის კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. თ. ფ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 1 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამოსაქმის  
ბანასლავის წინაპირობები**

**ბანჩინაბა  
საქართველოს სახელით**

№ბს-248-246(კს-16)

15 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

**აღწერილობითი ნაწილი:**

ი. თ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ქ. სოხუმში, ..., ... №21-ში მდებარე სახლის მესაკუთრედ რეგისტრაციაში გატარების დავალება, ხსენებული სახლის თავისუფალი ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უზრუნველყოფის დავალება ქ. სოხუმის მერიისათვის.

სოხუმის რაიონული და საქალაქო სასამართლოს 27.04.2006 წ. განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაერთო საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, ხოლო 17.05.2006 წ. განჩინებით – აფხაზეთის ა/რ მთავრობა.

სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 08.06.06წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოსარჩელე ცნობილ იქნა ქ. სოხუმში, ... №21-ში მდებარე სახლის მესაკუთრედ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა ი. თ-ას სახელზე საკუთრების უფლებით ქ. სოხუმში, ... №21-ში მდებარე სახლის რეგისტრაციაში გატარება, მოსარჩელეს ქონების თავისუფალი ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უზრუნველყოფის თაობაზე ეთქვა უარი უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ი. თ-ამ და საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.06.2007 წ. განჩინებით საქმეზე აფხაზეთის მთავრობა ცნობილ იქნა ქ.სოხუმის მერიის უფლებამონაცვლედ და მესამე პირად ჩართული აფხაზეთის მთავრობა ჩაბმულ იქნა საქმეში როგორც სათანადო მოპასუხე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.03.08წ. განჩინებით ი. თ-ასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 08.06.06წ. გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და ი. თ-ამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.03.09წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.03.08წ. განჩინება ი. თ-ასათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში, ი. თ-ას საკასაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ი. თ-ას სასარჩელო მოთხოვნა ქ. სოხუმის მერიისათვის მოსარჩელის კუთვნილი ქონების თავისუფალი ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უზრუნველყოფის თაობაზე; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.03.08წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ი. თ-ა ცნობილ იქნა ქ. სოხუმში, ... №21-ში მდებარე სახლის მესაკუთრედ და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა საკუთრების უფლებით რეგისტრაციაში ი. თ-ას გატარება და მის სახელზე საკუთრების უფლებით უძრავი ქონების აღრიცხვა, საქმე ამ ნაწილში ხელახალი არსებითი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.06.09წ. საოქმო განჩინებით მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის ნაწილში საჯარო რეესტრი ცნობილ იქნა არასათანადო მოპასუხედ და ამ ნაწილში სათანადო მოპასუხედ ჩაბმულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.12.09წ. განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი ი. თ-ას მემკვიდრედ და მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნის ნაწილში განსახილველად გადაეცა საგნობრივად განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, საკუთრების უფლების რეგისტრაციის განხორციელების დავალდებულების მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო საჩივ-

რის გამო შეჩერდა სამართალწარმოება საქმის სამოქალაქო წესით განხილვის დასრულებამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 07.07.10წ. განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 08.06.06წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელე ი. თ-ა ცნობილ იქნა მესაკუთრედ და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. თ-ამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 18.04.11წ. განჩინებით ი. თ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 07.07.10წ. განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 14.07.11წ. განჩინებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და მის სააპელაციო საჩივარზე შეწყდა საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.01.12წ. განჩინებით განახლდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.02.12წ. გადაწყვეტილებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 08.06.06წ. გადაწყვეტილება, საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. თ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.02.12წ. გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ი. თ-ამ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.02.2013წ. განჩინებით ი. თ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.02.2012წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა სოხუმის საქალაქო და სოხუმის რაიონული სასამართლოს



08.06.06 წ. გადანყვეტილება ქ.სოხუმში, ... №21-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ი. თ-ას მესაკუთრედ ცნობის ნაწილში და ქ.სოხუმის მერიისთვის მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონების თავისუფალი ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უზრუნველყოფის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, სოხუმის საქალაქო და სოხუმის რაიონული სასამართლოს 08.06.06წ. გადანყვეტილების ამ ნაწილებში კანონიერ ძალაში ყოფნის გამო; დანარჩენ ნაწილში საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.02.2012წ. გადანყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა სოხუმის საქალაქო და სოხუმის რაიონული სასამართლოს 08.06.06 წ. გადანყვეტილება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ქ.სოხუმში, ... №21-ში მდებარე სახლის ი. თ-ას სახელზე საკუთრების უფლების აღრიცხვის დავალების ნაწილში და ამ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, დარჩა უცვლელად.

12.10.2015წ. საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა ი.თ-ამ და აღნიშნა, რომ ითხოვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.02.2013წ. განჩინების გადასინჯვას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ უკანონო საკასაციო პალატის განჩინება ქ.სოხუმში, ..., №21-ში მდებარე უძრავი ნივთის საჯარო რეესტრში ი. თ-ას საკუთრებაში აღრიცხვაზე უარის თქმის ნაწილში და მიუთითა, რომ ირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი ეროვნული ნიშნით დისკრიმინაციის, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არ ქონის, სამართლებრივი დაცვის უფლებისა და ამომრჩევლის უფლების დარღვევის გამო. განმცხადებელი თვლის, რომ მოქმედი კანონმდებლობა აძლევს ქ.სოხუმში ..., №21-ში მდებარე უძრავი ნივთის საკუთრებაში აღრიცხვის შესაძლებლობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.10.2015წ. განჩინებით ი. თ-ას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.03.2016წ. განჩინებით ი. თ-ას განცხადება გადანყვეტილების ბათილად ცნობის და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკ-

მაყოფილდა, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრდა ი. თ-ას მიერ, რომელიც მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და საქმის სააპელაციო პალატისათვის დაბრუნებას. კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ არსებობს სსკ-ის 394-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, რადგან განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განიხილა მოსამართლე მ. ლომიძემ, რომელმაც არსებითად გადაწყვიტა მოცემული დავა, ამდენად, გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლის მიერ, რომელიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდა. ამასთანავე, სასამართლოს სათანადოდ არ შეუფასებია წარდგენილი განცხადების შინაარსი, რის შედეგადაც მიიღო დაუსაბუთებელი განჩინება. ი. თ-ა უთითებს, რომ დავის არსებითი განხილვისას სააპელაციო პალატამ მოახდინა საქმის მასალების ფალსიფიცირება და დაარღვია რიგი საპროცესო-სამართლებრივი ნორმები, რამაც გამოიწვია მოსარჩელის იმ ძირითადი უფლებების დარღვევა, რომლებიც დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, ვენის კონვენციითა და სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით. ი. თ-ა მიიჩნევს, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის დებულებები და მისი, როგორც მესაკუთრის უფლების უგულვებლყოფით, არ დაავალა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურს ქ. სოხუმში, ... №21-ში მდებარე სახლის მესაკუთრედ ი. თ-ას აღრიცხვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. თ-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე თავი აწესრიგებს საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვის წესსა და განმცხადებლის მოთხოვნის დაკმა-

ყოფილების წინაპირობებს. სსკ-ის 421.1 მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (სსკ-ის 422-ე მუხ.) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (სსკ-ის 423-ე მუხ.) განცხადების წინამძღვრები. სსკ-ის 423-ე მუხლის მიხედვით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია არა მხარის მიერ მითითებული ნებისმიერი საფუძვლით, არამედ მხოლოდ სსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას. აღნიშნული გარემოებების და შეჯიბრებითობის პრინციპიდან (სსკ მე-4 მუხ.) გამომდინარე, სათანადო მტკიცებულებების წარდგენა განმცხადებელმა უნდა უზრუნველყოს. მან უნდა დაადასტუროს, რომ მის მიერ მითითებული გარემოებები თუ მტკიცებულებები არსებობდნენ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტამდე და არ წარმოშობილან შემდგომში. ასევე დადასტურებას საჭიროებს ის გარემოებაც, რომ ახალი ფაქტების თუ მტკიცებულებების შესახებ მხარისთვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ და მას დავის განხილვის მიმდინარეობისას მისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა აღნიშნულ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე მითითების შესაძლებლობა.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ი. თ-ას განცხადებაში არ არის მითითებული, თუ რომელი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გამო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (422-ე, 423-ე მუხ.) გათვალისწინებული რომელი საფუძვლებით ითხოვს განმცხადებელი სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას. განცხადებაში არ არის მითითებული რაიმე ისეთი ახალი გარემოებები ან მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს რომ ყოფილიყო წარდგენილი, მოსარჩელისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას გამოიწვევდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.02.2013წ. განჩინებით ი.თ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.02.2012წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა სოხუმის საქალაქო და სოხუმის რაიონული სასამართლოს

08.06.06 წ. გადაწყვეტილება ქ.სოხუმში, ... №21-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ი.თ-ას მესაკუთრედ ცნობის ნაწილში და ქ.სოხუმის მერიისთვის მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონების თავისუფალი ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უზრუნველყოფის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, სოხუმის საქალაქო და სოხუმის რაიონული სასამართლოს 08.06.06წ. გადაწყვეტილების ამ ნაწილებში კანონიერ ძალაში ყოფნის გამო; დანარჩენ ნაწილში საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.02.2012წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა სოხუმის საქალაქო და სოხუმის რაიონული სასამართლოს 08.06.06 წ. გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ქ.სოხუმში, ... №21-ში მდებარე სახლის ი. თ-ას სახელზე საკუთრების უფლების აღრიცხვის დავალების ნაწილში და ამ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, დარჩა უცვლელად. ამდენად, ი.თ-ას სარჩელთან დაკავშირებით მიმდინარე ადმინისტრაციული დავის არსებითი განხილვა დასრულებულია, საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული. მხოლოდ ის გარემოება, რომ ი. თ-ა ნაწილობრივ არ ეთანხმება დამდგარ სამართლებრივ შედეგს და მიიჩნევს, რომ აღნიშნული შედეგი არღვევს მის კანონით დაცულ უფლებებს არ ქმნის წარმოების განახლების საფუძველს. კერძო საჩივარში სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და დავის განხილვის განახლების ძირითად საფუძველად ისეთ გარემოებებზეა მითითებული, რომელთა შესახებ დავის არსებითი განხილვისას იმსჯელა სასამართლომ და მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება.

საფუძველს არის მოკლებული კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილე მოსამართლის მიერ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვა და გასაჩივრებული განჩინების გამოტანა არის სსკ-ის 394-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე 10.03.2016წ. განჩინების გაუქმების პირობა. სსკ-ის 29-ე მუხლი ადგენს ერთი და იმავე საქმის განხილვაში სხვადასხვა და არა ერთი და იმავე ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლის განმეორებით მონაწილეობის დაუშვებლობას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს 10.03.2016წ.

გასაჩივრებელი განჩინებით ი. თ-ას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ მართებულად არ დაკმაყოფილდა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე, 423-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

1. ი. თ-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.03.2016წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საკიეპელი

<b>1. სარჩელის დასაშვებობა და მიზანი</b>	
ალიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინამძღვრები .....	3; 16
სარჩელის მიზანი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმის შემთხვევაში .....	37
სარჩელის დასაშვებობის პირობების შემოწმება .....	51
<b>2. მხარეები, მესამე პირები</b>	
საქმეში მესამე პირად ჩაბმული მხარის პროცესუალური უფლებამოსილების განსაზღვრა .....	63
სავალდებულო წესით მესამე პირად ჩაბმა საქმეში .....	79
საქმეში მარტივი ფორმით მესამე პირების ჩაბმის მიზანშეწონილობა .....	87
სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქმეში თანამოპასუხედ ჩაბმის კანონიერება .....	95
საქმეში მესამე პირად ჩართვის აუცილებლობა .....	101
საქმეში მესამე პირად ჩაბმის მატერიალური და პროცესუალური წინაპირობები .....	109
მარტივი და სავალდებულო ფორმით მესამე პირის საქმეში ჩაბმის განსხვავება .....	115
<b>3. საქმის წარმოების განახლების საფუძველი .....</b>	<b>126</b>
საქმის წარმოების განახლების წინაპირობები .....	133; 144; 164
საქმის წარმოების განახლებაზე უარის კანონიერება .....	170
ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების წინაპირობები .....	178